პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. ლეო მთავრის) ქ. № 64, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.
) რედაქტორის 14—76
) დღიურის 10—58
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- ლატვია - ესტონეთს შორის დადებულია დროებითი სავაჭრო ხელშეკრულება.
- საფრანგეთის პარლამენტის არჩევნები დანიშნულია 22 აპრილისათვის.
- ფეიქართა გაფიცვა საფრანგეთში.
- ახლო ხანში დაიწყება პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება.
- ინგლისის კომკავშირის ყრილობა.
- პოლიტპატიმართა სიმშილობა რუმინეთის ციხეებში.
- მარსელში ლოკაუტი გამოუცხადეს 2.500 მუშას.

ხუთშაბათი, 29 მარტი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 73 (2116)

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა
აპრილისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

პილსუდსკი და სეიმი

როგორც სკანდალურად ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები პოლონეთში, ისე სკანდალურად მოხდა ახალი სეიმის გახსნა. თავის დროზე ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ ხსენებული არჩევნები იყო უმაგალითო დაცინვა პარლამენტარიზმის, ფეხქვეშ გათელვა ხალხის ნებისყოფის და იმ დემოკრატიული პრინციპების, რომლებითაც ასე მოაქვთ თავი კაპიტალისტურ ქვეყნების ბურჟუაზიულ და რეფორმისტულ წრეებს. მშრომელთა საარჩევნო კრებების დარბევა - აწიოკება, მთავრობისადმი ნამდვილად ოპოზიციონურად განწყობილ, და კერძოდ კი რევოლიუციონურ ელემენტების მასიური დაპატიმრება, მუშურ-გლეხურ მთლიანობის სიის გაუქმება და მრავალი სხვა ასეთი ახასიათებდა არჩევნებს პილსუდსკის პოლონეთში.

აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად არჩევნების დროს მძვინვარე თეთრი ტერორისა, პილსუდსკის მომხრე ჯგუფების (სამხედრო კასტა, მსხვილი ბურჟუაზია, მემამულეები და სხ.) ბლოკმა ვერ შესძლო დეპუტატების უმრავლესობის გაყვანა სეიმში, განსაკუთრებით საგულისხმო ის არის, რომ ბრწყინვალე გამარჯვება ერგოთ კომუნისტებს, რომელთაც, თავის თავად ცხადია, ყველაზე მეტად დაატყდათ თავზე პილსუდსკის ფაშისტურ რეჟიმის სუსხი. უმთავრესი ის კი არ არის, თუ რამდენი კაცი გაიყვანეს მათ სეიმში, არამედ ის, რომ არჩევნებმა ცხადყო კომუნისტების უდიდესი გავლენა მუშათა მასებს შორის, რომელთა საგრძნობმა უმრავლესობამ მათ სიას მისცა ხმა. ჩვენ ვიცით, რომ ეს სია უმრავლეს შემთხვევაში გაუქმებული იქნა, მაგრამ კომუნისტებს იმდენი წარმომადგენელი მაინც ყავთ სეიმში, რომ მისი ტრიბუნიდან ქვეყანამ მათი რევოლიუციონური სიტყვა გაიგონოს.

პილსუდსკი კი, ასეთ სიტყვას აბა როგორ შეურიგდება, თუნდაც ის წარმოთქმულ იქნას პარლამენტის წევრის მიერ, რომლის შეუვალობას აღიარებს პოლონეთის კონსტიტუცია. ეს შეუვალობა კაპიტალისტურ ქვეყნებში ფაქტიურად არსებობს თითქმის მარტო ბურჟუაზიულ დეპუტატებისათვის, ხოლო მუშათა რევოლიუციონური წარმომადგენლები ამ უფლებას არსებითად მოკლებული არიან, პოლონეთის სეიმის გახსნისას მომხდარი ინციდენტი ამ მხრივ მაინც სარეკორდოა. მკითხველი დღეს გაეცნობა ამ ინციდენტს. როცა პილსუდსკი შემოვიდა სეიმში, კომუნისტების და დაჩაგრულ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების სკამებიდან გაისმა ხმა: „ძირს პილსუდსკის ფაშისტური მთავრობა". პილსუდსკიმ ამაზე მათ პასუხი გასცა განცხადებით: „ეს ვაჟბატონები გაგდებულ იქნებიან"-ო. ამის თქმა და შეიარაღებულ პოლიციელების თანხლებით შინაგან საქმეთა მინისტრის შემოვარდნა სეიმში ერთი იყო. მთავრობის წინააღმდეგ მოწყობილ ამ ჩვეულებრივ ობსტრუქციისათვის ხსენებული დეპუტატები გარეთ გაათრიეს, მათ სცემეს და ციხეში უკრეს თავი. ამაზე უფრო უხეშად დარღვევა—დეპუტატების ხელშეუხებლობის უფლების და მთელი პარლამენტის აბუჩად აგდება წარმოუდგენელია. პარლამენტარული წესების თვალსაზრისით, ამაზე მსჯელობა შეუძლია ერთის მხოლოდ პარლამენტმა, და არა მთავრობამ. პოლონეთის სეიმს რომ ჰქონოდა თავის ღირსების პატივისცემა, პილსუდსკის მიერ მისთვის ასეთი სილის გაწვნის შემდეგ მთავრობას გაკიცხვას გამოუტანდა და გადააყენებდა. მაგრამ მისი „ოპოზიციონური" ჯგუფებიც, ერთგვარი დაბნეულობის შემდეგ, „მორიგ საქმეებზე" გადავიდნენ.

პირველი შემთხვევა არ არის, როცა პილსუდსკი ამცირებს და არავითარ ანგარიშს არ უწევს სეიმს, თუ უკანასკნელი ასე თუ ისე გაბედავს მის წინააღმდეგ სიტყვის დაძვრას. „ურჩობისათვის" ხშირად დათხოვნილად გამოცხადდება ის. პილსუდსკის ეხლანდელი დამოკიდებულება სეიმისადმი მოწმობს, რომ უკანასკნელი სრულ არარაობას წარმოადგენს და პილსუდსკი მას სცნობს მხოლოდ იმდენად, რამდენად იგი მისი პოლიტიკის ბრმა იარაღი იქნება.

და ეს სჩანს არა მარტო ზევით მოყვანილ ინციდენტიდან, არამედ ბევრ სხვა რამიდანაც. პილსუდსკიმ ამას წინეთ განაცხადა, რომ სეიმმა უნდა „ითანამშრომლოს" მთავრობასთან, მთავრობა უნდა ღებულობდეს მონაწილეობას სეიმის სხდომების დღისწესრიგის შედგენაში, სეიმმა უნდა მიიღოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი, აგრეთვე უნდა შეიცვალოს კონსტიტუცია იმ აზრით, რომ პრეზიდენტს უფლება მიეცეს დამოუკიდებლად გადასწყვიტოს ზოგიერთი საკითხები, კერძოდ მისი უფლებები უნდა გაფართოვდეს საგარეო პოლიტიკის დარგში. ამ წინადადების მიღება ნიშნავს სეიმზე მთავრობის სრული კონტროლის დაწესებას, პირველის დაქვემდებარებას მეორისადმი და სეიმის გადაქცევას სავსებით უუფლებო ინსტიტუტად. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პილსუდსკიმ მოითხოვა სეიმისაგან სეიმის თავმჯდომარედ თავის კაცის, ბარტელის არჩევა, რომელიც, მისი სიტყვით, შესაძლებელს გახდიდა სეიმის თანამშრომლობას მთავრობასთან.

სეიმმა თავის თავმჯდომარედ ხმის დიდი უმრავლესობით აირჩია არა პილსუდსკის კანდიდატი, არამედ პოლონეთის „სოციალისტურ" პარტიის ლიდერი, დაშინსკი. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, მაინც არ ნიშნავს, რომ სეიმი თითქო რამე სერიოზულ ბრძოლას აპირებდეს პილსუდსკის დიქტატურის წინააღმდეგ. სოციალისტების და ბურჟუაზიულ პარტიების უხერხემლო და თვალთმაქცური ოპოზიციონერობის ფასი ცნობილია.

ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი ყველგან ღრმა კრიზისს განიცდის. გაბატონებული კლასები მშრომელ მასების დასამონებლად ფაშისტურ დიქტატურის გზას ადგანან. პილსუდსკის პოლონეთის მაგალითიც ამას საუკეთესოდ ადასტურებს. ეს უეჭველად ხელს შეუწყობს მასსებში „დემოკრატიულ" ილიუზიების გაქარწყლებას და მათ რევოლიუციონურ დარაზმვას ძირ გამომპალ ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმის და ფაშისტური დიქტატურის დასამხობად.

სწორი გეზი

როგორც ვიცით, კომინტერნის აღმასკომის უკანასკნელმა პლენუმმა გამოიტანა მთელი რიგი დადგენილებები, რომლებიც მოასწავებენ კურსის მნიშვნელოვანად აღებას მარცხნივ. ეს კურსი თავის გამოხატულებას პოულობს კომპარტიების ტაქტიკურ ხაზის შეცვლაში, რომელიც ეხება აგრეთვე საარჩევნო ტაქტიკასაც (დამოუკიდებელ კომუნისტურ კანდიდატურების წამოყენება და სხვ.).

ჯერ ეხლა შეიძლება ვილაპარაკოთ განსაკუთრებული პირობითი მნიშვნელობით კომინტერნის მიერ აღებულ კურსის შემოწმებაზე, რასაც ამბობენ და ფიქრობენ ეხლა ჩვენზე ჩვენი „სოციალისტი" მოწინააღმდეგენი— ერთად დამახასიათებელია კომინტერნის მიერ აღებულ კურსის სისწორის შესამოწმებლად.

ინგლისის რეფორმიზმის მთავარმა ორგანომ —„საითონით" ალაპარაკებულ „დეილი ჰერალდ"-მა მიიღო თუ არა ცნობები კომინტერნის აღმასკომის გადაწყვეტილებების შესახებ ინგლისის საკითხზე, საჭიროდ ჩასთვალა დაუყოვნებლივ განემარტა თავის მკითხველებისათვის, რომ კომუნისტებმა გადასწყვიტეს „დაეხმარონ კონსერვატორებს", ვინაიდან მათ არ სურთ იმუშაონ ოპორტუნისტულ მუშათა პარტიაში, უადგილო არ იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ ამ პარტიის კარები რეფორმისტებს მაგრად აქვთ გამოკეტილი, რათა არ შეეპაროთ „კომუნისტური სენი". ამასთანავე რეფორმისტულმა გაზეთმა ინება უაღრესად მზრუნველი სახე მიეღო და „კმაყოფილება" გამოეთქვა იმ ფაქტის გამო, რომ ინგლისის მუშები, დაბოლოს, გაეცნობიან კომუნიზმის ფუქსავატურ ბუნებას და შეიგნებენ, რომ ბოლდუინის ყველაზე უფრო საშიშარ მტრებს წარმოადგენენ „დეილი ჰერალდ"-ის პატივცემული რედაქტორები.

გერმანელ სოციალ-გამცემლების მთავარი ორგანო „ფორვერტს"-ი რამოდენიმედ სხვა ტონს იღებს. შტამპფერს უკვე საჭიროდ აღარ მიაჩნია ტაქტიკის და „კმაყოფილების" ნიღაბის გაკეთება.

ის ათავსებს მოწინავე წერილს მისხანე ამ ზათაურით—„მოსკოვი ეხმარება ბოლდუინს", ბრალს სდებს კომინტერნს სხვადასხვა და სხვა ცოდვებში, მიმართავს „ბოლშევიზმის მომხრე ინგლისელ მუშებსაც კი" და მათ „ინტელიგენტ ხელმძღვანელებსაც" და ურჩევს მათ არ აჰყვნენ კომინტერნის დამღუპველ ტაქტიკას, ვინაიდან კომინტერნი პროლეტარიატის მტრად სთვლის ისეთ ხალხსაც კი, როგორიც არის მაკდონალდი. კომინტერნის ხაზს შტამპფერი სთვლის „მუშებისადმი დალატად".

კოთილშობილი „პროლეტარული ბელადი" და ბელგიის მეფის ახლო ვანდერველდე ვანდერველდე „პეუპლ დი ბრუქსელ"-ში აგრეთვე უფრო მეტ აღშფოთებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ კომინტერნმა „უღალატა" მუშათა კლასის ინტერესებს (ამ ინტერესებს ის, რა თქმა უნდა, მჭიდროდ აკავშირებს თავის კუთვნილ პორტფელთან). ბატონი ემილი ფიქრობს, რომ „მოსკოვი სცდება", რომ „კომუნიზმი და საფრანგეთში უძლურია", რომ „მოსკოვს დასავლეთში შეიძლება დაეხმაროს მხოლოდ სოციალისტური დემოკრატია", და თავის ანგარიშებს საკმაოდ გარკვევით აგებს იმაზე, რომ და საფრანგეთის კომუნისტები წინააღმდეგობას გაუწევენ კომინტერნის ტაქტიკას.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვუტოვებთ ბატონ შტამპფერს და განდერველდეს იმის უფლებას, რომ იმედი ჰქონდეთ რისაც ნებავთ. აგრეთვე ჩვენ გული აგვიჩუყა ვანდერველდეს მზრუნველობამ მოსკოვის ინტერესებზე და მისმა „დახმარებამ" (ღმერთმა დაგვიფაროს ასეთ „მეგობრებისაგან").

გადავრჩეთ არსებითად რეფორმისტების არგუმენტაცია.

უწინარეს ყოვლისა აღვნიშნოთ ზემოხსენებულ ვაჟბატონების წინააღმდეგობა ერთმანეთთან და თავის თავთან. თუ კომუნიზმი მართლაც უძლურია დასავლეთში, რაღა საჭიროა მის წინააღმდეგ დღითი-დღე, წლიდან-წლამდე ასეთი აღშფოთებული მოწინავე წერილების წერა? და თუ, სოციალ-დემოკრატებს, რომ დავუჯეროთ, დასავლეთის კომუნისტი მუშებიც კი წინააღმდეგი არიან კომინტერნის ახალი კურსის, რატომ არ უხარიათ ეს სოციალ-დემოკრატებს, მაშინ, როდესაც სინამდვილეში მათი ნაძალადევად გამხიარულებული სახე მეტად დაღვრემილი მოსჩანს? დაბოლოს, მხოლოდ აშკარა სულელს შეუძლია სერიოზულად მიიღოს შტამპფერის იეზუიტური ლაყბობა. „მოსკოვი ეხმარება ბოლდუინს". სწორედ, სხვა საზრუნავი აღარაფერი აქვს „მოსკოვს", თუ არა თავის „საყვარელ" ბოლდუინისათვის დახმარების აღმოჩენა! (ბოლდუინისათვის დახმარების აღმოჩენის მხრივ, ვფიქრობთ უმჯობესია, რომ ამ ვაჟბატონებმა თავის-თავზე დიხედონ). მთავარი საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ გამოირკვეულ იქნას ნამდვილი ხაზი პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. სინამდვილეში ეს ხაზი გადის არა სოციალ-დემოკრატებსა და კომუნისტებს შორის ერთის მხრივ და სხვა პარტიების — მეორე მხრივ, არამედ კომუნიზმსა და ყველა ბურჟუაზიულ პარტიებს შორის (მემარცხენე „სოციალისტების" ჩათვლით). აქ არის განვითარების გზაზე შემდგარ კლასობრივ ბრძოლის რეალური ღერძი. კომინტერნის ამოცანა ეხლა იმაში მდგომარეობს, რომ გამოიყვანოს ფართო მასების საერთო გამემარცხენების, რათა ეს გამემარცხენება მიმდინარეობდეს არა უბრალოდ (საერთოდ რომ ვსთქვათ, გამემარცხენება შეიძლება მიმდინარეობდეს მემარცხენე-ბურჟუაზიული, წვრილბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული ხაზით), არამედ რევოლიუციონურ-პროლეტარული ბრძოლის ხაზით, კომუნიზმის ხაზით. ამაშია კომინტერნის ტაქტიკის მთავარი მომენტი, აქედან გამომდინარეობს კომინტერნის მიერ აღებული გეზი კომპარტიებს კიდევ უფრო დიდი დამოუკიდებლობისა დღევანდელ პერიოდში.

ეს ესმის ბურჟუაზიის სერიოზულ იდეოლოგებს და პოლიტიკოსებს. მათ მშვენივრად აქვთ წარმოდგენილი, თუ სად მარხია ძაღლის თავი. ჩვენ არ ჩამოვთვლით ყველა იმ ფაქტებს, რომლებიც მოეხსენება ყველას, მათ შორის სოციალ-დემოკრატებსაც და არ დავასახელებთ უდიდეს და ყველაზე უფრო „მსვლელ" ბურჟუების განცხადებებს კომუნიზმის და „სოციალიზმის" შესახებ. ყველას ახსოვს ჯეისონ ხიქსის კილვა, გაგზავნილი „მემარცხენე" სიტრინის მისამართით. ჩვენ ვურჩევდით სოციალ-დემოკრატებს ძალიან ნუ გააგრძელებენ სიტყვას კომუნისტების მიერ მემდღერბურგისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

გერმანელ მუშებს ძალიან კარგად ახსოვთ მეოცე ომის გამოცდილება, თუმცა ეს მოსკ და მაინც ვერ არის სასიამოვნო სოციალ-დემოკრატებისათვის. ეხლა ხომ სწორედ გერმანელი სოციალ-დემოკრატები გამოდიან ჰინდენბურგის რესპუბლიკისა და „დემოკრატიის" გაამუფრულებულ დამცველებად.

სოციალ-რეფორმისტების სულელური თეზისი იმის შესახებ, რომ კომუნისტების წარმატება არის ბურჟუაზიისათვის დახმარების აღმოჩენა, განსაკუთრებით სასაცილოდ მოსჩანს, თუ მხედველობაში მივიღებთ ამას წინად პოლონეთში მომხდარ სეიმის არჩევნების შედეგებს. მიუხედავად იმისა, რომ პოლონელი რევოლიუციონერები ჩაყენებული იყვნენ საკატორღო არალეგალურ პირობებში, მათ სასტიკად დაამარცხეს პოლონეთის სოციალისტური პარტია ინდუსტრიალურ მუშურ ცენტრებში.

ყველამ იცის, თუ რამდენად „კმაყოფილი" იყო ამ „დახმარებით" პოლონეთის რეაქცია, რომელმაც თავის რისხვა დაატეხა პოლონეთის სოციალისტურ პარტიას იმის გამო, რომ უკანასკნელს არა აქვს „კომუნისტურ მტერთან" ბრძოლის უნარი,—და რომელმაც სეიმის გახსნა აღნიშნა კომუნისტურ დეპუტატების უსაზიზღრესი ცემა-ტყეპით. აბა სინჯეს ვინმემ და შტამპფერ-ვანდერველდეს თეორიის თვალსაზრისით ახსნან ეს პოლონური „რებუსი". ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ თვით შტამპფერიც კი ვერ მოგვცემს აქ ვერავითარ პასუხს.

როგორც სრულიად ახალ და განსაკუთრებით თვალსაჩინო მაგალითს, ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას იმ სიტყვაზე, რომელიც წარმოსთქვა ბერლინში საფრანგეთის ბურჟუაზიის ყველაზე უფრო შესანიშნავმა ბელადმა პუანკარემ. პუანკარემ თავის პოგრამულ სიტყვაში ძლიერ დამახასიათებლად შეადარა კომუნისტები და სოციალისტები და ცხადად გარკვევით აგვიწერა, თუ ვინ ურჩევნია მას.

პუანკარე აღიდებს „ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს", რომლითაც სახელით გაზვიადებულ სწავლობენ საპყრობილეებში ჩაყრილ ფრანგ რევოლიუციონერ მატროსებს. პუანკარე კომუნისტებს უწოდებს „სამშობლოს მტრებს". ა—სოციალისტები კი სულ სხვა საქმეა.

„სოციალისტების" სახით პუანკარე ხედავს „ლოიალურ ოპოზიციას, რომელიც თუმცა არ უარყოფს თავის დოქტრინებს და არასოდეს არ გვაძლევს ჩვენ თავის ხმებს, მაგრამ მაინც უარყოფს უკუმ გამოსვლებს, რათა არ შეუქმნას მტრის მეტად დიდი დაბრკოლებები ჩვენს მოღვაწეობას, რომელიც მას არ მიაჩნია უსარგებლოდ და აგრეთვე აგრესიულად".

ამრიგად, მსოფლიო რეაქციის ისეთი ბელადისათვის, როგორიც არის პუანკარე, სოციალისტები წარმოადგენენ სავსებით მისაღებ „ლოიალურ ოპოზიციას" და თვითონ პუანკარე სოციალისტების მიმართ სრულებითად „არ არის აგრესიულად" განწყობილი.

დიე ეხლა „ფორვერტს"-ის რედაქტორებმა ჰკითხონ თავის ფრანგ კოლეგებს—„პოპიულერ"-ის რედაქტორებს, თუ რა გუნებაზე არიან ისინი პუანკარეს ასეთი სიტყვის გამო, რომელიც ამდენად სწყალობს სოციალ-დემოკრატებს და ესოდენ ცერადაული და ბოღვრომილია კომუნისტების მიმართ! ნამდვილ კლასობრივ ბრძოლაში მტრები და მეგობრები ყოველთვის საუკეთესოდ გამოიცნობა.

ევროპის ქვეყნების კომუნისტმა მუშებმა მიტომ კი არ აღფრთოვანდეს განსაკუთრებულად რევოლიუციონურ-პროლეტარული ბრძოლის ღროშა, რომ საარჩევნო ტრიუმფები ჩააბარიან სოციალ-გამცემლებს. კომინტერნის აღმასკომის პლენუმმა სავსებით სწორი გეზი აიღო. პუანკარეს გაავტორებს, შტამპფერებს და ვანდერველდეებს იეზუიტური ლაყბობა აღებული კურსის სისწორის საუკეთესო საწინდარია. კომპარტიების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მტკიცედ, შეურყევლად შეასრულონ რეაქციის თავდადებული შეტევები. რამდენადაც უფრო მაგარი იქნება კომუნისტური ავანგარდის ნერვები და სიმტკიცე, მით უფრო ძლიერ გაიზრდება კომუნიზმის გავლენა მასებში.

„პრავდა", 28 მარტი.

პილსუდსკის დამარცხება სეიმში

სეიმის ახალ თავმჯდომარედ არჩეულია პეპეესოველების კანდიდატი

კომუნისტი დეპუტატები მოუწოდებენ მუშებს პილსუდსკის დიქტატურასთან ბრძოლისაკენ

პილსუდსკის დამარცხება სეიმში

ვარშავა, 28 მარტი. დღეს გაიხსნა ახალი შემადგენლობის სეიმი. სეიმში გამოცხადდა პილსუდსკი სამხედრო ფორმაში, ადიუტანტების თანხლებით.

როცა პილსუდსკიმ დაიწყო ლაპარაკი, კომუნისტების, ბელორუსთა, უკრაინელ რადიკალების და „სელრობ"-ის სკამებიდან მოისმა ხმები: „ძირს პილსუდსკის ფაშისტური მთავრობა".

პილსუდსკი იშვერს თითს დარბაზის მარცხენა მხარისაკენ და აცხადებს: „ეს ბატონები გაძევებულ იქნებიან". ამ სიტყვებისთანავე დარბაზში შემოდის შინაგან საქმეთა მინისტრი სლავოიკოვსკი პოლიციის რაზმით, რომელიც ნაწილობრივ შეიარაღებულია ვინტოვკებით.

სლადკოვსკი უჩვენებს კომუნისტებზე და უკრაინელ პოლიციელებს: „წაიყვანეთ ესენი". პოლიციელებს დარბაზიდან გამოყავთ კომუნისტები ვარსკი, სოჩაცკი და ვავრონი (დომბროვის რაიონის დეპუტატი), უკრაინელი რადიკალები ბოჩანსკი და ჟუკი, უკრაინის შრომის პარტიის წევრი ზაჩიდნი და ვიზვოლენიეს წევრი სმოლი. დარბაზში არაჩვეულებრივი ხმაურობაა. პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრებიც კი დგებიან ფეხზე და ყვირიან: „სირცხვილი"! „საზიზღრობაა"! და სხ.

ვიზვოლენიეს ფრაქციის თავმჯდომარე ვოიციკი ყვირის: „კარგი დასაწყისია". დამსწრე საზოგადოებაში და დიპლომატიურ ლოჟებში ნერვიულობა იზრდება. პილსუდსკის მომხრე დეპუტატები ცდილობენ მანიფესტაციის მოწყობას პილსუდსკის სასარგებლოდ, რასაც ისინი ვერ ახერხებენ. ეროვნულ უმცირესობათა დეპუტატები ურახუნებენ პიუპიტრებზე. ხმაურობის დროს პილსუდსკი სდგას ტრიბუნაზე და, დაბოლოს, იწყებს თავის სიტყვას. შემდეგ პილსუდსკის მიწვევით უხუცესი (წლოვანებით) დეპუტატი ბოიკო შეუდგა სეიმის დროებითი თავმჯდომარის მოვალეობის ასრულებას.

ოპოზიციის დემონსტრაციამ და პოლიციის ჩარევამ საქმეში უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც ხალხმა გაიგო, რომ პოლიციელებმა დარბაზიდან გაყვანილ დეპუტატებს სცემეს სეიმის დერეფნებში და დააპატიმრეს ისინი. დეპუტატების მიერ ფიცის მიღების შემდეგ სხდომა დროებით შეწყდა. სხდომის განახლებამდე კომუნისტ-დეპუტატმა ბიტნერმა სეიმის დროებით თავმჯდომარეს მიმართა მოთხოვნილებით მიეღო ზომები დაპატიმრებულთა დაუყოვნებლივ განთავისუფლებისათვის. 20 წუთის შემდეგ გამოუშვეს დაპატიმრებული დეპუტატები. კომუნისტ - დეპუტატმა სოჩაცკიმ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ დარბაზიდან გაყვანილ დეპუტატებს სცემეს სეიმის დერეფნებში და წაიყვანეს ისინი ოხრანკის შენობაში, სადაც ჩასვეს საკნებში. რამდენიმე წუთის შემდეგ მათ უბრძანეს მომზადებულიყვნენ და ავტომობილებით წაიყვანეს სეიმის შენობაში. სეიმის სხდომა განახლდა 8 ს. 30 წუთზე. სეიმი შეუდგა თავმჯდომარის და სხვა თანამდებობის პირთა არჩევას.

სეიმის თავმჯდომარედ არჩეულია დაშინსკი

ვარშავა, 27 მარტი. სეიმის თავმჯდომარედ არჩეულია პოლონეთის სოციალისტური პარტიის დეპუტატი დაშინსკი, რომელმაც მიიღო 206 ხმა. პილსუდსკის მომხრეთა კონტრ-კანდიდატმა ვიცე - პრემიერმა ბარტელმა მიიღო 142 ხმა. კომფრაქციის კანდიდატმა მიიღო 17 ხმა. პილსუდსკის მომხრეებმა დასტოვეს სხდომის დარბაზი, მთავრობის სკამები დაცარიელდა. დაშინსკი გამოვიდა მოკლე სიტყვით, რომელშიაც განაცხადა, რომ დაიცავს სეიმის ავტორიტეტს და მის უფლებებს, რის შემდეგ რიგ გარეშე განცხადებისათვის სიტყვა მისცა კომუნისტ ბიტნერს. „ის, რაც დღეს სეიმში მოხდა — განაცხადა ბიტნერმა — წარმოადგენს საარჩევნო ტერორის შემდგომ განვითარებას. ამ ტერორის მთელი სიმძიმე მხრებზე აწევს მუშათა კლასს. ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთ მუშათა მასებს განაგრძონ ბრძოლა პილსუდსკის დიქტატურის წინააღმდეგ და პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად". ბიტნერის შემდეგ გამოვიდა მემარცხენე „სელრობის" წარმომადგენელი ვალნიცკი, რომელმაც განაცხადა, რომ უკრაინელ მუშათა და გლეხთა მასების სახელით უერთდება კომუნისტურ ფრაქციის განცხადებას". (ადს)

სენატის თავმჯდომარე

ვარშავა, 27 მარტი. სენატის თავმჯდომარედ არჩეულია პილსუდსკის მომხრე შიმანსკი. (ადს).

პოლონეთის სენატის პრეზიდიუმი

ვარშავა, 27 მარტი. სენატის თავმჯდომარის ამხანაგებად ამორჩეულნი არიან: მთავრობის ბლოკის კანდიდატი ზლივიცი, პოლონეთის სოციალისტური პარტიის კანდიდატი პოზნერი და უკრაინელი ვალიუშინსკი.

ამხ. ვარსკი — სეიმის კომფრაქციის თავმჯდომარე

ვარშავა, 28 მარტი. კომუნისტების საპარლამენტო კლუბის (სეიმის კომფრაქცია) თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ვარსკი (ადს).

ჩინეთის კომუნისტური რაზმების ბრძოლა

კომუნისტების შეტევა

შანხაი, 27 მარტი. გონკონგიდან მიღებული ცნობებით, ჯარისკაცებმა, რომლებსაც კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ, გუილის რაიონში (გუანდუნის ჩრდილო - აღმოსავლეთი) შეტევა დაიწყეს კანტონის ჯარების წინააღმდეგ. (ადს)

შანხაი, 27 მარტი. „სინ ვენ ბაო"-ს ცნობით, შანდუნის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში ძლიერდება აჯანყებულთა მოძრაობა. აჯანყებულთა რაზმებმა, რომლებიც 10.000 კაცისაგან შესდგება და 6.000 ვინტოვკით არიან შეიარაღებული, წარმატებით შეუტიეს შანდუნის ჯარებს და ხელთ იგდეს 1.000 ვინტოვკა. (ადს)

აჯანყებულები სვატოუში

შანხაი, 27 მარტი. კანტონის არმიის პოლკი, რომელიც შარშან აჯანყდა, ამჟამად იმყოფება პუნინის მაზრაში, ნავთსადგურ სვატოუს მახლობლად და დაჭერილი აქვს ჩილინის და ჩიმეის რაიონები. (ადს)

მუკდენელების დამარცხება

შანხაი, 27 მარტი. შანსის გუბერნატორის შტაბის ცნობით შანსის ჯარებმა დაამარცხეს მუკდენელები პინგუანის რაიონში. (შანსის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი). მუკდენის ჯარებმა უკან დაიხიეს ქალაქ ინჩეუს რაიონში (შანსის ჩრდილო - აღმოსავლეთი ნაწილი).

განხეთქილება მილიტარისტებს შორის

შანხაი, 27 მარტი. „იუნაიტედ პრეს"-ის ცნობით, ჩანშაში გაიმართა უხანის იმ ჯგუფების მეთაურების კონფერენცია, რომელსაც ბაი ცზუნ-სი მეთაურობს. კონფერენციამ გადასწყვიტა არ დაუჭიროს მხარი ჩრდილოეთის ექსპედიციას (ადს).

ჩენ-ჩიენი დახმარებას ითხოვს

შანხაი, 27 მარტი. ჰონკონგის „ისტერნ ტაიმს"-ის ცნობით, გენერალმა ჩენ-ჩიენმა კანტონის მთავრობას მიმართა თხოვნით—გადაგზავნოს ხუნანის პროვინციის სამხრეთ ნაწილში ჯარები იმ აჯანყებულთა რაზმების გასანადგურებლად, რომლებსაც კომუნისტები მეთაურობენ (ადს).

კომუნისტების დაპატიმრება

შანხაი, 27 მარტი. გომინის სააგენტოს ცნობით, 26 მარტს შანხაიში დააპატიმრეს ორი რუსი—ბურლაკოვი და ზავადსკი, რომელთაც კომუნისტობა ბრალდებათ. დაპატიმრებულნი გადაგზავნეს ნანკინში საგანგებო სასამართლოსთვის გადასაცემად (ადს).

ტერორი შანხაიში

შანხაი, 27 მარტი. რეაქციონური „ნორდ ჩაინა დეილი ნიუს"-ი აღნიშნავს, რომ შანხაიში გახშირდა ტერორისტული აქტები. ოთხი დღის განმავლობაში მოკლეს ხუთი მუშა. შანხაის გარნიზონის უფროსმა მთავარ საფოსტო კანტორაში ჩაიგდო პაკეტი ფოსტის თანამშრომლებში კომუნისტური აგიტაციის აღსაკვეთად.

ჟენევის მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ

მთავარი საზრუნავი საგანი

ნიუ - იორკი, 27 მარტი. ჟენევიდან მიღებული ცნობით, იმპერიალისტური სახელმწიფოები ამჟამად სცდილობენ გამონახონ ისეთი, საშუალებები, რომლებითაც შეუძლებელი გახდება განიარაღების კომისიის უახლოესი სესიის ხელში ჩაგდება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მიერ".

„ამ სესიაზე, — სწერენ კორესპონდენტები, — არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ საპარლამენტო პროცედურის პრინციპებს და ამიტომ კომისია უმწეო აღმოჩნდა ბერნსდორფის და ლიტვინოვის გალაშქრების წინაშე". (ადს)

ამერიკული პრესის გამოძახილი

ნიუ-იორკი, 27 მარტი. ფინანსიურ საქმიან წრეების ორგანო „კრონიკლ"-ი, ეხება კიუშენდენისა და გიბსონის გამოსვლას განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში, სწერს:

„ვერც ერთმა მათგანმა ვერ შესძლო ლიტვინოვის ბრალდებების უარყოფა, ერთა ლიგას არაფერი არ გაუკეთებია განიარაღებისათვის. ერთა ლიგა დაუსრულებელ დებატებს მართავდა, მაგრამ არაფერს არ აკეთებდა. ლიგა თავისთავად წარმოადგენს უდიდეს დაბრკოლებას განიარაღებისათვის. მისი წესდების პუნქტები, რომლებიც ეკონომიურ ბოიკოტს ითვალისწინებენ, სამხედრო ზომებს უდრის, ვინაიდან ისინი უშუალოდ ომს იწვევენ. ინგლისს, საფრანგეთს, იტალიას და მცირე ანტანტას არ სურთ განიარაღება". (ადს)

იაპონია-საბჭოთა ურთიერთობის გარშემო

ტოკიო, 27 მარტი. ტოკიოს უცხოელთა წრეებში აღნიშნავენ, რომ მთავრობის პარტია სეიუკაის შიგნით ადგილი აქვს უთანხმოებას უკიდურეს მემარჯვენე ფრთასა (რომელსაც სუზუკი მეთაურობს) და ზომიერ ჯგუფს შორის —(ამ ჯგუფს მეთაურობს პრემიერი ტანაკა). სუზუკის ჯგუფი მოითხოვს რეპრესიებს მუშათა კლასის წინააღმდეგ და ხელს უწყობს ანტი-საბჭოთა გამოსვლებს. ტანაკა—წინააღმდეგია იაპონია-საბჭოთა ურთიერთობის გაუარესების და პროლეტარიატის წინააღმდეგ შეტევის გაძლიერების. (ადს).

ავღანისტანის პრესა ინგლის-სპარსეთის კონფლიქტის შესახებ

ქაბული, 27 მარტი. ავღანური გაზეთი „ომარ და აფგანი" ბეჭდავს წერილს, რომელიც ეხება კონფლიქტს სპარსეთსა და ინგლისს შორის ბაჰრეინის კუნძულების გამო. გაზეთი სწერს: „თუ ინგლისი ფიქრობს ისარგებლოს აღმოსავლეთის სისუსტით, როგორც ამას ჩადიოდა დიდი ხნის განმავლობაში, როცა ის თავის კოლონიალურ მისწრაფებებს აკმაყოფილებდა ხიშტების საშუალებით, იგი სცდება. აღმოსავლეთი აღარ არის ის, რაც იყო ასი წლის წინედ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სპარსეთის ხალხი არასოდეს არ აიღებს ხელს თავის უფლებებზე". (ადს).

ქვემო უელსის მაღაროელთა გაჭირვება

ლონდონი, 27 მარტი. მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სპეციალური კომისია, რომელმაც ქვემო უელსის მემაღაროეთა მდგომარეობა გამოიკვლია, თავის ანგარიშში იუწყება, რომ გლამორგანის და მონმაუტის საგრაფოებში 106.425 უმუშევარი მემაღაროეა. მონმაუტში თითქმის ყველა მთავარ მაღაროში მუშაობა შეწყვეტილია და მემაღაროებს საშუალება არა აქვს სხვა სამუშაო იშოვონ, რადგან რაიონის ძირითადი მრეწველობა —ქვანახშირის წარმოებაა. ცუდი კვების გამო ბავშვების წონა აკლდებათ. მონმაუტის საგრაფოში 8.000 ბავშვზე მეტი სკოლაში ვერ დადის, რადგან ფეხსაცმელი არა აქვთ, და 2.500-ზე მეტი იმის გამო, რომ ტანისამოსი აკლიათ. რონდის ხეობაში არც ერთი მაღარო არ მუშაობს სრულის დატვირთვით და ბევრიც შეჩერებულია. სიღარიბის გამო გაწეული დახმარება უმნიშვნელოა. ქალაქ მარდიში მემაღაროებმა, რომელთაც უმრავლესობას პატარა სახლები ჰქონდა, მეტის-მეტად იაფად გაყიდეს სახლები. აბერდვენის სკოლაში კომისია გაოცდა ქალიშვილების ტანისამოსის მდგომარეობით. სიღარიბე ისეთი დიდია, რომ, როცა ვინმე კვდება, დასამარხ ხარჯს მთელი სოფელი აგროვებს.

ლონდონი, 27 მარტი. 26 მარტს მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ, მისი კომისიის ანგარიშთან დაკავშირებით, საკითხი აღძრა ქვა-ნახშირის რაიონებში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მაკდონალდი მოითხოვდა, რომ მთავრობა დახმარებოდა ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელიც ვერაფერს გააწყობს გაჭირვებასთან.

ჯანმრთელობის მინისტრმა განაცხადა: ვიდრე მთავრობა არ დარწმუნდება, რომ საქველმოქმედო ორგანიზაციებმა ყოველგვარი ხერხი იხმარეს გაჭირვების დასაძლევად, იგი არ დათანხმდება, რომ გამოყენებულ იქნას საზოგადოებრივი თანხები გაჭირვებულ რაიონებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. დებატების დროს ლიბერალ და კონსერვატორ დეპუტატების სკამები ცარიელი იყო (ადს).

ბოლდუინს არ სცალია

ლონდონი, 27 მარტი. ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომმა ბოლდუინს სთხოვა აღმასკომის დელეგაციის მიღება იმ მდგომარეობის შესახებ მოსალაპარაკებლად, რომელიც შექმნა ქვა-ნახშირის მრეწველობაში იმის გამო, რომ მაღაროების პატრონები განუწყვეტლივ ამცირებენ ხელფასს. ბოლდუინმა დელეგაცია არ მიიღო: დრო არა მაქვსო. (ადს).

ფეიქართა გაფიცვა

პარიზი, 27 მარტი. ალზასში გაფიცულმა ფეიქრებმა მოაწყვეს ინტერნაციონალური დემონსტრაცია 10.000 მუშის მონაწილეობით. დემონსტრანტები გადავიდნენ ბელგიის საზღვარზე და გამართეს იქ მიტინგი, რომელზედაც გამოვიდა ბელგიის პროფკავშირთა ქალაქ მენენის ორგანიზაციის წარმომადგენელი და საფრანგეთის ფეიქართა უნიტარულ პროფკავშირის წარმომადგენელი. ორატორებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა საერთო გაფიცვის გამოცხადება (ადს).

ამხ. მარკოვიჩი ციხეში

ვენა, 27 მარტი. ხორვატიის ყოფილი დეპუტატი—კომუნისტ სიმა მარკოვიჩი და ცხრა მისი ამხანაგი, რომლებიც ავსტრიის ხელისუფლებამ სამხრეთ-სლავიის პოლიციას გადასცა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ დაპატიმრება [illegible] საზღვარზე არალეგალურად გადასვლის გამო (ადს).

ამხ. პიკისა და ე ერლეინის საქმე

ბერლინი, 27 მარტი. პრუსიის ლანდტაგმა უარჰყო პროკურატურის თხოვნა იმის შესახებ, რომ ლანდტაგის კომუნისტ დეპუტატებს პიკსა და ებერლეინს შეუვალობის უფლება წართმეოდა; მათ ბრალი ედებათ ეგრეთწოდებულ „[illegible] კომისიის" საქმეზე.

გერმანია-ლიტვის მოლაპარაკება

ბერლინი, 27 მარტი. ლიტვის მთავრობამ წინადადება მისცა გერმანიის მთავრობას 12 აპრილს დაიწყონ მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ. გერმანიის მთავრობას ჯერ-ჯერობით არ გაუცია პასუხი ამ წინადადებაზე (ადს).

პატიმართა სიმშილობა

ვენა, 27 მარტი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, ორადეა-მარეში დაპატიმრებულმა მუშებმა და აგრეთვე პროფკავშირების უნიტარული საბჭოს თავმჯდომარემ მილერმა (რომელიც კლაუზენბურგში დააპატიმრეს) სიმშილობა გამოაცხადეს უკანონოდ დაპატიმრებისა და დაპატიმრებულთა საშინელი პირობების წინააღმდეგ (ადს).

ინგლისური ჭორები

ქაბული, 27 მარტი. ინგლისის პრესაში გამოქვეყნებული ცნობები, თითქოს ავღანისტანის, სამხრეთ ნაწილში არეულობას ჰქონდეს ადგილი,—ინგლისის გაზეთების ფანტაზიის ნაყოფია და არ შეეფერება სინამდვილეს. მთელ ავღანისტანში სრული სიწყნარე და სიმშვიდეა. არავითარი არეულობას არა აქვს აგრეთვე ადგილი სამხრეთ-ავღანისტანში და კერძოდ ხოსტში, რომელიც 1924 წ. აჯანყების ასპარეზს წარმოადგენდა. მთელ ქვეყანაში არ ხდება არავითარი ისეთი ამბები, რომელთაც შეუძლია შიში გამოიწვიოს (ადს).

გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

ვინ უფრო იზარალებს

ბერლინი, 27 მარტი. მემარცხენე ბურჟუაზიულ ყოველკვირეულ „ველტბიუნე"-ში დაბეჭდილია წერილი. რომელიც აკრიტიკებს გერმანიის მთავრობის დამოკიდებულებას შახტის საქმისადმი. წერილის ავტორი, თუმცა დარწმუნებულია გერმანელ ინჟინერების უდანაშაულობაში, მაგრამ მიუხედავად ამისა უსაფუძვლოდ მიაჩნია იერიშები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ავტორი აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელ დროს გერმანიაშიაც ძალიან გახშირდა პროცესები ეკონომიური ჯაშუშობის შესახებ, მაგრამ „უცხოელ კონსულებს ან ელჩებს არ უხდებათ მონაწილეობის მიღება გერმანიის სასამართლოს მოქმედებაში და აგრეთვე არც ყოფილა შემთხვევა, რომ უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებს გაებერათ ასეთი საქმეები ან და უცხო სახელმწიფოებს თავის ქვეშევრდომების დასაცავად მაშინვე შეეწყვიტათ გერმანიასთან ეკონომიური მოლაპარაკება". დასასრულ წერილის ავტორი ლაპარაკობს, რომ „გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ მიღებული რეპრესიული მეთოდები ეწინააღმდეგება გერმანიის მართლ-მსაჯულების პრინციპს, რომელიც ამბობს, რომ არ შეიძლება დაუმთავრებელ საქმეში ჩარევა. გერმანია-საბჭოთა ეკონომიურ მოლაპარაკების შეწყვეტას ბევრი არასასიამოვნო შედეგები მოყვება გერმანიისათვის". (ადს)

ინგლისის კომკავშირის ყრილობა

ლონდონი, 27 მარტი. 25 და 26 მარტს ლონდონში შესდგა ინგლისის კომუნისტური ახალგაზრდობის ლიგის ყრილობა. ყრილობას დაესწრო 100 დელეგატი და დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ახალგაზრდათა ორგანიზაციის მემარცხენე ფრთის სამი წარმომადგენელი. ყრილობამ ერთხმად მიიღო ლიგის კომიტეტის მოხსენება და ყველა რეზოლიუციები. კამათში გამოირკვა, რომ ოპოზიციონურ შეხედულებებს ემხრობა მხოლოდ ერთი დელეგატი. ყრილობა თავის რეზოლიუციაში სავსებით უერთდება კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმის რეზოლიუციას იმის შესახებ, რომ აუცილებელია უფრო მკაცრი პოლიტიკა მუშათა პარტიის მიმართ. „ახალგაზრდობის გილდიის" (დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ორგანიზაცია) დელეგატებმა გამოაცხადეს, რომ გილდიის მემარცხენე ფრთამ დაადგინა კოლექტიურად შევიდეს კომუნისტური ახალგაზრდობის ლიგაში. (ადს)

პროფინტერნის კონგრესი

მოსკოვი, 27 მარტი. პროფინტერნის კონგრესის 27 მარტის დილის სხდომაზე ამხ. გეიმ გააკეთა მოხსენება საერთაშორისო პროფმოძრაობის საორგანიზაციო საკითხების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რევოლიუციონურ პროფმოძრაობის მუშაობა უნდა ემყარებოდეს მუშათა ფართო მასების ჩაბმას პროფკავშირთა მუშაობის ძირითად საკითხების განხილვაში, ამასთანავე პროფმოძრაობის მთავარ ბაზას უნდა შეადგენდეს წარმოება. მასიური მუშაობის ჩატარება წარმოუდგენელია პროფკავშირთა ქვედა საფეხურის საჭირო კადრების შექმნისა და აღზრდის გარეშე, რისთვისაც საჭიროა დაწყებულ იქნას სკოლებისა და კურსების გახსნა პროფმოძრაობის საკითხებზე; აუცილებელია აგრეთვე სისტემატიური მონაწილეობა მიიღონ ხელმძღვანელ ორგანოების მუშაობაში ყველაზე უფრო თვალსაჩინო ყოველდღიურად ქვედასაფეხურებში მომუშავე ამხანაგებმა. ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში რევოლიუციონურ პროფმოძრაობის ძირითადმა ორგანიზაციებმა (შრომის უნიტარულმა კონფედერაციამ საფრანგეთში და პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანებამ ჩეხო-სლოვაკიაში), მთელ რიგ მიზეზების გამო, სათანადო სიმაღლეზე ვერ დააყენეს მუშაობა. ბრძოლა რევოლიუციონურ პროფმოძრაობის მომხრეთა გამორიცხვის წინააღმდეგ უნდა დაყენებულ იქნას, როგორც ფართო მასიური კამპანია (ადს).

მოსკოვი, 28 მარტი. პროფინტერნის მეოთხე კონგრესის საღამოს სხდომაზე 27 მარტს ლათინურ - ამერიკის დელეგაციების სახელით გამოქვეყნდა განცხადება ამხ. ნინის გამოსვლის შესახებ. განცხადებაში სხვათა შორის ნათქვამია:

„ამხ. ნინი გამოვიდა სიტყვით, რომელშიაც ილაშქრებდა საბჭოთა პროფმოძრაობის წინააღმდეგ. ჩვენ საჭიროდ ვსთვლით შევეხოთ ამ გამოსვლას, იმიტომ რომ ამხ. ნინის მუშაობას პროფინტერნში ჰქონდა დამოკიდებულება ლათინურ ამერიკის ქვეყნებთან. ამხ. ნინი ამტკიცებს, რომ პროფინტერნის ხაზი გადაიხარა მარჯვნივ, რომ საბჭოთა პროფკავშირებში თავი იჩინა მიმდინარეობამ პროფინტერნის ლიკვიდაციის სასარგებლოდ, რომ საბჭოთა პროფკავშირებში არ არსებობს დემოკრატია. ეს მტკიცება შეურაცხმყოფელია და ააშკარავებს მხოლოდ თვით ამხ. ნინის გადახრას. განცხადებას ხელს აწერენ მექსიკის, არგენტინის, ეკვადორის, ჩილის, პერუს, ბრაზილიის, კუბის, ურუგვაის და კოლუმბიის დელეგაციები. განცხადებას მთლიანად შეუერთდა აგრეთვე ესპანეთის დელეგაცია. (ადს)

სროლა გაფიცულების წინააღმდეგ

ლონდონი, 27 მარტი. ჰიბრალტარში იანვრიდან დაწყებული მტვირთავების გაფიცვა დღესაც გრძელდება. წარმოების პატრონებმა მაროკოდან მოიყვანეს არაბები, როგორც შტრეიკბრეხერები. პოლიციამ დააპატიმრა 36 მუშა იმ ჯგუფიდან, რომელიც გაემართა ნახშირის საწყობებისაკენ, რათა დაერწმუნებია არაბები, რომ მუშაობა შეეწყვიტათ. რამდენიმე ასეული მუშა გაემართა გუბერნატორის სახლისაკენ და მოითხოვდა დაპატიმრებულების განთავისუფლებას.

გუბერნატორმა არ მიიღო მუშათა წარმომადგენლები; ამის შემდეგ დემონსტრანტები თავს დაესხნენ პოლიციის სამმართველოს და ცდილობდნენ დაპატიმრებულების განთავისუფლებას. პოლიციამ სროლა ასტეხა. მუშათა შორის ბევრია მოკლული და დაჭრილი. (ადს).

გენერალური საბჭო და „სენდი უორკერს"

ლონდონი, 27 მარტი. გენერალური საბჭოს მდივანმა სიტრინმა აცნობა მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთის ორგანოს „სენდეი უორკერის" რედაქციას, რომ მას განზრახული აქვს უჩივლოს რედაქციას სასამართლოში ისეთი წერილებისა და ცნობების დაბეჭდვისათვის, „რომლებიც მის პიროვნებას ეხება".

რედაქცია აღნიშნავს, რომ წერილები და ცნობები სიტრინის შესახებ გამოხატავენ მუშათა მოძრაობის მემარჯვენე და მემარცხენე ფრთას შორის არსებულ პოლიტიკურ უთანხმოებას. აქამდე სიტრინს ხმა არ ამოუღია, თუმცა გაზეთის კარი ყოველთვის ღია სამისოდ. სიტრინი, როგორც სჩანს, გენერალური საბჭოს კარნახით მოქმედებს, იგი ცდილობს სამოსამართლო პროცესის საშუალებით ისეთი ქონებრივი ზარალი მიაყენოს „სენდეი უორკერს", რომ ამ ზარალს გაზეთმა ვერ გაუძლოს და დაიკეტოს (ადს).

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი ესალმება მაქსიმ გორკის

ლენინგრადის პროლეტარიატის მისალმება

ლენინგრადი, 28 მარტი. უვაროვის ხელმოწერით დღეს გორკის სახელზე სორენტოში გაიგზავნა შემდეგი დეპეშა:

„ლენინგრადის პროფკავშირებში გაერთიანებული პროლეტარიატი მხურვალე სალამს გიძღვნის ლიტერატურულ - საზოგადოებრივი მოღვაწეობის ოცდათხუთმეტი წლის შესრულების გამო და ელის შენს მალე ჩამოსვლას ლენინგრადში". (ადს)

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების დეპეშა

მოსკოვი, 28 მარტი. საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ გაუგზავნა მაქსიმ გორკის შემდეგი დეპეშა:

„საბჭოთა კავშირის თავდაცვისა და საავიაციო-ქიმიური მშენებლობის 3 მილიონ მეგობრის სახელით მოგესალმებით თქვენ, პროლეტარიატის დიდ ხელოვანს, დაბადებიდან 60 წლის შესრულების გამო. საბჭოთა კავშირის მშრომელნი, გაერთიანებულნი ჩვენი მასიური საზოგადოებრივი ორგანიზაციის რიგებში, მოუთმენლად ელიან თქვენს ჩამოსვლას საბჭოთა კავშირში საერთო შემოქმედებითი მუშაობისათვის პროლეტარულ კულტურის აწევისა და სოციალიზმის განხორციელების საქმეში".

გემო-კვების კავშირის ცეკას წერილი

მოსკოვი, 28 მარტი. გემო-კვების კავშირის ცეკამ მ. გორკის გაუგზავნა წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„ჩვენთვის, გემო-კვების მუშაკებისათვის, თქვენი ცხოვრება ორმაგად არის ძვირფასი, ვინაიდან საბჭოთა კავშირში ბევრია პურის მცხობელი მუშები, რომელთა ცხოვრება და მუშაობა მეფის რუსეთში თქვენ ასე ნათლად გამოხატეთ თქვენს ლიტერატურულ შრომებში. თქვენ ისე, როგორც სხვა მრავალმა ათასმა პურისმცხობელებმა, საკუთარი ზურგზე გამოსცადეთ ძველი რუსეთის ფურნეებში მუშაობის მთელი სიმძიმე. თქვენ პირველად ახადეთ ფარდა სიბნელესა და უვიცობას და თქვენი ნაწარმოებებით გაუშუქეთ ის გზა, რომლითაც უნდა წასულიყვნენ პურის მცხობელები და სხვა მუშები. გემო-კვების მუშათა სიყვარულის ნიშნად კავშირის ცეკამ დაგამტკიცა თქვენ საბჭოთა კავშირის გემო-კვების მრეწველობის მუშათა კავშირის საპატიო წევრად და გიძღვნით თქვენ მხურვალე პროლეტარულ სალამს და გულწრფელ სურვილებს შემდგომი წარმატებების მიღწევისათვის".

აღმშენებელთა ცეკას წერილი

მოსკოვი, 28 მარტი. აღმშენებელთა კავშირის მიერ მ. გორკისათვის გაგზავნილ წერილში ნათქვამია:

„თქვენ განვლეთ ჩაგრულ კაცობრიობის უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლის უმძიმესი გზა და საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდით, თუ როგორი იყო ცარიზმისა და კაპიტალიზმის დროს მშენებელ-მღებავების, ხუროების, ქვისმთლელების, მლესავების და მელეშმელების მონური ცხოვრება. ეხლა საბჭოთა აღმშენებლები აგებენ სახლებს, ფაბრიკებს, ქარხნებს არა კაპიტალისტებისათვის, არამედ ყველა მშრომელთა საკეთილდღეოდ.

იმედი გვაქვს, რომ ვიხილავთ თქვენს ახალ ნაწარმოებს, რომლებშიაც აწერილი იქნება მსოფლიოში პირველ სოციალისტურ რესპუბლიკის ცხოვრება და შემოქმედება".

საბჭოთა მწერლების ფედერაციაში

მოსკოვი, 27 მარტი. 26 მარტს საბჭოთა მწერლების ფედერაციამ იდღესასწაულა მაქსიმ გორკის დაბადებიდან 60 წლის შესრულება და 35 წლის თავი მისი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დღიდან. სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. სემაშკომ, კრიტიკოსმა გროსმანმა, მწერლებმა ივანოვმა და გლადკოვმა

კრებამ მ. გორკის გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„გორკის იუბილეს აღსანიშნავად საბჭოთა მწერლების ფედერაციის მიერ გამართული საღამოს მონაწილენი გულითად სალამს უძღვნიან ჩვენი ქვეყნის უდიდეს პროლეტარულ მწერალს. საბჭოთა კავშირის მშრომელნი ერთსულოვნად უსურვებენ მას ხანგრძლივ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას რევოლიუციის სახელოვან წინამორბედს და მოუთმენლად მოელიან თავისი საყვარელი მწერლის ჩამოსვლას იმ ქვეყანაში, სადაც შენდება სოციალიზმი. კეთილი იყოს თქვენი მოსვლა ძვირფასო ალექსი მაქსიმის ძევ!" (ადს).

მაქსიმ გორკის წერილი

ნიჟნი-ნოვგოროდი, 27 მარტი. ერთმა ნიჟნ-გოროდელმა მუშაკმა მაქსიმ გორკისაგან შემდეგი წერილი მიიღო:

„მინდა ჯერ კიდევ ბევრი ვიმუშაო. ჩემი რომანის მესამე ტომის დამთავრების შემდეგ, მე, ალბად, ჟურნალისტიკას მოვეკიდებ ხელს, რომ უფრო ახლოს მივუდგე ცხოვრებას, უმთავრესად კი—ახალგაზრდობას".

რადგან ერთ-ერთს წინათ გამოგზავნილ წერილში მ. გორკი იუწყებოდა, რომ ნიჟნი-ნოვგოროდში ივნისში მოვალო, ამიტომ საზოგადოებრივი კომიტეტი ემზადება მწერლის შესახვედრათ და მის პატივსაცემად.

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გორკის მუზეუმის დაარსება

მოსკოვი, 28 მარტი. ლენინის სახელობის (ყოფილი რუმიანცევის) სახალხო ბიბლიოთეკა გორკის საიუბილეო კომიტეტთან შეთანხმებით აწყობს დიდ გამოფენას. ბიბლიოთეკის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს, რომ გამოფენა გადააქციოს გორკის მუდმივ მუზეუმად.

მასალების უმთავრესი ნაწილი, რომელიც საჭიროა გორკის გამოფენა-მუზეუმის მოსაწყობად უკვე შეკრებილია. გამოფენილი იქნება სხვადასხვა დროს გადაღებული გორკის სურათები, ქანდაკებანი და მწერლის წარსულ ცხოვრების დამახასიათებელი დოკუმენტები.

გორკის მიერ ნიჟნინოვგოროდში ჩატარებული დრო წარმოდგენილია ფოტოგრაფიებით, რომლებიც იძლევიან გორკის რევოლიუციონურ მუშაობის სურათს ამ პერიოდში.

განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა გამოფენაზე გორკის იმ სურათებს და დოკუმენტებს, რომლებიც ახასიათებენ მის ცხოვრებას თბილისში.

გორკის პოლიტიკურ მოღვაწეობის განყოფილებაში გამოფენილი იქნება ლენინის წერილი გორკისადმი.

გამოფენაზე მოტანილია უმდიდრესი კოლექციები და ილიუსტრაცია, რომლებიც ახასიათებენ გორკის დამოკიდებულებას თეატრისადმი.

რკინის გზა მოსკოვის გარშემო

მოსკოვი, 28 მარტი. უკანასკნელ წლების განმავლობაში შეუჩერებელი სისწრაფით იზრდება საქონლის ტრიალი მოსკოვში არსებულ რკინისგზის სადგურებზე. რკინისგზის ეხლანდელი საქალაქო ქსელი დიდი სიძნელით აკმაყოფილებს ქალაქის არაჩვეულებრივად გაზრდილ მოთხოვნილებას საქონლის ტრიალზე.

გზათა სახალხო კომისარიატში ამ დღეებში შემდგარ თათბირმა განიხილა ეს საკითხი და აუცილებლად სცნო შემოვლებულ იქნას მოსკოვის გარშემო რკინისგზა, რომელიც გააერთიანებს მოსკოვის ყველა ეხლანდელ რკინისგზის სადგურებს და დიდათ დააჩქარებს საქონლის მოძრაობას თვით ქალაქის ფარგლებში. ახალი რკინისგზის სიგრძე იქნება 150 კილომეტრი (კილომეტრი უდრის დაახლოებით 480 საჟენს).

ცენტროსოიუზი ბაქოს კოოპერატივებს

მოსკოვი, 28 მარტი. ცენტროსოიუზმა გადასწყვიტა დააკმაყოფილოს ბაქოს ცენტრალურ მუშათა კოოპერატივების მოთხოვნილება საიმპორტო მოწყობილობაზე, რაც ბაქოს კოოპერატივებს ეჭირვებათ საკუთარ წარმოებათა გასაფართოებლად.

გადაწყვეტილია ასეთივე მოწყობილობა მიაწოდოს ცენტროსოიუზმა სხვა ქალაქების კოოპერატივებსაც.

გორკის სახელობის მუშათა უნივერსიტეტი

მოსკოვი, 28 მარტი. რუსეთის განათლების სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა, სათანადო ორგანოების წინაშე, რომ გორკის იუბილეს აღსანიშნავად კანავინოში მიეწყოს გორკის სახელობის მუშათა უნივერსიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

პილსუდსკი და სეიმი

გაზეთები აღიარებენ, რომ კომუნისტური დემონსტრაცია სეიმ-ის გახსნის დღეს წარმატებით ჩატარდა

საპროტესტო დემონსტრაციები ვარშავაში

პილსუდსკის პრესა ემუქრება ოპოზიციას

„რა იქნება შემდეგ?“

ვარშავა, 28 მარტი. სკანდალურმა ამბებმა სეიმის გახსნის დროს და ბარტელის კანდიდატურის დამარცხებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სეიმის წრეებში აღნიშნავენ, რომ მთავრობის თვითნებობამ ხელი შეუწყო დაშინსკის არჩევას, რადგან მომხდარ სკანდალის შემდეგ მერყევმა ჯგუფებმაც კი გადასწყვიტეს ხმა მიეცათ დაშინსკისათვის.

თავმჯდომარის არჩევის შემდეგ სეიმის კულუარებში კითხულობდნენ: „რა იქნება შემდეგ“? ზოგიერთების აზრით სეიმის არსებობა ხანმოკლე იქნება. ეს მოსაზრება კიდევ უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ მთავრობის ბლოკი მისი კანდიდატის დამარცხების შემდეგ თავს შეიკავებს სეიმის პრეზიდიუმში მონაწილეობისაგან.

გაზეთები დაწვრილებით აღწერენ 27 მარტის ამბებს. პრესის დიდი ნაწილი მთავრობის მოქმედებას თვლის უკანონოთ და უტაქტოთ. მთავრობის ნაბიჯებს იწონებს მხოლოდ პილსუდსკის პრესა, თუმცა თვით ბარტელის ორგანო „ეპოკა“ „უბედურებად“ თვლის შინაგან საქმეთა მინისტრ სკლადკოვსკის პირად ხელმძღვანელობას დეპუტატების დაპატიმრების საქმეში.

ყველა გაზეთების აზრით, კომუნისტების დემონსტრაცია წარმატებით ჩატარდა.

„რაბოტნიკ“-ი სწერს: „დამოუკიდებელი პოლონეთის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში სეიმის დარბაზში პირველად შემოვიდა პოლიცია, ისიც პრემიერის განკარგულებით და შინაგან საქმეთა მინისტრის პირადი ხელმძღვანელობით. მთავრობა ცდილობს რეპრესიებით დააშინოს ხალხის წარმომადგენლები, მაგრამ სეიმი არ შეშინდა და ამაზე დაშინსკის არჩევით უპასუხა. სკლადკოვსკი გამოვიდა პოლიციის უბრალო კომისარის როლში და დაივიწყა, რომ ის მინისტრია“.

ვარშავის მუშების დემონსტრაცია

ვარშავა, 28 მარტი. გუშინ დაპატიმრებული დეპუტატები პოლიციამ უპალტოოდ და თავშიშველნი წაიყვანა „ოხრანკაში“. სეიმთან შეკრებილმა ხალხმა ერთხმად გამოუხმაურა დეპუტატ სოხაცკის (კომუნისტია) რომელიც ავტომობილიდან ყვიროდა: „გაუმარჯოს რევოლიუციას!“ ცემა-ტყეპის დროს განსაკუთრებით დაზარალდნენ: სოხაცკი, რომელსაც რამდენჯერმე მაგრად დაარტყეს თოფის კონდახი, უკრაინული „შრომის პარტიის“ დეპუტატი ზახიდნი, უკრაინელი რადიკალები—უუკი და ბაჩინსკი. 60 წლის ბაჩინსკი ამ ამბის შემდეგ ლოგინში ჩაწვა. როდესაც დაპატიმრების ამბავმა მუშათა უბნებამდე მიაღწია, გაიმართა სტიქიური დემონსტრაციები. ერთი დემონსტრაცია მივიდა პავიაკის საპატიმროსთან, მაგრამ იგი პოლიციამ გაჰფანტა. ხამი დემონსტრანტი დაიჭირა.

ირკვევა, რომ ბარტელის კანდიდატურას ხმა მისცეს პილსუდსკის მომხრეებმა, ზოგიერთმა წვრილმა ჯგუფებმა და რამდენიმე გალიციელმა ებრაელმა. დაშინსკის ხმა მისცეს პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ, „ვიზვოლენიემ“, გლეხთა პარტიამ, ბუნდმა, ებრაელების ნაწილმა და გერმანელების თვალსაჩინო რიცხვმა.

კომფრაქციის კანდიდატმა სიპულამ მიიღო 17 ხმა (ადს).

ბელორუსთა ფრაქციის პროტესტი

ვარშავა, 28 მარტი. გუშინ სეიმის სხდომაზე ბელორუსთა დეპუტატმა იერემიჩმა მკაცრი პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ სეიმში ახლად ამორჩეული ზოგიერთი ბელორუსი დეპუტატები დღევანდლამდე საპატიმროში იმყოფებიან. იერემიჩმა სეიმის ბელორუსთა ფრაქციის სახელით მოითხოვა ყველა დაპატიმრებული დეპუტატის განთავისუფლება.

„მთავრობის გამოწვევა“

ვარშავა, 28 მარტი. გაზეთების აზრით, კომუნისტების დემონსტრაცია სეიმის გახსნის დღეს წარმატებით ჩატარდა, ვინაიდან მათ შესძლეს ამ დემონსტრაციაში რადიკალური უკრაინელების ნაწილის და „ვიზვოლენიეს“ ერთი დეპუტატის ჩაბმა.

„რეჩ პოსპოლიტა“ აცხადებს: „პარლამენტარიზმის ისტორიამ იცის პარლამენტის სხდომების დარბაზში პოლიციის გამოჩენის შემთხვევები, მაგრამ მხოლოდ სახელმწიფო გადატრიალების დროს. უკვე სეიმის გახსნისას მთავრობამ დაამტკიცა, რომ მას არა აქვს განზრახვა ანგარიში გაუწიოს პარლამენტარულ ტრადიციებს“.

გაზეთი ხაზს უსვამს, რომ მთავრობის კანდიდატის—ბარტელის დამარცხება ნიშნავს მემარცხენეთა პოზიციების გაძლიერებას ახალ პარლამენტში.

პრემიერის მოადგილე ბარტელის ორგანო „ეპოკა“ ცდილობს დაამტკიცოს, რომ მთავრობის ღონისძიებები კანონიერია, რადგან დეპუტატები ფიცის მიცემამდე არ სარგებლობენ ხელუხლებლობით. „საჭიროა აღინიშნოს ერთი,—სწერს გაზეთი,—ეს ის, რომ კომუნისტების დემონსტრაციას უკვალოდ არ ჩაუვლია. მან სეიმში შექმნა განწყობილება, რომელიც, ჩვენის აზრით, მეტად საშიშია მისთვის და დამღუპველია სახელმწიფოსთვის. სხვანაირათ შეუძლებელია აიხსნას ყველა პარტიების მობილიზაცია მთავრობისათვის სასურველი კანდიდატურის წინააღმდეგ. დაშინსკის არჩევა არ შეიძლება გაგებულ იქნას სხვანაირად, თუ არ როგორც მთავრობის გამოწვევა“.

„გლოს პრავდი“ (პილსუდსკის ორგანო) აცხადებს: „მემარცხენეები წავიდნენ სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ. მათ მოუხდებათ ამ გამარჯვების ნაყოფის მომკა. შედეგი სამწუხარო იქნება გუშინდელ გამარჯვებულთათვის“.

ბელორუსთა გრომადის ფრაქციის განცხადება

ვარშავა, 28 მარტი. ბელორუსთა გრომადის სეიმის ფრაქციამ პრესაში გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც შემდეგს აცხადებს: რადგან სეიმის გუშინდელ სხდომაზე სეიმის თავმჯდომარემ სიტყვა არ მისცა ფრაქციის წარმომადგენელს, ამიტომ ფრაქცია საზოგადოებრივი აზრის ყურადღებას აქცევს იმ გაუგონარ საარჩევნო ტერორზე, რომელსაც მთავრობამ მიმართა დასავლეთ ბელორუსიის საარჩევნო ოლქებში (ადს).

ვარშავა, 28 მარტი. დღეს ვარშავის ფაბრიკებსა და ქარხნებში გაიმართა მასიური საპროტესტო მიტინგები იმ ძალმომრეობის წინააღმდეგ, რომელიც პოლიციამ ჩაიდინა სეიმის კომუნისტ-დეპუტატებისა და ეროვნული უმცირესობათა დეპუტატების მიმართ. მასიურ მიტინგებზე სიტყვები წარმოსთქვეს კომუნისტმა - დეპუტატებმა: როსიაკმა, ბაჩინსკიმ, ბიტნერმა. დომბროვის რაიონის მეღითონეთა პროფკავშირმა სეიმის კომფრაქციას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც სოლიდარობას და პროლეტარულ თანაგრძნობას გამოსთქვამს სეიმის კომუნისტი დეპუტატების ცემის გამო. ასეთივე სოლიდარობისა და თანაგრძნობის დეპეშა მიიღო სეიმის კომფრაქციამ დომბროვის რაიონის თავისუფალ მოაზროვნეთა კავშირისაგან. (ადს).

მოლაპარაკება „სელრობის“ ჯგუფების გაერთიანების შესახებ

ვარშავა, 28 მარტი. მემარჯვენე „სელრობმა“ მოლაპარაკება დაიწყო გაერთიანებული სელრობისა (რომელსაც დურდელლო მეთაურობს) და მემარცხენე „სელრობის“ წარმომადგენლებთან იმის შესახებ, რომ „სელრობის“ ყველა ჯგუფები გაერთიანდნენ.

დომინიონების „თავისუფლება“

ლონდონი, 27 მარტი. ავსტრალიის პარლამენტში შეიტანეს შეკითხვა სამხრეთ-აფრიკის კავშირის პრემიერის გერცოგის განცხადების გამო; ამ განცხადებაში ნათქვამია, რომ თუ დაიწყო ომი რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ინგლისი, დომინიონი შეიძლება ნეიტრალური დარჩეს. პრემიერმა ბიუსმა, უპასუხა რა შეკითხვებზე, განაცხადა:

„როცა დიდბრიტანეთის მეფე აწარმოებს ომს, ამ ომში მონაწილეობას იღებენ იმპერიის ყველა ნაწილები, მონაწილეობის ფორმას კი განსაზღვრავს ყოველი დომინიონის პარლამენტი“ (ადს).

პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება

კოვნო, 27 მარტი. ლიტვის დელეგაცია 29 მარტს მიემგზავრება კენიგსბერგში. დელეგაციის შემადგენლობაშია: ლიტვის პრემიერი ვოლდემარასი, გარეშე საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი ზაუნიუსი, ლიტვის ელჩი ბერლინში სიძიკაუსკასი და რამდენიმე ექსპერტი (ადს).

არჩევნები საფრანგეთში

პარიზი, 27 მარტი. გამოქვეყნდა დეკრეტი, რომლის მიხედვით არჩევნები იქნება 22—29 აპრილს (ადს).

ტანაკას წინააღმდეგ

ტოკიო, 27 მარტი. პროლეტარულ პარტიების საპარლამენტო კომიტეტმა დაადგინა მხარი დაუჭიროს მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმს. კომიტეტი აწყობს მიტინგებს ამ გადაწყვეტილების პოპულიარიზაციისათვის (ადს).

ახალი ჯარები—ჩინეთში

რომი, 27 მარტი. პოლას ნავთსადგურიდან ჩინეთში წავიდა გემი „სოფია“ ჯარისკაცთა რაზმით ჩინეთში მყოფ იტალიის ჯარების შესავსებად (ადს).

ჩემბერლენ-ამანულას საუბარი

ლონდონი, 27 მარტ. როგორც იუწყებიან, ჩემბერლენს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ავღანისტანის ფადიშაჰ ამანულასთან. ავღანისტანის გარეშე საქმეთა მინისტრის მოადგილეს საუბარი ჰქონდა ჩემბერლენთან (ადს).

დროებითი სავაჭრო შეთანხმება

რეველი, 27 მარტი. ლატვია-ესტონეთის სავაჭრო მოლაპარაკება დამთავრდა დროებითი სავაჭრო ხელშეკრულების დადებით. ხელშეკრულება აგებულია ერთმანეთისათვის უპირატესობის მინიჭების საფუძველზე. მხარეებმა დაიტოვეს ხელშეკრულების გაბათილების უფლება—3 თვით ადრე გაფრთხილებით. (ადს).

საბჭოთა კავშირში

დანიშვნები

მოსკოვი, 28 მარტი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა: საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს გამგის მოადგილეებად დაინიშნოს ამხ. შმიდტი, პაშკოვსკი და კრიცმანი. კრუენცევი განთავისუფლებულია საკავშირო ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს გამგის მოადგილის თანამდებობისაგან.

მიწის გაყიდვის წინააღმდეგ

მოსკოვი, 28 მარტი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა სისხლის სამართლის კოდექსის მუხლში შეიტანა დამატება, რომელიც აწესებს რეპრესიულ ზომებს მიწის წიაღის დამუშავების დროს არსებულ წესების დარღვევისათვის. კერძოდ ეს დამატება მიწის ნაციონალიზაციის კანონების დარღვევისათვის, რაც გამოიხატება მიწის ყიდვა-გაყიდვაში, მიწის ნაკვეთების თვითნებურად გაცვლაში და სხ.,—აწესებს სასჯელს—სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას მიწის ჩამორთმევით და მიწის ნაკვეთის მიღებაზე 6 წლით უფლების წართმევით (ადს).

აგრონომთა კონფერენცია

მოსკოვი, 27 მარტი. დაიხურა აგრონომთა მეორე საკავშირო კონფერენცია. კონფერენციამ სცნო, რომ სასოფლო-მეურნეობის განსაზოგადოება წარმოადგენს გლეხთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ძირითად პირობას. საბჭოთა მეურნეობანი მარცვლეულის და ტექნიკური ნედლეულის სახელმწიფო ბაზას წარმოადგენენ. კონფერენციის აზრით, აუცილებელია აგრონომების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება.

კონფერენციამ მიიღო განსაკუთრებული რეზოლიუცია, რომელშიაც სასტიკად გმობს შახტის რაიონის სპეციალისტების კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობას. (ადს).

პირდაპირი მიმოსვლა ლენინგრადის გზით

ლენინგრადი, 27 მარტი. ლენინგრადის ნავთსადგურში ნაოსნობის ვადის მოახლოების გამო ოქტომბრის რკ.-გზის გამგეობასთან დაიწყო მუშაობა ლენინგრადის გზით პირდაპირი მიმოსვლის სამმართველომ; საიმპორტო-საექსპორტო ტვირთი ამ პირდაპირი გზით კავშირის სადგურიდან გადატანილი იქნება უცხოეთის ზოგიერთ ნავთსადგურებში და პირიქით. პირდაპირი მიმოსვლის დაწესების საშუალებით მნიშვნელოვნად შემცირდება გადატანის ხარჯი. (ადს).

საბჭოთა კავშირის ქიმიზაციის სესხი

სვერდლოვსკი, 26 მარტი. მეცნიერ ქიმიკოსების მიერ ამხ. რიკოვისათვის წერილობითი მოხსენების გადაცემასთან დაკავშირებით, ურალის პროფესორთა და სამეცნიერო მუშაკთა თათბირმა გადასწყვიტა დასვას მთავრობის წინაშე საკითხი საბჭოთა კავშირის ქიმიზაციის სპეციალური სესხის გამოშვების შესახებ. (ადს).

ზარალი ყინვებისაგან

სევასტოპოლი, 28 მარტი. ყინვებმა ძალიან დააზიანა ვენახები. ზოგიერთი ჯიშის ვენახების მოსავალი შემცირდება 75 პროცენტით. ყინვებს ბაღები არ დაუზიანებია (ადს).

ბაზრობა

სვერდლოვსკი, 28 მარტი. 27 მარტს დაიხურა სვერდლოვის ბაზრობა. ბაზრობის ბრუნვამ 43 მილ. მან. გადააჭარბა (ადს).

ბალახნინის ელექტრო-სადგურზე

ნიჟნი-ნოვგოროდი, 28 მარტი. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისიამ, რომელმაც გამოიკვლია ბალახნინის ელექტრო-სადგური, გამოარკვია, რომ ელექტრომშენებლობის სამმართველო არ ატარებდა მომჭირნეობის რეჟიმს, არ ასრულებდა მთავრობის დირექტივებს და სხ. მშენებლობა სწარმოებდა უგეგმოდ და ხარჯთ-აღრიცხვის შეუდგენლად. მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილებით, გამგეობა გადაყენებულ იქნა (ადს).

საკავშირო ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმი

მოსკოვი, 27 მარტი. საკავშირო ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმზე საბჭოთა კავშირის 1927—28 წ. მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა ფინსახკომის მოადგილემ ამხ. კუზნეცოვმა. შეჩერდა რა განვლილ 1926—27 წ. ბიუჯეტის შესრულების წინასწარ ცნობებზე, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შესრულებამ ყოველგვარ ოპტიმისტურ მოლოდინს გადააჭარბა. ბიუჯეტი, საერთოდ, შესრულებულია 5.200 მილ. მან. რაოდენობით 1927—28 წ. ბიუჯეტი, საკავშირო სახკომსაბჭოს პროექტის მიხედვით, უდრის 6.035 მილ. მან. და განვლილი წლის დამტკიცებულ ბიუჯეტს 835 მილ. მანეთით სჭარბობს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კავშირის ეროვნული შემოსავლის ზრდა მიმდინარე წლისათვის საბჭ. კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ გამოანგარიშებულია 1.600—1.700 მილ. მან. რაოდენობით,—გამოდის, რომ ამ ნამატი შემოსავლის თითქმის ნახევარი შეადგენს მიმდინარე წლის ბიუჯეტის ნამატ ნაწილს. ევროპის ქვეყნებთან შედარებით ჩვენი ბიუჯეტი ყველაზე მეტად იზრდება. თუ საბჭოთა კავშირის მიმდინარე წლის ბიუჯეტს შევადარებთ რუსეთის 1913 წ. ბიუჯეტს, დავინახავთ, რომ ჩვენი ბიუჯეტი ომის წინა დროის ბიუჯეტს 24 პროც. სჭარბობს. საბჭოთა კავშირის ბიუჯეტი დიდ როლს თამაშობს, როგორც ეროვნული შემოსავლის გადანაწილების ფაქტორი. განსაზოგადოებულმა მეურნეობამ გადანაწილების წესით ბიუჯეტის საშუალებით 1925—26 წ. მიიღო 141 მილ. მან., 1926—27 წ. უკვე 505 მილ. მან. და 1927—28 წ. უნდა მიიღოს 1.182 მილ. მან.

ახასიათებს რა არასაგადასახადო შემოსავლის უმთავრეს ჯგუფებს—შემოსავალს მრეწველობიდან, ბანკებიდან და ტყეებიდან, მომხსენებელი ხაზს უსვამს, რომ ამ წყაროებიდან გამოანგარიშებული შემოსავალი მიმდინარე წელს სავსებით რეალურია. არასაგადასახადო შემოსავლის მეორე მნიშვნელოვან მუხლს წარმოადგენს სესხები. წელს სესხებიდან მოველით 525 მილ. მან. შემოსავალს. საგადასახადო შემოსავლის დარგში ნაკლებად საიმედო მდგომარეობაა. განვლილ 5 თვის განმავლობაში ჩვენ მივიღეთ სარეწაო გადასახადის მხოლოდ 25 პროც., საშემოსავლო გადასახადის მოსალოდნელ წლიური თანხიდან—33 პროც.

რათა ბიუჯეტით ნავარაუდევი თანხა 244 მილიონი მანეთი, რომელიც უნდა შემოვიდეს საშემოსავლო გადასახადით, უზრუნველყოფილ იქნას, საკავშირო სახკომსაბჭომ ამას წინად გამოსცა დეკრეტი ბურჟუაზიის ზედა ფენების დაბეგვრის გადიდების შესახებ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ნავარაუდევია 375 მილიონ მანეთის შემოსვლა. თუ განვიხილავთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, უნდა ითქვას, რომ მისი სიმძიმე უმთავრესად აწვება სოფლის ბურჟუაზიას.

გადადის რა მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის სახარჯთაღრიცხვო ნაწილის განხილვაზე, ამხ. კუზნეცოვი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ დებულება ადგილობრივ ბიუჯეტების შესახებ სავსებით გამართლებულია და პრაქტიკაში სახელმწიფო ბიუჯეტის კავშირი ადგილობრივ ბიუჯეტთან ნორმალურად ვითარდება. ადგილობრივი ბიუჯეტები საკმაოდ ინტენსიურად იზრდება. ადგილობრივ ბიუჯეტებს გასავალის ცალკე მუხლებიდან ამხ. კუზნეცოვი მთავარ ყურადღებას უთმობს უწინარეს ყოვლისა—სასკოლო ამშენებლობას, რომელიც საკმაოდ ინტენსიურად ვითარდება. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საგზაო მშენებლობას. შემდეგ ამხ. კუზნეცოვმა დაახასიათა რესპუბლიკანური ბიუჯეტი და აღნიშნა, რომ თავის დროზე მთავრობამ გასცა დირექტივა საკავშირო ბიუჯეტის ხვედრითი წონის გადიდების შესახებ მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტში. ამ მხრივ არის ერთგვარი წარმატებები. 1926—27 წ. საკავშირო ბიუჯეტი შეადგენდა მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტის 74 პროცენტს, 1927—28 წ. უკვე—75 პროცენტს. ეს ტენდენცია შემდეგში უნდა გავაძლიეროთ. შემდეგ ამხ. კუზნეცოვმა აღნიშნა, რომ მრეწველობისათვის ფინანსების მიწოდება მიმდინარე წელში დიდდება 29 პროცენტით და შეადგენს 632 მილიონ მანეთს. ეს იძლევა მუშათა რიცხვის გადიდებას მრეწველობაში 96.000 კაცით.

კაპიტალურ ამშენებლობისათვის გადადებულია 1.112 მილიონი მანეთი. ელექტროფიკაციისათვის მიმდინარე წლის ბიუჯეტით გაზრახულია 136 მილიონ მანეთის დახარჯვა.

საბინაო ამშენებლობა მოითხოვს უფრო სერიოზულ ყურადღებას. კომუნალური ბანკის დაარსების მომენტიდან (1924 წ.) საბინაო ამშენებლობისათვის გადადებულია 914 მილიონი მანეთი, რამაც შესაძლებელი გახადა საბინაო სივრცის აგება 334.000 ოჯახისათვის. სოფლის მეურნეობისათვის ფინანსების მიწოდება მიმდინარე სამეურნეო წელში ფართოვდება ყველა წყაროების ხარჯზე და განისაზღვრება 819 მილიონი მანეთით. პარტიის დირექტივების თანახმად სოფლის მეურნეობისათვის ფინანსების მიწოდება უმთავრესად ეხება ღარიბ გლეხობას და კოლექტიურ მეურნეობებს. კერძოდ კოლექტიურ მეურნეობისათვის კრედიტების მიწოდება იზრდება 300 პროცენტზე მეტით შარშანდელთან შედარებით (ადს).

მოსკოვი, 28 მარტი. 27 მარტის დილის სხდომაზე საბიუჯეტო კომისიის პლენუმზე დაიწყო საერთო კამათი 1927-28 წლის ბიუჯეტის პროექტის გარშემო 1925-26 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. პლენუმზე გამოსული ორატორები შეეხნენ შემდეგ ძირითად თემებს: საკითხი საბიუჯეტო წლის 1 ოქტომბრიდან დაწყების მიზანშეწონილობის შესახებ, საბიუჯეტო კომისიის მუშაობის წესის შესახებ, საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატის და მოკავშირე რესპუბლიკების ფინსახკომების ურთიერთობის შესახებ საბიუჯეტო მუშაობის სფეროში. საღამოს სხდომაზე დამთავრდა კამათი კუზნეცოვის და ვაინშტეინის მოხსენებების გარშემო და მოსმენილ იქნა მომხსენებელთა საბოლოო სიტყვები (ადს).

მოსკოვი, 28 მარტი. საბჭოთა კავშირის ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმზე 26 მარტს დამთავრდა საერთო კამათი 1927—28 წლის ბიუჯეტის და 1925- 26 წ. ბიუჯეტის შესრულების გარშემო. 28 მარტის დილის სხდომაზე პლენუმი შეუდგა მიმდინარე წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის განხილვას.

დახმარება

შვედეთის მემადაროელებს

მოსკოვი, 27 მარტი. საბჭოთა კავშირის მემადაროეთა კავშირის ც. კ.-მა დასახმარებლად გადაუგზავნა შვედეთის გაფიცულ მემადაროებს მეორე თანხა — 80.000 მანეთი. წინანდელ თანხებთან ერთად გადაგზავნილია 170.000 მანეთი. (ადს).

გერმანია იარაღდება

ბერლინი, 27 მარტი. რეიხსტაგის მიერ საზღვაო სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს კომუნისტებმა შეიტანეს წინადადება ახალი ჯავშნოსანის ასაგებად ასიგნობების გაუქმების შესახებ. წინადადება რეიხსტაგმა უარყო. საზღვაო სამინისტროს ბიუჯეტი მიღებულია მეორე წაკითხვის შემდეგ კომისიის რედაქციით (ადს).

ინგლისის ესკადრა

ბალტიის ზღვაში

კოვნო, 27 მარტი. ლიტვის პრესის ცნობით, მაისის დასასრულს და ივნისის დასაწყისში ინგლისის ესკადრა შემოივლის ბალტიის მხარის ქვეყნების ნავთსადგურებს (ადს).

უმუშევრობა ინგლისში

ლონდონი, 27 მარტი. აღრიცხულ უმუშევართა რაოდენობა ინგლისში 19 მარტისათვის შეადგენდა 1.066.100 კაცს (ადს).

გადაფრენა ოკეანეზე

ბერლინი, 27 მარტი. 26 მარტს დილით ტემპელჰოფის აეროდრომიდან აფრინდა იუნკერსის აეროპლანი სამი მგზავრით. აეროპლანი დაეშვება ირლანდიაში და აქედან შეეცდება ამერიკაში გადაფრინდეს (ადს).

ლოკაუტი

პარიზი, 27 მარტი. მარსელში ლოკაუტი გამოუცხადეს ხის დამამუშავებელი მრეწველობის მუშებს. ლოკაუტი ეხება 2.500 მუშას

სპეკულიაცია

ნიუ-იორკის ბირჟაზე

ნიუ-იორკი, 27 მარტი. ნიუ-იორკის ბირჟაზე გრძელდება სპეკულიაცია. 26 მარტს ბირჟაზე გამოტანილი იყო 4 მილ. აქცია. მსხვილ სამრეწველო წარმოებების, განსაკუთრებით მანქანების სამშენებლო კამპანიის— „ჯენერალ მოტორს კომპანიის“-ს აქციების კურსი აიწია (ადს).

ქარიშხალი

პარიზი, 27 მარტი. ატლანტის ოკეანის ნაპირებზე (საფრანგეთთან) ჰქრის ძლიერი ქარი. გზების შარაები წყლით არის დაფარული (ადს).

მიწისძვრა

ლონდონი, 27 მარტი. უდინედან (იტალია) მიღებულ ცნობით, იქ ადგილი ჰქონდა ძლიერ მიწისძვრას. ქალაქ ტოლმეცოში, კავაცოში, კარნიზოში, ვარცენში და ვიტოდაროში დანგრეულია მრავალი სახლები. მოკლულია 5 კაცი. (ადს).

რადიო-აპარატურა

მოსკოვი, 28 მარტი. „გლაველექტრომ“ შეიმუშავა სუსტი დენის ტრესტის ქარხნებში წარმოების განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს პროდუქციის ორჯერ გადიდებას, წინანდელი ხუთწლედის გარაუდთან შედარებით. კერძოდ მნიშვნელოვნად იქნება გადიდებული რადიო პროდუქციის გამოშვება არსებულ ქარხნების გაფართოების და ლენინგრადში ახალი ქარხნის აგების გზით (ადს).

ხორცი ამიერ-კავკასიისათვის

მოსკოვი, 27 მარტი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის გეგმით მესამე კვარტალში ბაქოსა და თბილისში შემოტანილი იქნება 2.532 ტონა ხორცი. (ადს).

ბამბის თესვა

მოსკოვი, 27 მარტი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ მოისმინა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოხსენება ბამბის თესვის კამპანიის შესახებ 1928 წ. მოხსენების განხილვის შემდეგ შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაავალა მებამბეობის მთავარ კომიტეტს ბამბის ნათესების სივრცის გაფართოება 1928 წ. 978.000 ჰექტარით, აქედან 847.100 ჰექტარით შუა აზიაში და 130.200 ჰექტარით ამიერ-კავკასიაში (ადს).

პარტიული ცხოვრება

კოოპერაციის საპაიო კამპანია

ცირკულიარულად.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტპროპგანყოფილებებს, საოლქო კომიტეტებს და სამაზრო კომიტეტებს

სამომხმარებლო კოოპერაციის საპაიო კამპანიას, რომელსაც ამჟამად ატარებს ჩვენი პარტია, უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ამ კამპანიის მიზანია —შექმნას სამომხმარებლო კოოპერაციის საკუთარი საფინანსო ბაზა და მუშათა და გლეხთა დაქსაქსული საშუალებანი მიმართოს სოციალისტური კალაპოტით.

მუშათა სახელმწიფო უდიდეს ფინანსიურ დახმარებას უწევდა და მომავალშიაც გაუწევს კოოპერაციას, რომელიც წარმოადგენს გზას სოციალიზმისაკენ და მშრომელთა ფართო მასების გაერთიანების ყველაზე უფრო გასაგებ და მისაწვდომ ფორმას.

კრედიტები, რომლებსაც მუშათა სახელმწიფო დღემდე აძლევს სამომხმარებლო კოოპერაციას, აღემატება კოოპერაციის საკუთარ თანხებს.

სამომხმარებლო კოოპერაციის და მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების ეს ახალი ეტაპი მოითხოვს და გვაძლევს საშუალებას გაძლიერებით კოოპერაციის საკუთარი თანხების დაგროვება სამომხმარებლო კოოპერაციაში, საპაიო გადასახადების გადიდებისა და მათი სრული შეკრების გზით, და ამგვარად გაანთავისუფლოთ სახელმწიფო თანხების ნაწილი, რომელიც მოხმარდება ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სასოფლო-მეურნეობის კოლექტივიზაციას.

საპაიო გადასახადი, რომელიც ქალაქებში უდრის 4 მან. 10 კაპ., ხოლო სოფლებში—3 მან. 74 კაპ. თითო წევრზე (1927 წლის 1 ოქტომბრისათვის), აუცილებელია უახლოეს ხანში გადიდებულ იქნას ქალაქებში—ფაქტიურად 10 მანეთამდე და საწესდებო 15 მანეთამდე, ხოლო სოფლებში—ფაქტიური 6 მანეთამდე და საწესდებო 10 მანეთამდე. ამასთანავე მტკიცედ უნდა გვახსოვდეს და გავატაროთ ის შეღავათები, რომლებიც ეძლეოდა მცირე ხელფასის მქონე მუშებს, მოსამსახურეებს, ღარიბ გლეხებს და მოჯამაგირეებს (საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას და ცეკავშირის ცირკულიარები).

ამ კამპანიის წარმატებით ჩატარება უმთავრესად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეგნებულად მოეპყრობიან ამ საქმეს მუშები და გლეხები. ხოლო მუშებისა და გლეხების შეგნებული მოპყრობა ამ საქმისადმი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ფართოდ განავითარებენ პარტიული, კომკავშირთა, პროფესიონალური, საბჭოთა, ქალთა და სხ. ორგანიზაციები თავის სააგიტაციო-საპროპაგანდო და კულტურულ-აღმზრდელობით მუშაობას მუშათა, მოსამსახურეთა და გლეხთა შორის და რამდენად შეესძლებთ მათ ჩაბმას ამ მუშაობაში.

ჩვენმა სააგიტაციო-საპროპაგანდო და კულტურულ-განმანათლებელმა მუშაობამ ამ კამპანიასთან დაკავშირებით უნდა დაისახოს შემდეგი ამოცანები:

ა) მუშათა და გლეხთა საერთო კულტურული დონის აწევა;
ბ) კოოპერატიული საზოგადოებრიობის აღზრდა მათში;
გ) მათი კოოპერატიული შეგნების აწევა;
დ) კოოპერაციის წევრობასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობათა შეგნება და სხ.

კამპანიის ჩატარებაში ჩაბმულ უნდა იქნას და მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა ორგანიზაციებმა, რომელთაც კავშირი აქვთ კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობასთან. (ახალგ. ლენ. კომკავშირი, პროფკავშირთა კულტგანყოფილება, კოოპერაციის კულტგანყოფილება, პოლიტსაგანმანათლებლო ორგანიზაციები, განათლების განყოფილებანი და სხ); გამოყენებულ უნდა იქნას აგრეთვე ყველა კულტურულ-აღმზრდელობითი დაწესებულებანი, რომლებიც ქალაქებსა და სოფლებში არსებობს (კლუბები, სახალხო სახლები, გლეხის სახლები და სხ.).

ხელმძღვანელობისათვის საჭიროა კამპანიის ჩატარების შემდეგი გეგმა:

ა) სამაზრო-საოლქო ცენტრებში მოწვეულ იქნას ახალგ. ლენ. კომკავშირის, პროფკავშირთა, ადგილობრივ კოოპერატიულ გაერთიანებათა, განათლების განყოფილებათა, პოლიტგანების და სხ. წარმომადგენელთა თათბირი და შემუშავებულ იქნას ოლქებსა და მაზრებში კამპანიის ჩატარების გეგმა.

ბ) გამოყოფილ იქნან აგიტატორ-პროპაგანდისტები, როგორც პარტიულთაგან, ისე უპარტიოთაგან; აგიტატორ-პროპაგანდისტებს უნდა მიეცეს სათანადო ინსტრუქცია, მათ უნდა გაეცნონ მოხსენებათა თეზისები და მიამაგრონ ამა თუ იმ რაიონს მოხსენებებისა და საუბრების ჩატარებისათვის.

გ) მოხსენებანი პირველად წაკითხულ უნდა იქნას პარტიულ და კომკავშირთა ორგანიზაციების, საბჭოების, ქალთა სადელეგატო კრებების ღია სხდომებზე, რომლებსაც უნდა დაესწრონ უპარტიო აქტივი, შერჩეული წითელ არმიელები და სხ., შემდეგ კი წაკითხულ უნდა იქნას კოოპერაციის წევრთა საერთო კრებებზე, რომლებსაც უნდა დაესწრონ არა ის მუშები, მოსამსახურეები და გლეხები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან კოოპერაციის წევრად.

მოხსენებებში უნდა იყოს გაშუქებული შემდეგი საკითხები:

ა) კოოპერაცია, როგორც პირდაპირი გზა სოციალიზმისაკენ; ბ) კოოპერაციის მნიშვნელობა მუშათა და გლეხთათვის—კოოპერაცია, როგორც ერთად-ერთი საშუალება კერძო, სპეკულიანტურ ვაჭრობასთან ბრძოლისა და კერძო ვაჭართა ექსპლოატაციისაგან თავის დახწევისათვის; ყოველივე ეს დასაბუთებულ უნდა იქნას ადგილობრივი მაგალითებით და შედარებებით; გ) საბჭოთა ხელისუფლების გეგმა სოციალისტური მშენებლობის დარგში —ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია, კოოპერაციის მიღწევანი საბჭოთა სახელმწიფოს დახმარების მეოხებით, მუშათა და გლეხთა მოვალეობა კოოპერაციის მიმართ.

მუშაობა არ უნდა განისაზღვროს მხოლოდ მოხსენებების წაკითხვით კრებებზე; მუშებსა და გლეხებს შორის უნდა სწარმოებდეს ჯგუფური და ინდივიდუალური აგიტაცია, ამ მიზნით სპეციალურად გამოყოფილი პირთა საშუალებით ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელი იქნება.

საპაიო კამპანიას უნდა დაუკავშირდეს აგრეთვე კამპანია მშრომელთა ახალი ფენების კოოპერაციაში ჩაბმისათვის და პერსონალური წევრობისათვის.

ცენტრალურმა ორგანიზაციებმა (ახალგ. ლენ. კომკავშირმა, მუშა-ქალთა და გლეხქალთა განყოფილებამ, საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებამ, განათლების სახ. კომისარიატმა, და სხ.) თავის ხაზით უნდა მისცენ დირექტივები ადგილებს.

პარტიამ, როგორც ცენტრალურმა, ისე ადგილობრივმა, უნდა გააშუქოს კამპანიის მსვლელობა და მასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი
მ. კახიანი.

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების
გამგე ს. მამულია.

ა.-ქ. სატრანსპორტო პარტ-უჯრედთა თათბირი

27 მარტის საღამოს სხდომაზე ამხ. პოზდეევის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. რამაზანოვმა, სტეპანოვმა, მურადოვმა, პეტროსიანმა, ხარატოვმა, სალაზოვმა, ჩიჩუამ, შალიკაშვილმა, არუთინოვმა, ქავთარაძემ, აბულაძემ, გიუნაშვილმა, ტაგიევმა, კიკნაძემ და ავაქიანმა. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ცეხებისა და სახელოსნოების მატერიალურ მომარაგების დეფექტები და მოწყობილობის ნაკლებობა არ იძლევა შრომის ნაყოფიერების გადიდების საშუალებას. საჭიროა სერიოზული ბრძოლა ვაგონების და ორთქლმავლების გაცდენასთან. თავის დროზე უნდა ტარდებოდეს ბრძოლა სტიქიურ უბედურებებთან და კატასტროფებთან. ამერიკული მიმოსვლა უნდა გატარდეს ყველა უბნებზე.

28 მარტის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. საბაშვილის მოხსენება პროფკავშირების მუშაობის ამოცანების შესახებ ტრანსპორტზე. საჭიროა ჩატარდეს პროფკავშირთა მუშაობის სრული დემოკრატიზაცია. პროფკავშირები პირისპირ უნდა მიუდგნენ საწარმოო მუშაობას, სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ საწარმოო დისციპლინას და წარმოების რაციონალიზაციას. საჭიროა გაძლიერებულ იქნას მუშათა დაწინაურების ტემპი და გაუმჯობესებულ იქნას მასიური მუშაობა.

ამხ. საბაშვილის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. რამაზანოვი, ვასკანოვი, ავაქიანი, კუკულავა, ნოზაძე, ბაგიროვი, გახაროვი, კიკნაძე, მიქაძე, ივანოვი, ესტიევი, რიჟამაძე და გრიგორიანი. ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა ლიანდაგის ადგილკომების უზრუნველყოფა ლიტერატურით მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრების ყველა საკითხებზე, აგრეთვე მოძრავ კინოების და საკლუბო დადგმების მუშაობის გაფართოება. გაცხოველებული კამათი გამოიწვია გენერალური კოლექტიური ხელშეკრულების პროექტმა და კავშირის სატარიფო-ეკონომიურმა მუშაობამ. რაც შეეხება კავშირის მასიურ მუშაობას, უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოო თათბირების და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას.

მოხსენებებზე რეზოლიუციების მიღების შემდეგ თათბირმა მოისმინა ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება სატრანსპორტო კომუჯრედების მორიგ ამოცანების შესახებ. ამხ. მ. ორახელაშვილის მოხსენების შემდეგ სატრანსპორტო უჯრედთა მდივნების თათბირი დაიხურა.

საჭიროა კულტ-მუშაობის გაძლიერება

წითელ კუთხეებზე

წითელი კუთხეები საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული ჩვენს წარმოება-დაწესებულებებში. დაარსების პირველ ხანებში, როგორც საზოგადო მოვლენა, წითელ კუთხეებში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. მაგრამ გადის დრო და ეცემა წითელი კუთხეების მუშაობაც.

კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის კერის მაგივრად წითელი კუთხეები ხდება ჩვეულებრივ კოხტად მოწყობილ კუთხედ, რომელსაც ამშვენებს წითელი ქსოვილები, ბელადების პორტრეტები, რამდენიმე წიგნი და სხვა თითქმის არაფერი. ხშირად წითელ კუთხეებს იყენებენ პარტიის და კომკავშირის უჯრედის, ადგილკომის და სხვა ორგანიზაციების სხდომებისათვის.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთი მდგომარეობა ნორმალურად ვერ ჩაითვლება. წითელი კუთხეები უნდა წარმოადგენდენ მასიურ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის ცენტრს სხვადასხვა წრეების სამეცადინო ადგილს.

უჯრედის ბიუროები ამას ხშირად სათანადო ანგარიშს არ უწევენ. წითელი კუთხეები მოკლებული არიან ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციის ხელმძღვანელობას. რაიონული კომიტეტები ხშირად არ სთხოვენ ანგარიშს უჯრედის ბიუროებს იმის შესახებ, თუ როგორ მდგომარეობაშია წითელი კუთხეები, გამოყენებულია თუ არა ისინი კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის კერად.

იქ, სადაც წითელი კუთხეები ვერ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას და მხოლოდ „თვალის მოსატყუებელ“ მორთულ ადგილებს წარმოადგენენ, უნდა გადადგმულ იქნას ენერგიული ნაბიჯები წითელ კუთხეების საქმიანობის გასაცხოველებლად. თუ ეს მოუხერხებელია, სჯობს უმოქმედო წითელი კუთხეები გაუქმებულ იქნას.

პარტუჯრედების აგიტპროპორგანიზატორებმა პირველ რიგში უნდა იზრუნონ ამის შესახებ. როდესაც ლაპარაკია უჯრედის მხრივ სუსტ ხელმძღვანელობაზე წითელ კუთხეების მუშაობაში, აქ ყველაზე უწინ მხედველობაში გვყავს უჯრედების აგიტპროპორგანიზატორები და შემდეგ მთელი ბიურო წითელ კუთხეების დღევანდელი მდგომარეობა ბევრ წარმოება-დაწესებულებებში, დიდხანს აღარ უნდა გაგრძელდეს.

დ. კ—ა.

საქართველოს კომპარტიის ორგანიზაციებში

აფხაზეთი

პრაქტიკული ღონისძიებანი სოფლის კოლექტივიზაციის დარგში

აფხაზეთის კოლექტიურ მეურნეობათა საკითხის შესახებ საოლქო კომიტეტთან გამართულმა თათბირმა მიიღო რამდენიმე პრაქტიკული ღონისძიება; კერძოდ, თათბირმა საჭიროდ სცნო დაავალოს მიწათმოქმედების კომისარიატს, რომ მან მიწათმოწყობის ჩატარების დროს გამოჰყოს ღარიბი და ხელმოკლე მეურნეობანი ერთ საადგილმამულო ჯგუფად და მათი კოლექტივიზაცია შემდგომისათვის უზრუნველჰყოს.

სამაზრო კომიტეტებს დაევალათ, რომ ადგილობრივი ღარიბი მოსახლეობა ამ საკითხს ფართოდ გააცნონ.

თათბირმა საჭიროდ სცნო, რომ აფხაზეთის „სოფლის კავშირთან“ მოეწყოს კოლექტიურ მეურნეობათა სექციები და დაავალა დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომ მაზრებთან შეთანხმებით განაწილონ 70.000 მანეთი კოლექტიურ მეურნეობათათვის კრედიტის მისაწოდებლად.

სიღნაღი

კონკურსი საუკეთესო უჯრედსა და თემკომზე

საქართველოს კომპარტიის სიღნაღის სამაზრო კომიტეტმა ყველა თემკომსა და ორგანიზაციის უჯრედებს ცირკულიარით მიმართა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში სამაზრო კომიტეტი დეტალურად გამოიკვლევს თემკომებისა და უჯრედების მუშაობას. გამოკვლევის მიზანს შეადგენს იმის შემოწმება, თუ რამდენად ახერხებენ უჯრედები და თემკომები ძირითადი და მნიშვნელოვანი საკითხების წამოყენებას, რამდენად გააუმჯობესეს მათ სოფლის არაპარტიული ორგანიზაციებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა და რამდენად უძღვებიან უჯრედები შინაპარტიული მუშაობის გაუმჯობესებისა და გამოცოცხლების ამოცანას.

საუკეთესო თემკომს და საუკეთესო უჯრედს სამაზრო კომიტეტი მისცემს ლენინის თხზულებათა კრებულს.

საბჭოთა (პროლეტარული) დემოკრატიის განხორციელების შემოწმება

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის და საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილების თანახმად, უკვე დაწყებულია (საბჭოთა კავშირის მასშტაბით) მთელ რიგ გუბერნიების, ოლქების და ნაციონალურ რესპუბლიკებში—მათ შორის აგრეთვე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების — გამოკვლევა საბჭოთა (პროლეტარული) დემოკრატიის განხორციელების შემოწმების მიზნით.

როგორ გვესმის ჩვენ საბჭოთა (პროლეტარული) დემოკრატიის განხორციელება? რა მიზანი და ამოცანები აქვს დასახული დაწყებულ გამოკვლევას? რა ძალებით და მეთოდებით უნდა ჩატარდეს გამოკვლევა? რა უნდა გამოარკვიოს გამოკვლევამ? და, დასასრულ, რით არის გამოწვეული საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის და საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის ასეთი უაღრესად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება?

დასმულ კითხვებზე გაცემული უნდა იქნეს გარკვეული, ნათელი პასუხი, რათა გამოკვლევამ დადებითი შედეგი მოგვცეს.

უწინარეს ყოვლისა, რამდენიმე სიტყვა საერთოდ გამოკვლევების შესახებ.

საბჭოთა სახელმწიფო მართვა-გამგეობის სრულიად განსაკუთრებულ თვისებას, რომელიც ანსხვავებს მას სახელმწიფო მართვა-გამგეობის ყველა დანარჩენ ფორმებისაგან, წარმოადგენს ის, რომ საბჭოთა სისტემა სრულ საშუალებას აძლევს ფართო მასებს მონაწილეობა მიიღონ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში, რაც არ არის და არც შეიძლება იყოს, არც ერთ სხვა სახელმწიფოში.

უკანასკნელ წლებში, მშვიდობიანობის პირობებში, როდესაც ჩვენ გაშლილი ფრონტით შევუდექით სოციალისტურ ამშენებლობას, ჩვენს წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად ვახერხებთ მუშათა და გლეხთა ფართო მასების ჩაბმას მუშურ - გლეხურ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

გამოცდილება გვარწმუნებს, რომ ჩვენ, ჯერ—ერთი, ყველა შემოქმედებითი ძალები ვერა გვყავს ჩაბმული სოციალისტურ ამშენებლობის საქმეში, და მეორე—ვერ არის სავსებით დაკმაყოფილებული, იმ ძალების საქმიანობაც, რომლებიც ჩაბმული არიან მუშაობაში. ასეთ პირობებში არ შეიძლებოდა არ წამოჭრილიყო საკითხი იმის შესახებ, თუ რა უნდა გავაკეთოთ, რათა აღმოვფხვრათ ჩვენი სინამდვილის ეს სუსტი მხარეები.

საკითხის ამგვარად დასმას მივყავართ ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა შევკრიბოთ მასალები, რომლებიც მტკიცე ბაზად გამოგვადგება იმ მიზეზების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უშლის მასების ფართოდ ჩაბმას სოციალისტურ ამშენებლობაში და საბჭოთა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში და, რაც უმთავრესია, იმ მიზეზების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უშლის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას. აქედან გამომდინარეობს საჭიროება, რომ ჩატარებულ იქნას დაწესებულებების, ორგანიზაციების და წარმოებების გამოკვლევა, რის შედეგად ჩვენ შევძლებთ გამოვარკვიოთ. თუ რა უნდა გავაკეთოთ და როგორ, რათა წარმატებით შევასრულოთ პარტიისა და ხელისუფლების წინაშე მდგომი ამოცანები.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მიმდინარე 1928 წელში განზრახულია და ტარდება მრავალრიცხოვანი გამოკვლევები ჩვენი ამშენებლობის ყველა დარგში— საბჭოთა, პარტიულ, სამეურნეო და სხვა დარგებში, დეფექტების გამორკვევის და მათი აღმოფხვრის მიზნით. ერთ-ერთ ასეთ, უაღრესად მნიშვნელოვან გამოკვლევას წარმოადგენს საბჭოთა დემოკრატიის განხორციელების შემოწმება.

ამ წერილში მე შევეხები ამ გამოკვლევას მხოლოდ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ფარგლებში, რამდენადაც ამიერ-კავკასიის და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიების გაერთიანებულმა სხდომამ გადასწყვიტა გამოკვლევის ჩატარება საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში.

დავიწყოთ პირველი კითხვიდან, რომელიც დასმულია ამ წერილის დასაწყისში.

როგორ გვესმის საბჭოთა დემოკრატიის განხორციელება?

ჩვენ ვიცით, რომ გვაქვს ორგანიზაციის მრავალრიცხოვანი ფორმები. საბჭოთა სისტემის ორგანიზაციის თვითეული ფორმა ისეა აგებული, რომ ყველა მუშაკებს, როგორც პასუხისმგებელ ხელმძღვანელს, ისე უკანასკნელ შეუმჩნეველ მუშაკებსაც, აძლევს სრულ საშუალებას მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეში.

საკითხის თვალსაჩინოდ წარმოდგენისათვის ჩამოვთვალოთ ამ ორგანიზაციების ზოგიერთი ფორმები და სახეები.

ისინი შემდეგია: ყოველგვარი ყრილობები, პლენუმები, პრეზიდიუმები, სამდივნოები, სხვადასხვა სექციები, რწმუნებულები; ყოველგვარი კამპანიები, რომლებიც დაკავშირებულია მიმდინარე სადღეისო ლოზუნგებთან: თესვის კამპანია, ინდუსტრიალიზაციის და საგლეხო სესხების რეალიზაციის კამპანიები, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის კამპანია, პარტიის დირექტივების განხორციელების შემოწმება, ჩვენი საქალაქო მრეწველობის ინდუსტრიალიზაციის და წვრილ გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციის დარგში, პურის დამზადების კამპანიის, საექსპორტო ნედლეულის შეკრების და სხვა კამპანიები.

ამასთან ერთად არსებობს კონტროლის მასიური ორგანოები, რომელთა მუშაობა უნდა ხორციელდებოდეს მუშათა და გლეხთა მასების ფართო მონაწილეობით.

შემდეგ, არსებობს ყოველგვარ საარჩევნო და გადარჩევის კამპანიების სისტემა და აქედან გამომდინარე პრაქტიკა ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარებისა. ყოველივე ეს ის სკოლაა, რომელმაც შედეგად უნდა მოგვცეს ისეთი მუშაკები, რომელთა რაოდენობამ და ხარისხმა სავსებით უნდა უზრუნველჰყოს სოციალისტურ ამშენებლობის წარმატება ყველა ფრონტებზე.

რა თქმა უნდა, შეუძლებელია ერთ წერილში ყველა იმ ორგანიზაციების ჩამოთვლა, რომლებიც აგრეთვე ემსახურება ზემოთ ნახსენებ ინტერესებს, მაგრამ არსებითად ეს ორგანიზაციებიც წარმოადგენენ სოციალიზმის ერთგულ მშენებელთა კადრის შექმნისა და აღზრდის პირობას. მაგალითად, საზოგადოებრივი ორგანიზაციები — კოოპერაცია, პროფკავშირები, ლენინური კომკავშირი, რევდასი, თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება და სხვა.

მასიურ ორგანიზაციების ფორმების ეს სიმდიდრე ახასიათებს საბჭოთა ხელისუფლების არსებას.

ეხლა ჩვენ გულდასმით უნდა გავსინჯოთ და შევამოწმოთ — მიმდინარეობს თუ არა ყველა ამ ორგანიზაციებში მუშაობა ისე, რომ ჩვენ შეგვეძლოს დამშვიდებული ვიყოთ და ვიფიქროთ, რომ საქმე ყველგან კარგათაა მოწესრიგებული, თუ სადღაც და რაღაც გამოსასწორებელია.

გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ ჩვენ არ გვაქვს, ან თითქმის არ გვაქვს ჩვენი საქმიანობის ისეთი დარგი, სადაც ყველაფერი დამაკმაყოფილებელი იყოს. ყველგან არის დეფექტები, თუნდაც მცირე, ზოგიერთ დარგებში კი ძლიერ ცუდი მდგომარეობაც არის.

და აი, რათა გამოვასწოროთ ეს დეფექტები, ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ ისინი და კონკრეტიულად დავსახოთ ზომები მათი აღმოფხვრისათვის .

ამ მიზნით საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია, ცენტრის დავალების თანახმად, შეუდგა მთელ რიგ დაწესებულებების, ორგანიზაციების და წარმოებების გამოკვლევას.

გამოკვლევა, როგორც უკვე ვთქვით, მიზნად ისახავს იმის გამორკვევას, თუ რამდენად არიან ჩაბმული მასები ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობის და სოციალიზმის მშენებლობის საქმეში; სწორად ხორციელდება თუ არა ხელმძღვანელობა მასების ჩასაბმელად ყოველდღიურ მუშაობაში და რამდენად ნაყოფიერია მასების მონაწილეობა ამ მუშაობაში ბიუროკრატიზმთან და პარტიულ-საბჭოთა, პროფესიონალურ-საზოგადოებრივ და სამეურნეო ხაზის ყოველგვარ დამახინჯებასთან ბრძოლის მხრივ.

აი, ეს არის საბჭოთა (პროლეტარულ) დემოკრატიის განხორციელების შემოწმება.

ამრიგად, ჩვენ პასუხი გავეცით ამ წერილის დასაწყისში დასმულ პირველ და მეორე კითხვაზე.

ვიძლევით რა პასუხს მესამე კითხვაზე, ჩვენ ვამბობთ, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციამ განიზრახა გამოიკვლიოს საქართველოს შემდეგი ორგანიზაციები, დაწესებულებები და წარმოებები:

1) საქართველოს ცაკის საორგანიზაციო განყოფილება; 2) თბილისის ქალაქის საბჭო; 3) თბილისის მაზრის ერთ-ერთი სოფლის საბჭო; 4) ბორჩალოს მაზრის აღმასკომი; 5) იმავე მაზრის ერთ-ერთი თემი; 6) სიღნაღის მაზრის აღმასკომი; 7) იმავე მაზრის ერთ-ერთი თემი; 8) საქართველოს პროფსაბჭო; 9) ორი ქვედა საფეხურის პროფესიონალური ორგანო თბილისში და სათანადო პროფორგანოები ბორჩალოს და სიღნაღის მაზრებში; 10) მუშკოოპის გამგეობა (და ორი ქვედა საფეხურის ორგანო ქალ. თბილისში); 11) „სოფლის კავშირი“ და სათანადო კოოპერატიული ორგანოები ბორჩალოს და სიღნაღის მაზრებში; 12) საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი; 13) ლენინური კომკავშირი; 14) ბორჩალოს და სიღნაღის სამაზრო კომიტეტები და სათანადო თემების უჯრედები; 15) ბათომის ქალაქის საბჭო; 16) შორაპნის ქალაქის საბჭო; 17) ზუგდიდის მაზრის აღმასკომი და იმავე მაზრის ერთ-ერთი თემი; 18) ორი სასოფლო საბჭო აფხაზეთში; 19) აჭარისტანის პროფსაბჭო; 20) ბათომის მუშკოოპი; 21) საქართველოს კომპარტიის (ბ) და ლენინურ კომკავშირის, ბათომის საოლქო კომიტეტი და აგრეთვე მთელი რიგი ორგანიზაციები.

ხსენებულ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გამოკვლევამ უნდა მოგვცეს მათი საქმიანობის მდგომარეობის სრული სურათი, ესე იგი რამდენად სწორად ან არასწორად ტარდებოდა მასიური მუშაობა აღნიშნულ ორგანიზაციებში.

რა ძალებით ვფიქრობთ ჩვენ აღნიშნულ დაწესებულებების წარმოებების გამოკვლევის ჩატარებას?

გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექცია შესძლებს თავისი ძალებით (თავისი აპარატის ძალებით) შესრულოს ისეთი უდიდესი ამოცანა, რომელსაც ისახავს გამოკვლევა. ამიტომ მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ამ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვია შემდეგ ორგანიზაციების წარმომადგენლები: 1) საქართველოს ცაკის, 2) საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის; 3) საქართველოს პროფსაბჭოს; 4) საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის; 5) ლენინურ კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტის; 6) მუშა და გლეხქალთა განყოფილების; 7) „ზაკსოიუზ“-ის; 8) მუშკოოპის; 9) „სოფლის კავშირის“; 10) თბილისის საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების და 11) პრესის წარმომადგენლები (მუშკორები); აგრეთვე საქართველოს ცაკის და თბილისის საბჭოს თავისუფალი წევრები.

როგორც ზემოხსენებულიდან სჩანს, გამოკვლევის მეთოდები სავსებით შეეფერება დასახულ მიზნებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მხოლოდ აღნიშნულ ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობა გამოკვლევის საქმეში ვერ მოგვცემს იმ შედეგებს, რომლებსაც მოველით დაწყებულ გამოკვლევიდან. მათი მონაწილეობის გარდა, საჭიროა, რომ გამოკვლევის პროცესში მონაწილეობა მიიღონ თავისი პრაქტიკული გამოცდილებით იმ მუშებმა და მოსამსახურეებმაც, რომლებიც მუშაობენ აღებულ დაწესებულებაში, წარმოებაში და სხვ... ამ მიზნით გამოკვლევის ჩამტარებლები უნდა გაეცნონ ყველა იმ მასალებს, რომლებიც ეხება გამოკვლევის ობიექტს, შემდეგ აღებულ დაწესებულების მასებს გააცნონ გამოკვლევის მიზნებთან, რათა თითონ მასას შეეძლოს მიუთითოს მათ იმ დეფექტებზე, რომლებიც მას შემჩნეული აქვს პრაქტიკულ მუშაობაში. გამოკვლევის ჩამტარებელთა და მასის ასეთი მასიური საერთო მუშაობა უეჭველად უზრუნველჰყოფს გამოკვლევის ნაყოფიერ შედეგებს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება ჩვენი დეფექტების გამოსწორებისათვის.

ეჭვი არ არის, თვითეულ პატიოსან საბჭოთა მუშაკს ესმის, რომ ფართოდ განვითარებულ სოციალისტურ ამშენებლობის პირობებში დეფექტებისა და შეცდომების აღმოფხვრა ჩვენს მუშაობაში, თვითეულ საბჭოთა კაპეიკის დაზოგვა, ბრძოლა პარტიულ-საბჭოთა და პროფესიონალურ - სამეურნეო ხაზის ყოველგვარ დამახინჯებასთან, ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, ბრძოლა რაციონალიზაციისათვის და სხვ.— ყოველივე ეს მოგვცემს უდიდეს სარგებლობას მსოფლიოში ერთად-ერთი პროლეტარულ სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში. ამასთან ერთად, ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ფართო მასები ჩაბმული იქნებიან სოციალისტურ ამშენებლობაში, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ყოველგვარ დაბრკოლებათა დაძლევისათვის საბჭოთა კავშირის ძლევამოსილ განვითარების გზაზე.

დაწყებულ გამოკვლევის მნიშვნელობა განსაკუთრებით თვალსაჩინო იქნება, თუ გავიხსენებთ ამ ცოტა ხნის წინად შახტის რაიონში (დონის ბასეინი—უკრაინა) მომხდარ ისტორიას, როდესაც ჩვენმა კლასობრივმა მტრებმა გამოიყენეს ის მდგომარეობა, რომ შახტის რაიონის პასუხისმგებელი მუშაკები მოსწყდნენ მასებს, ბიუროკრატიულად ეპყრობოდნენ მათ და ამით საშუალება მისცეს ჩვენს ფარულ მტრებს ეკეთებინათ თავისი კონტრ-რევოლიუციონური საქმე. და განა ჩვენ გვაქვს იმის გარანტია, რომ შახტის კონტრ-რევოლიუციის გარდა, ჩვენი შეურიგებელი მტრები ასეთ რამეს სხვაგანაც არ სჩადიან?

მხოლოდ ფართო მასიურ სიფხიზლეს, ხელმძღვანელებისა და აქტივის მჭიდრო კავშირს მთელ მუშურ-გლეხურ ფართო მასებთან, მათ ფაქიზ და ყურადღებით ურთიერთობას შეუძლია მოგვცეს ჩვენ იმის გარანტია, რომ შახტის ისტორია აღარ განმეორდება და ამის შესაძლებლობაც კი აღმოიფხვრება.

ამრიგად, დაწყებულ გამოკვლევის მიზნები და ამოცანები იმდენად თვალსაჩინო და მნიშვნელოვანია, რომ შეუძლებელია მისი ჩატარება მუშათა და გლეხთა მასების აქტიურ მონაწილეობის გარეშე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თვითეული მუშა, თვითეული გლეხი, თვითეული საბჭოთა საზოგადოებრივი მუშაკი მიიღებს ამ დიდ მუშაობაში თავის მონაწილეობას მით, რომ მიუთითებს გამოკვლევის ჩამტარებლებს, თუ სად ვერ არის ყველაფერი თავის რიგზე და ამით შესაძლებელს გახდის მთელი საბჭოთა აპარატის გამოსწორებას და მოწესრიგებას.

კონკრეტიულად ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ გამოკვლევამ უნდა შეისწავლოს მუშათა და გლეხთა (მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა) დაწინაურების საკითხები, საბჭოების და მათი ხელმძღვანელი ორგანოების განახლება; გადაიქცნენ თუ არა საბჭოების სხვადასხვა სექციები და კომისიები საბჭოებისა და აღმასკომების სათანადო ორგანოების კონტროლის ნამდვილ ორგანოებად; როგორია საბჭოების წევრების და ფართო მასების აქტიური მონაწილეობა ბიუროკრატიზმთან და რევოლიუციონურ კანონიერების ყოველგვარ დარღვევასთან ბრძოლის საქმეში; როგორია საბჭოს წევრების, სხვადასხვა რწმუნებულების და განსაზღვრულ სამუშაოზე მიმაგრებულ პირების ინიციატივა სათანადო ორგანოების გადაწყვეტილებათა შემოწმების საქმეში, როგორც ქალაქში, ისე სოფლად; როგორია კავშირი ხელმძღვანელებსა და მასებს შორის (ხომ არ მოსწყდნენ ისინი ერთმანეთს); როგორ არის დაცული ნაციონალურ უმცირესობათა ინტერესები; როგორია მუშურ-გლეხურ აქტივის კულტურულ - ყოფა-ცხოვრებითი მდგომარეობა; როგორ არის მოგვარებული ინფორმაციის საქმე ხელმძღვანელებსა და მასებს შორის; შემდეგ როგორ არის დაყენებული ამომრჩევლების წინაშე ანგარიშების საქმე, რამდენად აქტიურ კრიტიკას უწევენ მასები მათ, ვინც არჩეული ჰყავთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გამორკვევას, შეეფერება თუ არა პროპაგანდისა და აგიტაციის შინაარსი პარტიისა და ხელისუფლების დირექტივებს და რამდენად პრაქტიკულად სწორად ხორციელდება ეს დირექტივები; უწევს თუ არა მასა კონტროლს იმ განაწესების (ნაკაზების) შესრულებას, რომლებიც მისცა მან თავის არჩეულებს, როგორ მიმდინარეობს აპარატის მუშაკების შერჩევა; უზრუნველყოფს თუ არა არჩევნების ტექნიკა მასების ფართო მონაწილეობას არჩევნებში; როგორ ხელმძღვანელობას უწევენ მასებს ხელმძღვანელი ორგანოები; როგორ მიმდინარეობს მუშურ-გლეხური აქტივის ჩამოყალიბება; როგორია ხელმძღვანელ ორგანოების სოციალურ შემადგენლობის შესწავლის მეთოდები და ამ მომენტს ჯეროვანი ანგარიში ეწევა თუ არა ჩვენს ხელმძღვანელ ორგანოებში; როგორია კომფრაქციების მუშაობა; სწორად ხორციელდება თუ არა ურთიერთობა პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებს შორის და სხვ.

ყველა ეს და სხვა მრავალი საკითხები წარმოადგენს პრაქტიკულ ნიადაგს გამოკვლევის სწორად ჩატარებისათვის.

თუ ყურადღებით დავაკვირდებით ამ გამოკვლევას, ჩვენ შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ ეს გამოკვლევა არის ყველა პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ, სამეურნეო, საზოგადოებრივ და სხვა ორგანიზაციების გენერალური, ფართო კოლექტიური თვითშემოწმება.

ეს თვითშემოწმება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მუშათა და გლეხთა ფართო მასების ყოველმხრივი და ფართო მონაწილეობით და ჩვენ სრულ რწმენას გამოვსთქვამთ, რომ ეს მონაწილეობა განხორციელებული იქნება მაქსიმალური აქტივობით.

ბ. სტურუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქსიმ გორკი

მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 35 წლისთავისათვის

უკანასკნელი სურათი

გორკი

გორკი,—სწერდა ვ. ი. ლენინი,—უსათუოდ დიდი წარმომადგენელია პროლეტარული ხელოვნების. მან ბევრი რამ გააკეთა ჩვენთვის და კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეუძლია. გორკი—ავტორიტეტია პროლეტარულ ხელოვნებაში, ეს—უდავოა... პროლეტარული ხელოვნების საქმეში გორკი არის უდიდესი პლიუსი, მიუხედავათ მისი თანაგრძნობისა სხვადასხვა ფილოსოფიურ და პოლიტიკურ ერესისადმი (მახიზმი და ოტზოვიზმი)“.

რასაკვირველია, გორკის შეეძლო სრულიად არ ყოფილიყო ფილოსოფიური და პოლიტიკური ერესის თანაგრძნობი, მაგრამ მაინც დარჩენილიყო იმ გორკათ, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ და რომლის გარშემო ახლა გაჩაღებულია კამათი (სხვათაშორის, ასეთი კამათი სწარმოებდა კომუნისტურ აკადემიაშიც), იმის გამოსარკვევათ—ეკუთვნის თუ არა იგი პროლეტმწერლებს. იმას, რომ გორკი ეკუთვნის პროლეტმწერალთა წრეს, უარჰყოფენ არა იმიტომ, რომ გორკი ოდესღაც გატაცებული იყო მახიზმით და ოტზოვიზმით, რომლებიც ეხლა მას დავიწყებული აქვს, არამედ იმიტომ, რომ მისი სოციალური წარმოშობა, ის წრე, რომელსაც იგი აღწერდა, ის თვალსაზრისი, რომლითაც იგი უდგებოდა საგნებს, არ არის წმინდა პროლეტარული.

გორკი არ არის პროლეტარული მწერალი პროლეტარული შეგნების მომწიფების ეპოქის, რომელიც პროლეტარიატის უმეტესი ნაწილისათვის მართლა დადგა. ახლა წარმოშობა ასეთი მწერლის შესაძლებელია. მაგრამ გორკი არის პროლეტმწერალი ყველაზე ადრინდელი ეპოქისა, როცა პროლეტარიატისათვის ჯერ კიდევ ძნელი იყო თავისი რიგებიდან საკუთარ მეთაურთა კადრის წამოყენება, განსაკუთრებით—ლიტერატურული ხაზით. იმ დროს პროლეტარიატი იპყრობდა სხვა კლასების საუკეთესო წარმომადგენლების გონებას და გულს და იყენებდა მათ თეორიის დარგში. ამ გადმობირებულმა ხალხმა, ამ უცხო, უმთავრესად ინტელიგენციის ბანაკიდან გადმოსულებმა, შეძლეს უდიდესი როლის შესრულება პროლეტარიატისათვის და უკანასკნელის თეორიების, მოთხოვნილებების, ტაქტიკის და სხვ. უაღრესად წმინდად ჩამოყალიბება. ხელოვნების დარგში ეს შეუძლებელი იყო. ასეთ უცხო წრიდან გამოსულ პირებს უკეთეს შემთხვევაში შეეძლოთ თავისი აღტაცების გამოთქმა პროლეტარიატის წინაშე, გამოთქმა თავისი რწმენისა მისდამი და, ასე ვსთქვათ, რისიმე მხატვრულათ ჩაღუღლუღება მისი სახელით („დედა“, „მტრები“ და სხვ.). მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ისიც კი, რაც გორკიმ გააკეთა მისთვის ყველაზე საძნელო დარგში, პროლეტარიატმა უდიდესი სიმპატიით შეიგრძნო. მაგალითად, „დედა“, აკრძალული რუსეთში, ათას ცალობით ვრცელდებოდა ევროპიულ ქვეყნებში, განსაკუთრებით გერმანიაში, მუშა-მკითხველებს შორის.

მაგრამ, გარდა ამისა, გორკიმ არაჩვეულებრივი სიღრმით დაგვიხატა ის წრე, რომელშიც, როგორც ახალი სოციალური ძალა შევიდა პროლეტარიატი,—დაგვიხატა ძველი რუსეთი, რომელიც პროლეტარიატს უნდა გადაეკეთებია. და მან დახატა იგი არა მარტო გარეგნულად, არამედ მოგვცა მისი შინაგანი ბუნებაც, მისი ყოველგვარი ბრძოლა, ყველა მისი ავადმყოფობანი, ყველა მისი გატაცებანი. სურათი არაჩვეულებრივად მდიდარი გამოვიდა.

რასაკვირველია, ეს კლასობრივი სირთულე, ის გარემოება, რომ გორკი მთლიანად არ გაითქვიფა მუშათა კლასში, იწვევდა პოლიტიკურ დაბნეულობას მასში, რასაც გორკი ახლა მთლიანად თვლის თავის შეცდომებათ. მაგრამ, განა მარტო გორკი სცდებოდა, განა მსგავსი შეცდომები მეტი არ დაუშვეს პროლეტარიატის მრავალმა და მრავალმა ინტელიგენტურმა ბელადებმა?

მაგრამ იმ მომენტში, როცა გორკი საბოლოოთ უბრუნდება პროლეტარიატს, როცა დიდმა კლასმა დაუმტკიცა მას თავისი გზის სისწორე და როცა მუშათა კლასის პარტია ლენინთან ერთად მას უწოდებს თავის მწერალს, ე. ი. პროლეტარულ მწერალს, არ არის საჭირო, რომ კარებთან დადგენ ზოგიერთი მოფუსფუსე „შორსმჭვრეტელი ადამიანები“, რომლებიც სთხოვენ გორკის მის დაბადების მოწმობას, მის პასპორტს, რომლებიც აფასებენ მისი „მუშურობის“ ხარისხს და თვისებას. შეიძლება, როგორც სამეცნიერო კვლევის საგანი, ეს საინტერესო იყოს, თუმცა აქაც, თუ უაზრო გადაჭარბებული ჩხირკედელაობას არ დავიწყებთ, იძულებული ვიქნებით ვაღიაროთ, რომ გორკი მივიდა პროლეტარიატთან და რომ პროლეტარიატი გორკის ნაწერებს, ზოგიერთი ფურცლების კრიტიკით, აღიარებს თავის კლასიკოსის ნაწერებათ. მაგრამ რაღაც შემოწმების ხასიათის მიცემა იუბილეს წინ იმისათვის, თუ რამდენათ ღირსია გორკი დიდებითი შეფასების,—სრულიად უადგილოა.

ჩვენში, პარტიულ, პროლეტარულ, მთავრობის და საბჭოთა საზოგადოებრიობაში ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ნამდვილი საზომი მწერლების შესაფასებლად და მათდამი მიდგომისათვის. ჩვენ ხან ვცოდავთ გადაჭარბებული გაქანებით და ანალიტიკოს-ქიმიკოსის მსგავსად ვათვალიერებთ მკერდში ყოველგვარ ნალექს, ხან ჩვენს ცენტრალურ ჟურნალებში ვბეჭდავთ ნაწარმოებთ, რომლებიც ნამდვილ დაცინვას წარმოადგენენ მთელს ჩვენს მშენებლობაზე, რადგან ეს ფაქტი სამწუხარო და საზიანოა, მე მსურდა ჩემს წერილში გორკის ანალიზი კი არ გამეკეთებია, არამედ შევჩერებულიყავი მისი ფიგურის საერთო შეფასებაზე.

თუ ვინმემ პროლეტარული მწერალი უწოდა, შენ კი გგონია, რომ ის არ არის პროლეტარული მწერალი, მაშინ ასჯერ მოიფიქრე, თუ რატომ ლენინმაც პროლეტარული მწერალი უწოდა მას და ხომ არ არის უფრო საფუძვლიანი ლენინის არგუმენტები, ვიდრე შენი. თუ ლენინმა, მაგალითად, ტოლსტოის შესახებ სთქვა, რომ ის არის დიდი რევოლიუციონერი, მეორე მხრივ კი,—რომ იგი საშიში რეაქციონერია,—ნუ დაინახავ ამ მსჯელობაში წინააღმდეგობას და არც ერთი და არც მეორე მხარის მოურჩმალავად ჩაუფიქრდე, თუ რატომ ლაპარაკობს აქ ლენინი წინააღმდეგობაზე თვით ტოლსტოიში. და რამდენადაც შენ, თუგინდ ზერელედ ჩაუფიქრდები ლენინის დებულებებს და შენი გონების მთელი სიძლიერით შეეცდები მპოვო ლენინის მსჯელობის სისწორე, იმდენათ უფრო ახლო იქნები ჭეშმარიტებასთან.

იყავ ლენინთან და შენ მართალი იქნები.

და ეს, რასაკვირველია, როდია ბრმა ქედმოხრა უდიდესი ავტორიტეტის წინაშე, ან დისციპლინა, ან ლენინური სექტანტობა, არამედ არის ასეულჯერ შემოწმებული გამოცდილება.

ა. ლუნაჩარსკი.

მაქსიმ გორკი

(თბილისის პერიოდი)

თვითეული მწერლის ცხოვრებაში, განსაკუთრებით თუ იგი გამოსულია ხალხის მასებისაგან, არის ერთი მომენტი.

ეს არის მწერლის „ლიტერატურული დაბადება“.

ის მომენტი, როცა იქმნება მომავალი მწერლის სახელი. მომენტი, როცა ეს მომავალი მწერალი დგამს თავის პირველ ნაბიჯს, რომელსაც იგი მრავალმილიონიან უსახელო მასიდან გამოჰყავს მხატვრულის სიტყვის სახალხო ოსტატთა პირველ რიგებში.

ასეთი მომენტი, რასაკვირველია, იყო გორკის ცხოვრებაშიც.

ეს იყო 37 წლის წინად, თბილისში.

იდგა 1891 წ. შემოდგომა, სამხრეთ-კავკასიის თბილი შემოდგომა, როცა ბუნება ძალაუნებურად ეთხოვება თავის საზაფხულო მხიარულებას. აუჩქარებლად მიაგორებდა მტკვარი თავის ტალღებს. მოშორებით კი, სიბნელეში ნაცრისფრად მიიკლაკნებოდა საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც თითქოს მიიჩქაროდა თავის უკანასკნელ სადგურისაკენ—თბილისისაკენ.

თავის მრავალდღიანი გზის უკანასკნელ სადგურს—თბილისს აჩქარებით უახლოვდებოდა ორი მგზავრი, რომლებიც თვალს არ აშორებდნენ ქალაქის ღამის ჩირაღდნებს. ესინი, შემთხვევითი მგზავრები—ენალაქლაქა „კნიაზი“ *) და დაფიქრებული მაქსიმიჩი—მიდიოდნენ ერთმანეთის გვერდით, და თვითეული ფიქრობდა მეორეზე.

დასასრულს უახლოვდებოდა მათი ფეხით მგზავრობა, დაწყებული ჯერ კიდევ ოდესაში, სადაც დაბნეულ, დამშეულ და უთავშესაფარო ფრანტ-თავადს უპატრონა გულკეთილმა მტვირთავმა მაქსიმიჩმა და ახლა მიჰყავდა სახლში, თბილისში, სადაც ახალგაზრდა მაწანწალა მიდიოდა პირველად და აზრადაც არ მოსდიოდა, რომ აქედან წაიღებს სახელს დიდი მწერლისას.

მეჩხან-„კნიაზის“ ცარიელ გოგრაში კი მზადდებოდა გეგმა იმისა, თუ როგორ დაეღწია თავი მას—„კეთილშობილ-არისტოკრატ“ თავსედ ბოსიაკისაგან, რომლის საჭმელითა და მზრუნველობით ასე ფართედ სარგებლობდა ერთად მოგზაურობის დროს.

და სულმდაბალმა „კნიაზმა“ ტლანქათ მოატყუა გულუბრყვილო ახალგაზრდა: მამის სახლში სამაგიერო პატივისცემის გადახდის დაპირებათა მთა გადმოუგლაგა თავის თანამგზავრს, თვითონ კი გაძვრა რომელიღაც შესახვევში და მაქსიმიჩი მარტო დასტოვა ღამით, ქუჩაში, უცხო ქალაქში...

ახალგაზრდა მაწანწალა მიხვდა, რომ ის მოატყუეს, მაგრამ გაბედულად შევიდა მისთვის უცნობ ქალაქში.

მიდის ქუჩაში და უცებ ხედავს: ხალხი შეჯგუფებულა, რაღაც სკანდალია. ვიღაც ვიღაცას სჩაგრავს. დიდხანს არ უფიქრია, მაქსიმიჩი გამოესარჩლა შეურაცყოფილს. მაგრამ საქმეში ერევა „წესრიგის მცველი“—გოროდოვოი. შეურაცხმყოფელი, შეურაცყოფილი და მოსარჩლეები, მათ რიცხვში მაქსიმიჩიც, მიჰყავთ პოლიციაში.

პოლიციაში ადგენენ ოქმს. როცა რიგი მაქსიმიჩამდე მიდის, მორიგე, როცა მან თავის წინ დაინახა ბეწვ-გაშლილი ამაყი და „უფროსებისადმი“ არც ისე პატივისცემით განწყობილი მაწანწალა, ერთბაშად გადავიდა შესაფერ ფამილიარულ „შენ“-ობაზე.

— ვინ გიცნობს შენ აქ?

მაქსიმიჩმა დაასახელა მ. ი. ნაჩალოვი, რომელიც ამ დროს ამიერ-კავკასიის რკინისგზებზე მსახურობდა და რომელსაც კარგად იცნობდა ჯერ კიდევ ნოვგოროდიდან.

— აა, მაშასადამე შენ უბრალო არ ყოფილხარ!—დაასკვნა მორიგე „ნადზირატელმა“.

მაგრამ, რადგან მაწანწალების სიტყვის დაჯერება არ შეიძლებოდა, მაქსიმიჩი გოროდოვოის თანხლებით გაგზავნეს ნაჩალოვის ბინაზე პირადობის დასადასტურებლად. იქ, რასაკვირველია, მისი „პირადობა“ დაადასტურეს. უკან, პოლიციის საუბნო სამმართველოში დაბრუნების შემდეგ, მაქსიმიჩს უკვე მიანიჭეს „მოქალაქეობის ყველა უფლებები“, მიმართავდნენ „თქვენ“-ობით და გაუშვეს სახლში.

მაქსიმიჩი დაბინავდა ნაჩალოვთან. უკანასკნელი დაფაცურდა, რომ სამსახური ეშოვა მისთვის. ჩქარა მიზანს მიაღწია და მაქსიმიჩი ჩარიცხეს კანტორის მოხელეთ რკინისგზის სახელოსნოებში.

ხელფასი მცირე ჰქონდა, მაგრამ იმდენი კი იყო, რომ საარსებოთ ჰყოფნიდა და მას აღარ უხდებოდა მრავალფუთიან ტვირთის წელმოხრილი ზიდვა გემის კიბეებზე.

მაქსიმიჩს გაუჩნდა თავისუფალი დრო, რომელსაც ხარბათ ავსებდა წიგნების კითხვით.

თანდათანობით ფართოვდებოდა მაქსიმიჩის ნაცნობობის წრე. ნაჩალოვთან გაეცნო იგი გადმოსახლებულ ა. ი. კალიუჟნის.

ან მაქსიმიჩი და ან კალიუჟნი როდი ფიქრობდნენ, რომ ეს შემთხვევითი ნაცნობობა, მტკიცე მეგობრობით დააკავშირებდა მათ მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

კალიუჟნი თბილისში მოხვდა 1890 წ.; სწორედ ერთი წლით ადრე მაქსიმიჩის ჩამოსვლამდე. ამიერ-კავკასიაში კალიუჟნი გადაასახლეს ექვსი წლის კატორღის მოხდის შემდეგ, რაც მან მიუსაჯეს, როგორც „ნაროდნაია ვოლია“-ს წევრს. თბილისში ის მუშაობდა სტატისტიკოსად იმავ ამიერ-კავკ. რკინისგზებზე. ამ დროს კალიუჟნი 39 წლის იყო.

იმ დროს მოწაფე და მუშა-ახალგაზრდობა ხშირად ეწყობოდა ერთად, 3, 4, 5 კაცი, ე. წ. „კომუნებათ“. ამ კომუნების შექმნა წარმოადგენდა შედეგს ახალგაზრდობის ლტოლვისას თვითგანვითარებისადმი და მეორე მხრივ—წმინდა ეკონომიური მიზეზებისას—ერთად ცხოვრება უფრო იაფი ჯდებოდა.

მაქსიმიჩს წინადაც, ვოლგის მხარეში ყოფნის დროს, ეცხოვრა ასეთ კომუნებში.

ბუნებრივია, რომ თავის ტოლების (მაქსიმიჩი ამ დროს 23 წლის იყო) ჯგუფთან დამეგობრების შემდეგ, მაქსიმიჩი ახალ საცხოვრებელ ადგილას, თბილისშიც, შეიქნა ასეთი „კომუნის“ მოწყობის ერთი ინიციატორთაგანი.

და მართლაც, ჩქარა, იმავ 1891 წ. დამლევს—ახალგაზრდა კომუნარების კომპანიამ მაქსიმიჩის მეთაურობით, რომელშიც შედიოდა ერთი მუშა-მექანიკოსი, ახალგაზრდა მოსამსახურე და კიდევ თბილისის საშუალო სასწავლებლების სამ-ოთხი მოწაფე, დაიჭირა დიდი ნახევრად-სარდაფი ქალაქის წყნარ განაპირა უბანში, კრასნოგორის ქუჩაზე და იქ დასახლდა.

„კომუნაში“ იმართებოდა კითხვა, ლიტერატურული საღამოები და საუბრები, მოხსენებები და უბრალო საღამოები ახალგაზრდული სიმღერებით, ჩაის სმით და ცეკვით.

„კომუნარების“ სარდაფში ზოგჯერ 50 კაცამდე იყრიდა თავს, ზოგჯერ მეტიც. საერთოდ კი, „კომუნაში“ მისი არსებობის განმავლობაში გაიარა 200 სხვადასხვა ახალგაზრდამ.

„კომუნის“ მუდმივ სტუმრებს შორის იყვნენ—მაშინ მოწაფენი—რ.ს.ფ.ს.რ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ახლანდელი მოადგილე ანდრია ლეჟავა, საბჭოთა სომხეთის ახლანდელი თვალსაჩინო მუშაკი—სერგო ვართანოვი და სხვა. ხშირად ესტუმრებოდნენ, ხოლმე კომუნას აგრეთვე გადასახლებული მწერალი ვ. ვ. ბერვი (ფლეროვსკი), ა. მ. კალიუჟნი და სხვ.

მეთაურობდა კი კრასნოგორის „კომუნას“—მაქსიმიჩი.

მაქსიმიჩი უკვე მაშინ იყო ცოცხალი, წარმტაცი, მკვამახვილი და მხატვრულად მოამბე.

„კომუნაში“ უყვარდათ ყურისგდება მისი მოთხრობებისათვის. მას კი ამბების თქმა არ ეზარებოდა, ხვეწნას არ საჭიროებდა.

ადვილი გასაგებია, რომ ეს ნიჭიერი მოთხრობები პოპულიარულს ხდიდნენ მაქსიმიჩს ახალგაზრდობაში.

მაგრამ აი, მოახლოვდა მაისის დამლევი, თავდებოდა სამოსწავლო წელი. „კომუნის“ სტუმრების უმრავლესობამ—უკანასკნელი კლასების მოწაფეებმა, დაასრულეს თავისი სასწავლებლები. ზოგიერთები მოეწყვნენ სამსახურში, ზოგიერთები გაემგზავრნენ სამშობლოში, ზოგიერთები ფიქრობდნენ სწავლის გაგრძელებაზე, მაგრამ უკვე რუსეთის საუნივერსიტეტო ცენტრებში.

დადგა „კრასნოგორის კომუნის“ უკანასკნელი დღეები.

„კომუნარების“ უმრავლესობამ მიიღო უკეთეს ბინებში მოწყობის შესაძლებლობა და მიატოვა სარდაფი, რომელსაც ოდესღაც თავი შეაფარა. ოდესღაც ცოცხალი „კომუნა“ თანდათანობით დაცარიელდა.

დაიწყო ივნისი. თბილისელები აგარაკებს აფარებდნენ თავს. სწორედ ამ დროს კალიუჟნიმ წინადადება მისცა მაქსიმიჩს მასთან დასახლებულიყო. ეს წინადადება მაქსიმიჩმა სიამოვნებით მიიღო, რადგან მარტო რჩებოდა. კალიუჟნის კარგ, კეთილგანწყობილებას კი წინადაც გრძნობდა, მასთან იშვიათი შეხვედრის მომენტებში.

ცალკე ოთახი, რომელიც მას დაუთმო გულმხურვალე მასპინძელმა, „კომუნის“ სტუმრების განუწყვეტელი, მუდმივი გამარტიანებელი გუგუნისაგან განთავისუფლების საშუალებას აძლევდა მაქსიმიჩს, უფრო ნაყოფიერად ხდიდა თვითგანვითარებას.

კვლავინდებური სიხარბით ეტანებოდა მაქსიმიჩი თვითეულ ახალ წიგნს. ამრიგად გრძელდებოდა ის „უსისტემო კითხვა“, რისთვისაც უსაყვედურებდნენ და კიდეც კიცხავდნენ მას მრავალი კეთილისმსურველნი, რომლებსაც გულწრფელად სურდათ, რომ ის „კაცად გამოსულიყო“.

ბოლოს და ბოლოს თვით მაქსიმიჩმა იფიქრა—ხომ არ დადგა დრო, რომ მართლა შეუდგე „სისტემატიურ კითხვას“—იხელმძღვანელოს რომელიმე „სახლის გიმნაზიით“ და გაიაროს მეცნიერების სრული კურსი—ევტუშევსკის არითმეტიკის სახელმძღვანელოთი დაწყებული და გათავებული ილოვაისკის ისტორიით?..

და შესაძლოა, რომელიმე კაცთმოყვარე ადამიანი მაქსიმიჩის ჯერ გაუშლელ ნიჭს მართლა მოაქცევდა „სახლის გიმნაზიის“ პროკრუსტის სარეცელზე. ვინ იცის—რა გამოვიდოდა ამ ცდიდან. ყოველ შემთხვევაში, ამ გზაზე მაქსიმიჩის ნიჭს ბევრი თუ დააკლდებოდა, თორემ არაფერი შემატებოდა...

ამას კარგად გრძნობდა ისეთი ადამიანი, როგორც ალექსანდრე მეთოდის ძე კალიუჟნია.

კალიუჟნი კი, მართლა დარწმუნებული იყო, რომ ალექსეი მაქსიმიჩს აქვს ნიჭი—დიდი ნიჭი.

ორივე მეგობარი საუბარში ჰკლავდა თბილისის სულის შემხუთავ გრძელ საღამოებს. ნელ საუბარში შეუმჩნევლად ღამდებოდა.

და უფრო და უფრო ხშირად ფიქრდებოდა კალიუჟნი მაქსიმიჩის შემდგომ ბედზე. უფრო და უფრო ხშირად მიჰყავდა კალიუჟნის თავისი მეგობარი გადაწყვეტილებამდი, რომელიც თითქო თავისთავად გამომდინარეობდა—ჩაეწერა თავისი მოთხრობები.

— დასწერე ყველაფერი ეს!—არა ერთხელ უთქვამს მისთვის კალიუჟნის, როცა მაქსიმიჩი ათავებდა თავის წარმტაც მოთხრობას.

მაგრამ „ყველაფერ ამის წერას“ მაქსიმიჩი ვერ ბედავდა.

თავისი საწერლო ნიჭის რწმენა ჯერ თვით მაქსიმიჩს არ ჰქონდა.

მაგრამ სიამოვნებით უბრუნდებოდა მაქსიმიჩი თავისი ლექსთ-წერის ცდებს.

ასე მაგალითად, მან ერთხელ დასწერა ლეოპარდის (იტალიელი პოეტ-პატრიოტი) მაგვარი ლექსი—ნაციონალური რევოლიუციის თემაზე.

თუ რამდენად იყო იმ დროს მაქსიმიჩი ლექსის ოსტატი, ამას ამტკიცებს სწორედ ამ ლექსის ამბავი.

კალიუჟნი კარგ დამოკიდებულებაში იყო გადმოსახლებულ ნ. მ. ფლეროვთან, რომელიც კორექტორათ იყო გაზ. „კავკაზში“. ხშირად კალიუჟნი ეხმარებოდა ფლეროვს მუშაობის ადრე გათავებაში, რომ დარჩენილი საღამო ერთად გაეტარებიათ.

როცა კალიუჟნიმ, აღტაცებულმა ხსენებულ ლექსით, ნაწერი უჩვენა ფლეროვს, უკანასკნელმა პროვინციალური საგაზეთო მუშაკისათვის ჩვეული ქედმაღლური დაცინვით მოუჭრა:

— მას მოუპარავს ეს ლექსი!

მაგრამ ალ. მეფოდიევიჩმა ის შეარცხვინა:

— არ იცით ვისთან გაქვთ საქმე...

გაბრაზდა და წავიდა.

⁂

თვე თვეს მისდევდა. ზაფხული იწურებოდა. როგორღაც ერთხელ მაქსიმიჩმა უამბო კალიუჟნის თავისი მოთხრობა ლოიკოსა და რადდას შესახებ.

გაათავა მაქსიმიჩმა ამბავი და დადუმდა. გაგონებულით გატაცებული კალიუჟნი ახლა დაჟინებით და სერიოზულად ურჩევდა მაქსიმიჩს უსათუოდ ჩამჯდარიყო და აუცილებლად ჩაეწერა თავისი მშვენიერი მოთხრობა.

ალბად ნიადაგი მომზადებული იყო. მაქსიმიჩმა დაიჯერა: დასძლია ყოველგვარი მერყეობა, და პირველად თავის სიცოცხლეში ჩაუჯდა ახალ მუშაობას—მწერლობას...

მაქსიმიჩი იჯდა და სწერდა თავის პირველ მოთხრობას..

ალექსეი მაქსიმიჩი ცხოვრობდა ჩემთან ცალკე ოთახში. და როცა იწყებოდა მისი შემოქმედება, მე მას არ უშლიდი...—ასე იგონებს ახლა მოხუცი კალიუჟნი ოდესღაც ახალგაზრდა მაქსიმიჩის შემოქმედებითი წვის პირველ დღეებს პირველი მოთხრობის წერის დროს.

დაბოლოს, „მაკარ ჩუდრა“-ს წერა გათავდა...

ისმებოდა კითხვა: სად უნდა დაბეჭდილიყო მოთხრობა?

მაშინ თბილისში რუსულ ენაზე გამოდიოდა მხოლოდ შემდეგი გამოცემები, სადაც შეიძლებოდა დაწერილი მოთხრობის მიტანა: ეს იყო გაზეთები: „კავკაზ“, „ნოვოე ობოზრენიე“, „ტიფლისსკი ლისტოკ“.

„დიდი გაზეთის“ ფურცლებზე მოხვედრა სრულიად უცნობი ავტორისათვის და ისიც დიდი ლიტერატურული ნაწარმოებით—ადვილი საქმე როდი იყო. საჭირო იყო გავლენიანი პროტექცია. და ეს პროტექცია მაქსიმიჩს აღმოუჩინა „კავკაზ“-ის ფელეტონისტმა ვ. ღ. ცვეტნიცკიმ, პროფესიით პედაგოგმა, რომელთანაც კალიუჟნი მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო.

ცვეტნიცკი თავისი წმინდა, ჰუმანიტარული ფელეტონებით ავსებდა გაზეთის ქვედა-სართულებს. მას—ენამახვილ ჟურნალისტსა და განათლებულ ადამიანს,—ანგარიშს უწევდნენ ოფიციოზის რედაქციაში.

კალიუჟნის მიერ მიტანილ უცნობ „მაქსიმ გორკის“ მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ცვეტნიცკიმ თავისი ალღოთი ერთბაშად იგრძნო ავტორის ნიჭი. უნახავად გამსჭვალა სიმპატიებით მისდამი და აღუთქვა მოთხრობის უსათუოდ მოთავსება „კავკაზ“-ში.

და მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ, მოთხრობამ გაიარა ოფიციოზის ცენზურა და დაიბეჭდა: „კავკაზ“-ის 1892 წ. 12 სექტემბრის № 242-ში.

როცა მოთხრობის დაბეჭდვის შემდეგ ცვეტნიცკი გორკის შეხვდა ქუჩაში, აღელვებული გაეშურა მისკენ, გადაეხვია და გადაკოცნა...

ასეთმა წარმატებამ ერთბაშად დაარწმუნა მაქსიმიჩი, თუ რამდენად მართალი იყო კალიუჟნი. როცა ასე დაჟინებით ურჩევდა მას მუდამ ეარა საკუთარი, დამოუკიდებელი გზით.

ასე ამრიგად, თბილისში შემთხვევით მოხვედრილმა მოხეტიალე გორკიმ პირველად იგრძნო აქ თავი მწერალ მაქსიმ გორკათ.

ოდესღაც უულტაში მოხეტიალე მაქსიმიჩმა, უცნაური ბიოგრაფიის მქონე, უსახელო ადამიანმა—გაიარა დიდი გზა მსოფლიო სახელისა და დიდებისაკენ.

შორს, დაბლა, ველათ, სადაც ოდესღაც დაიწყო გორკის მძიმე გზა—იმავ ძველ თბილისში,—დარჩა და ცხოვრობს მოხუცი კალიუჟნი, თითქოს განვლილი წლები ფართო უფსკრულად ჩაწვა მათ შორის. მაგრამ ეს ასე არ არის... ცხოვრების ვერავითარი ორომტრიალი ვერ ჩაახშობს მწერლის მეხსიერებაში იმას, რაც იყო ერთხელ...

ე. კლდინ.

---

*) იხ. გორკის მოთხრობა: „ჩემი თანამგზავრი“.

მაქსიმ გორკი თავის კაბინეტში

მისალმებანი მაქსიმ გორკის

ამხ. რიკოვისაგან

მოსკოვი, 28 მარტი. მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენი სიცოცხლის 60 წლის თავის შესრულების გამო. თქვენი სიცოცხლის 35 წელზე მეტი თქვენ მოანდომეთ ლიტერატურულ მოღვაწეობას. ეს მოღვაწეობა განსაკუთრებით ახლობელია ჩვენთვის, პროლეტარულ რევოლიუციის მუშაკებისათვის, ვინაიდან თქვენ ხართ არა მარტო უდიდესი მწერალი, არამედ აქტიური მებრძოლიც მუშათა კლასის საქმისათვის, ახალ ცხოვრებისათვის და ახალ თავისუფალ ადამიანის სოციალისტურ კულტურისათვის. გისურვებთ კიდევ დიდხანს განაგრძოთ ძველებური ენერგიით თქვენი მუშაობა.

ამხ. ბუხარინის დეპეშა

მოსკოვი, 28 მარტი. გულმხურვალედ გილოცავთ შესანიშნავი შემოქმედებით ცხოვრების 60 წლის შესრულებას. სულით და გულით გისურვებთ იმუშაოთ კიდევ ნახევარი საუკუნე მაინც ყველა ქვეყნის პროლეტარების სასარგებლოდ. ჩვენში ეს არის ახლა იწყება ფართო „კაპიტალური მშენებლობა“ ყველა დარგში. ხალხები იღვიძებენ, შევარდნები და ქარიშხალის წინამორბედნი ყველგან გამრავლდნენ თქვენი მშობლიური დახმარებით. მოუთმენლად მოგელით. ძალიან გვინდა ჩამოგართვათ დიდი ამხანაგური ხელი. დიდად და დიდად გისურვებთ სიმხნევეს და შემდგომს ახალგაზრდულს სიცოცხლეს, ჩვენო საყვარელო მეგობარო, ადამიანო და ახალი კულტურისათვის მსოფლიო მებრძოლო.

საკავშირო პროფსაბჭოსაგან

მოსკოვი, 28 მარტი. საკავშირო პროფსაბჭომ მისალმების წერილი გაუგზავნა მ. გორკის. წერილში ნათქვამია:

„სამშობლოს დაშორებული, თქვენ თვალყურს ადევნებთ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის კულტურულ ზრდას და თქვენი რჩევა-დარიგებით მორალურად დახმარებას უწევთ მუშათა წრიდან გამოსულ ახალგაზრდა მწერლებს. ეს გვაძლევს ჩვენ რწმენას, რომ, როდესაც თქვენ ჩვენთან დაბრუნდებით, ისევ იქნებით ახალ ცხოვრებისათვის და ახალ კულტურისათვის აქტიურ მებრძოლთა რიგებში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მწერალ-პროლეტარის, მწერალ-მებრძოლის და რევოლიუციონერის ნიჭი მომავალშიაც ემსახურება მუშათა კლასის საქმეს და იმ ქვეყანას, რომელშიაც სწარმოებს სოციალიზმის მშენებლობა“.

განათლების კომისარიატისაგან

მოსკოვი, 28 მარტი. გორკის იუბილეს გამო, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის განათლების კომისარიატმა მწერალს მისალმების დეპეშა გაუგზავნა და უსურვა ნაყოფიერი მუშაობა პირველ მუშათა სახელმწიფოს სამშობლო მიწა-წყალზე დაბრუნების შემდეგ.

გორკის მისალმების დეპეშა გაუგზავნა აგრეთვე სამხატვრო მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიამ, რომლის საპატიო წევრად ითვლება გორკი.

სტუმრად გორკისთან

რომში მივიღეთ გორკის დეპეშა: „მოხარული ვიქნები, თუ სამივე *) გამოივლით ჩემთან“... ნეაპოლის გზით გავემგზავრეთ სორენტოში, სადაც გორკი ცხოვრობს.

არც ერთს ჩვენთაგანს არასოდეს არ ენახა ის. ხშირად ჩამოვარდნილი ლაპარაკი მასზე ჩვეულებრივ თავდებოდა ასეთი კითხვით: „ნეტავი, რანაირია ის“ „როგორ უნდა ველაპარაკოთ მას“? „რაზე სჯობს ლაპარაკის ჩამოგდება“ და სხვ.

ჩვენ გაგონილი გვქონდა, რომ ალექსი მაქსიმეს ძე შეუძლოთ იყო. მგონი, ფილტვების ანთებით იყო ავად... ამიტომ მოვილაპარაკეთ: არ წავართვათ ბევრი დრო, არ მოვქანცოთ შეკითხვებით და ლაპარაკით.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ასეთი მსჯელობა თვითეულ ჩვენთაგანში იწვევდა გასაგებ მღელვარებას და ერთგვარ უხერხულობასაც, რაც სულ უფრო ძლიერდებოდა, რამდენადაც სორენტოს უახლოვდებოდით.

ჩვენ უკვე სორენტოში ვართ.

გავჩერდით ნაჩვენებ მისამართის მიხედვით იმ სახლის პირდაპირ, სადაც გორკი ცხოვრობს... ქუჩის მეორე მხარეზე... ასე, რომ ჩვენი და მისი სახლის ფანჯრები ერთმანეთს უყურებდნენ.

ორსართულიანი, თეთრი, ოდნავ მოყვითალო სახლი მოსჩანს რაღაც განმარტოებით. მაღლობლად აკრავს ფორთოხლის ამწვანებული ბაღი.

გვერდით — ზღვის ყურე; ზღვის ყურეს მეორე მხრიდან ძალიან ახლოს გეჩვენებათ ვეზუვი, რომელიც გამუდმებით მელანქოლიურად ხვნეშის და ისვრის კრატერიდან ორთქლსა და ზოგჯერ ცეცხლს...

ბევრ ჩვენთაგანს „გორკის“ გაგონება ეხლაც აკვირვებს. ჩემთვის პირადათ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ეს კაცი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში არ ყოფილა, მართლაც რეალურად არსებობდა. ეს იმით აიხსნება, რომ გორკის ჩვენ ვიცნობთ მისი ნაწარმოებებით, ვკითხულობთ მას, გვიყვარს ის, ვსწავლობთ მისგან და ვგრძნობთ მას, როგორც ყველაზე უფრო ახლობელს და მშობლიურს.

მაგრამ — ეს მხოლოდ წიგნების და წერილების სტრიქონებით... თვითონ გორკი კი სადღაც შორს არის — სამხრეთ იტალიაში, რომელიღაც სორენტოში, ჩვენთვის უცნობ და გაუგებარ პირობებში...

და აი აქ, ამ გზას იქით, ამ მდუმარე, ოდნავ დაღვრემილ (შეიძლება იმიტომ, რომ ღრუბლიანი დღე არის...) სახლში — იმყოფება გორკი — ცოცხალი, ხელშესახები...

გაუგზავნეთ ცნობა: „ა. მ., ჩვენ ჩამოვედით. როდის გექნებათ თავისუფალი წუთი ჩვენს შესახვედრათ, გთხოვთ გვაცნობოთ“... და ხელი მოვაწერეთ.

— მაშ, ასე. რამდენიმე დღე დავრჩებით სორენტოში. რომელიმე დღეს ხომ ვნახავთ გორკს. ძალიან კარგი...

— ეხლა კი ცოტათი მოვისვენოთ, ნამგზავრი ვართ, გავიხადოთ და წამოვწვეთ ლოგინებზე. ასეც მოვიქეცით.

წავიძინეთ ერთი საათით. გამოვეღვიძეთ. ვლაპარაკობთ. კარზე ვიღაცა აკაკუნებს.

ვეკითხები ფრანგულად: „ვინ არის? რაშია საქმე?“ მოულოდნელად რუსულად გვესმის პასუხი, ძლიერი ნიჟეგოროდული ბოხი ხმით:

— მგონი რუსები ცხოვრობენ აქ?

— დიახ, შემობრძანდით.

ჩვენ ვწევართ.

შემოდის დინჯი ნაბიჯით მაღალი, გამხდარი კაცი შინაური ტუფლებით, უქუდოთ. ა-

---

*) ბეზიმენსკი, მე და უტკინი.

ძღვნად მაქსიმ გორკის

მოგესალმები, თბილისის მიწავ,
გადახაზულო შუაზე მტკვარით!
ხიდის ნაცვლად, დღეს „ზაჰესს“ ვფიცავ,
მზის შუქნარების ზვიადი ზვარით!..

მოგესალმები, როგორც ოდესმე
მოვადგა ღამით „ალექსი მწარე“,
მას მიეგება ძველი მოწესე,
და სწუხდა მაშინ ამაზედ მთვარე...

სხვა რწმენით ვუმზერ მე დღეს შენს
ღამეს,
წარსულ ღამეებს ის გაეთიშა,
დღით მტკვრის დუდუნიც სხვას ამბობს
რამეს
და სხვა ჩინვარით [illegible] ქვიშა.

ირგვლივ ქვიტკირთა ვხედავ ნანგრევებს:
სტირის წარსული და მძიმედ ოხრავს!..
მე დღეს დუღაბის ტანიც მამხნევებს,
ტანიდან წყალი არხში რომ მოჰყავს.

არხში სდგას ჩარხი! ცხოვრების ქმედებს
ისე აბრუნებს, როგორც ბზრიალებს..
მილიონებით ვსჭვრეტ შემოქმედებს
და არ ვაშტერებ ერთ ღმერთზე თვალებს...
იყო თბილისი ტახტის და სისხლის,
იყო თბილისი—საგანი დავის,
დღეს ღვრა თვით ოფლის არც ერთი
მისხლის,
კომუნიზმს იქით, აქ არ სწამს არვის!

სხვა მეთაურობს ახლა დროს ხალხი,
სხვა მღელვარებით მოღელავს მტკვარი,
და მცხეთის ბოლოს ავჭალის არხი
სულ სხვა გვარ ცეცხლით მძლეა და მწვარი,
ეს ცეცხლი თბილისს რომ შემოეგზნოს,
ჯერ კიდევ იყო ცხოვრება დუნე,
და აღსდგა ქუჩა! ხომ უნდა ეგრძნო
მას ძალა, მკვეთრი და მოგუგუნე!..
და შემოყონეს აქ ამ ძალებმა
ყოველი გზით და ყოველ ბილიკით,
ჯერ, ვით ცეცხლის სუსტ ნაპერწკალებმა,
კვლავ რომ აღიგზნენ ხანძრად, პირიქით!..
გულით სხდებოდა იმათ თბილისი,
ირგვლივაც—მთელი თბილისის მხარე,
და აღიჭურვა ცეცხლის თესლიშით
აქ არა ერთი „მაქსიმე მწარე“!..
ამ მრავალთაგან ამაღლდა ერთი,
დაადგა თბილისს, როგორც მყინვარი,
დღეს რომ შორს ისმის მისი ხმა, მკვეთრი,
და შორს რომ ბრწყინავს მისი ჩინვარი!..
„მწარე მაქსიმე“—მაქსიმე გორკი!
ესტუმრა თბილისს იგი ქვეითად,
კავკასიონის ჩამოჰყვა ღორღი
და ის აქ იქცა სხვა ძვირფას ნივთად!..
დღეს ის, ვით ჯიღა, თავზე გვადგია,
სჩანს ქვეყნის თვალში, ვით გაკვეთილი!..
შრომის ქვეყანავ, ასე კარგია
თბილისის მიწის თესლი კეთილი!..

ნ. ზომლეთელი.

მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ *)

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, გლეხობის აქტივობის გიგანტიურმა ზრდამ და მისმა ლტოლვამ სოფლის რადიკალურად გარდაქმნისაკენ გამოიწვია მოსახლეობის ფართო მასშტაბით თვითდაბეგვრა ადგილობრივ კულტურულ და სამეურნეო საჭიროებათ დასაკმაყოფილებლად.

სოფლის მშენებლობის (სკოლების და სახალხო სახლების აგება, წყალსადენის, სარწყავი არხების, გზების გაყვანა და სხვ.) არაჩვეულებრივი ზრდის მატერიალურ ბაზისს უმთავრესად თვითდაბეგვრით მიღებული საშუალებები შეადგენდა.

ადგილობრივ საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად მოსახლეობის თვითდაბეგვრის 1924 წლის კანონის გამოცემამდე, თვითდაბეგვრის ფორმები, ფარგლები, მიზნები და მათ შესახებ დადგენილებათა გამოტანის წესი არავითარი კანონმდებლობით არ იყო განსაზღვრული.

თვითდაბეგვრა, რომელსაც წინად სტიქიური ხასიათი ჰქონდა და გლეხობის ფართო მშრომელი მასების სურვილებითა და ინტერესებით იყო გამოწვეული, ტარდებოდა სათანადო ხელმძღვანელობისა და, ხშირად ყოველგვარი ხელმძღვანელობის გარეშე, ამიტომ შემდეგ ის მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობას.

თვითდაბეგვრა გადაიქცა იძულებით დაბეგვრად. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები „თვითდაბეგვრის“ სახით საკუთარი შეხედულებისამებრ ადებდნენ ბეგარას გლეხობას ყოველგვარ საპატიო და არასაპატიო მიზეზით.

მოსახლეობის დაბეგვრა სწარმოებდა ისეთი საქმისათვის, რომელიც თავისი ღირებულებით იმდენად დიდი იყო, რომ მისი განხორციელება ადგილობრივ მოსახლეობისათვის ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ერთი საქმის დაუმთავრებლად ხელს ჰკიდებდნენ მეორეს და ხშირად არა ისეთ საქმეს, რომელიც ყველაზე უფრო საჭირო, ახლობელი და გასაგები იყო მოსახლეობისთვის, არამედ ისეთს, რომელიც რაც შეიძლება მეტ გარეგნულ ეფექტს ახდენდა. შეგროვილი თანხები ხშირად არ ხმარდებოდა თავის დანიშნულებას და სხ.

ჩვენს სოფლებში დღემდე შენახულა ამ უგეგმო და უსისტემო მშენებლობის პერიოდის მრავალი ძეგლი დაუმთავრებელ უზარმაზარ სასკოლო შენობებისა და სახალხო სახლების სახით. ამ პერიოდში გახშირდა სასამართლო პროცესები იმ საქმეებზე, რომლებიც შეეხებოდა დაბალი საფეხურის საბჭოთა აპარატის მუშაკების მიერ თავიანთი უფლებების გადაჭარბებას, გაფლანგვას და უყაირათობის გამოჩენას „თვითდაბეგვრის“ გატარების დროს.

1924 წელში გამოცემული კანონი თვითდაბეგვრის შესახებ მიზნად ისახავდა ბოლო მოეღო სოფლად სხვადასხვა გადასახადების შეთხზვის იმ ვაკხანალიისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა „თვითდაბეგვრის“ ნიღაბ ქვეშ.

1924 წლის კანონის მიხედვით ხელისუფლების ორგანოებს სრულიად ერთმეოდათ თვითდაბეგვრის გატარებაში მონაწილეობის უფლება, ხელისუფლების ორგანოებს ეკრძალათ მიეღოთ რაიმე მონაწილეობა არა მარტო ცალკე მეურნეობებზე თანხების გაწერის, მათი შეგროვებისა, დახარჯვისა და ამ ნიადაგზე წარმოშობილ საჩივრების განხილვის საქმეში, არამედ მათ ეკრძალათ აგრეთვე დაესწრონ სოფლის ყრილობებზე საკითხი თვითდაბეგვრის შესახებ.

ამ კანონით თვითდაბეგვრის განხორციელება შეიძლებოდა მხოლოდ მოქალაქეთა ნებაყოფლობითი თანხმობით.

მოქალაქეთა კრებების დადგენილება თვითდაბეგვრის შესახებ არ იყო სავალდებულო იმათთვის, ვინც არ დაესწრებოდა კრებას, ან არ მიიღებდა მონაწილეობას საკითხის გადაჭრაში, არც იმათთვის, ვინც, თუმცა დაესწრო კრებას, მაგრამ ხმა მისცა თვითდაბეგვრის წინააღმდეგ ან თავი შეიკავა და, ბოლოს, არ იყო სავალდებულო იმათთვისაც კი, ვინც ხმა მისცა თვითდაბეგვრას, რადგან უარყოფილი იყო რაიმე იძულებითი ზომები მოქალაქეთა ყრილობის ან ჯგუფის მიერ თვითდაბეგვრის შესახებ გამოტანილ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად. ყველაფერი დამოკიდებული იყო მოქალაქის კეთილ სურვილზე. ასეთ პირობებში ისეთი გლეხიც კი, რომელსაც შეგნებულ ჰქონდა ამა თუ იმ საზოგადო ღონისძიების აუცილებლობა, უარს ამბობდა ამ საქმეში მატერიალურ მონაწილეობაზე, ვინაიდან ფიქრობდა, რომ მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელმა „საზოგადოებამ“, და არა მხოლოდ ცალკე პირებმა!

ცხადია, რომ 1924 წლის კანონის გამოცემის შემდეგ თვითდაბეგვრის პრაქტიკა სრულიად მოისპო.

მაგრამ თვითდაბეგვრის აუცილებლობა ადგილობრივ საჭიროებათა (გზა, წყალსადენი, სკოლა და სხ.) დასაკმაყოფილებლად მეტად აშკარა გახდა გლეხური მოსახლეობისათვის.

ადგილობრივ მცირე ბიუჯეტს არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო სოფლის გაზრდილი კულტურული და სამეურნეო მოთხოვნილებების ყოველ შემთხვევაში ყველასი დაკმაყოფილება.

ამასთანავე სოფლის კეთილდღეობის ზრდამ და გლეხობის გაძლიერებულმა აქტივობამ შექმნეს პირობები იმისათვის, რომ სოფლის ახალ კულტურულ და სამეურნეო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ნაწილობრივ განხორციელებულიყო მოსახლეობის თვითდაბეგვრის საშუალებით.

გლეხობისა და სოფლის მუშაკების ყველა ყრილობაზე და თათბირზე ისმება საკითხი თვითდაბეგვრის ისეთი კანონის გამოცემის შესახებ, რომელიც ფაქტიურად შესაძლებლად გახდიდა მის განხორციელებას.

თვით ცხოვრების მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებების გამო საქართველოს რესპუბლიკის კანონიერ ორგანოების ინიციატივით ა.-კ. ცაკმა 1926 წ. 9 აგვისტოს გამოსცა კანონი „გლეხური მოსახლეობის უფლებების შესახებ ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილების დარგში“. ამ კანონის მიხედვით საქართველოს ს. ს. რ. ცაკმა და სახალხო კომისართა საბჭომ 1927 წ. 12 იანვარს გამოსცეს დადგენილება.

ეს დადგენილება თემსაბჭოებსა და თემამხკომებს ანიჭებს თვითდაბეგვრის საკითხების დასმის ინიციატივასა და თვითდაბეგვრის მიზნით მოქალაქეთა საერთო კრებების—სოფლის ყრილობების მოწვევის უფლებას.

საერთო კრებებზე დადგენილება გამოაქვთ დამსწრეთა ხმის უბრალო უმრავლესობით და ის სავალდებულოა ყველა ადგილობრივი მოქალაქეთათვის. საერთო კრება, რომელსაც გამოაქვს დადგენილება თვითდაბეგვრის შესახებ, კანონიერად ითვლება, თუ მას დაესწრო (ამა თუ იმ თემის, სოფლის, უბნის) საარჩევნო უფლებების მქონე ყველა მოქალაქეთა არა ნაკლებ ორი მესამედისა.

მოქალაქეთა საერთო კრებას უფლება ეძლევა განსაზღვროს თვით კანონში ჩამოთვლილი საზოგადო საჭიროებათა ფარგლებში ის ღონისძიება, რომლისთვისაც ტარდება თვითდაბეგვრა, საზოგადო კრებას უფლება აქვს განსაზღვროს აგრეთვე დასახულ ღონისძიებისათვის საჭირო საშუალებათა რაოდენობა და ამ საშუალებათა სახეები—ფულადი ან ნატურალური, ცალკე მოქალაქეებზე გასაწერ თანხების რაოდენობა და განთავისუფლოს მოქალაქეთა ზოგი კატეგორიები ან ცალკე პირები თვითდაბეგვრისაგან და სხ.

იგივე საზოგადო კრებები ირჩევენ იმ ორგანოებს, (კომისიებს), რომელთაც სისრულეში მოჰყავთ დადგენილება თვითდაბეგვრის შესახებ და რომლებიც კონტროლს უწევენ იმას, თუ რამდენად სწორადაა შესრულებული და რამდენად დანიშნულებისამებრ იხარჯება შეგროვილი თანხები.

ალმასკომებს ევალებათ „თვალყური ადევნონ, თუ რამდენად მიზანშეწონილად და მოქალაქეთა საერთო კრების დადგენილების მიხედვით იხარჯება თანხები“.

სოფლის ყრილობის დადგენილება თვითდაბეგვრის შესახებ სისრულეში მოჰყავთ მას შემდეგ, როცა სამაზრო ალმასკომი დაამტკიცებს ამ დადგენილებას.

ამ კანონში ახალია: ა) იმ საჭიროებათა ფარგლების განსაზღვრა, რომლებისთვისაც შესაძლებელია თვითდაბეგვრა; ბ) თვითდაბეგვრის შესახებ მოსახლეობის უმრავლესობის მიერ გამოტანილ დადგენილების სავალდებულო ხასიათი მოსახლეობის უმცირესობისათვის; გ) ხელისუფლების ორგანოების დაშვება მონაწილეობის მისაღებად თვითდაბეგვრის საკითხების დასმასა და მის გატარებაში, და ბოლოს, დ) სამაზრო ალმასკომის მიერ სოფლის ყრილობის დადგენილების დამტკიცება.

ვინაიდან წინად თვითდაბეგვრის გატარების დროს ადგილი ჰქონდა ყოველგვარ ბოროტმოქმედებას, ამიტომ კანონი ცდილობს შექმნას მაქსიმალური გარანტიები იმისათვის, რომ თვითდაბეგვრა ტარდებოდეს მოსახლეობის უმრავლესობის ნამდვილი თანხმობით, თვით კანონით ზედმიწევნით განსაზღვრულ საზოგადო საჭიროებისათვის და ხელისუფლების უფრო მაღლა მდგომ ორგანოების კონტროლით.

1927 წლის 31 იანვარს, 1926 წ. 9 აგვისტოს კანონის შეუცვლელად, ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმი სცემს ახალ დადგენილებას „გლეხური მოსახლეობის უფლების შესახებ ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილების დარგში“.

ამ დადგენილებით ა.-კ. ს. ფ. ს. რ.-ში შემავალ რესპუბლიკების ცაკებს უფლება აქვთ, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, შეავსონ იმ საჭიროებათა სია, (საგზაო და სახკ. მშენებლობა, წყალსადენის გაყვანა და სამკურნალო პუნქტების მშენებლობა), რომელთათვისაც შესაძლებელია თვითდაბეგვრა, ადგილობრივ კეთილმოწყობის მოსაზრებით ან კულტურულ სამეურნეო ცხოვრებით გამოწვეულ საჭიროებებით, ოღონდ თვითეულ ცალკე შემთხვევაში, ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ნებართვის მიღებით.

ამრიგად ეს კანონი აშკარავებს ტენდენციას იმ ღონისძიებათა გაფართოებისას, რომელთათვისაც შესაძლებელია თვითდაბეგვრა, მაგრამ ამასთანავე ერთად ის სასტიკად საზღვრავს იმ თანხების რაოდენობას, რომელთა ფარგლებშიაც შეიძლება თვითდაბეგვრის გატარება.

დადგენილება აწესებს შემდეგ ნორმას:

„ამ დადგენილების მიხედვით ერთი წლის განმავლობაში თვითეულ პუნქტში შეგროვილი საშუალებათა საერთო რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის იმ კონტინგენტს, რომელიც უწევს განსაზღვრულ პუნქტს განსაზღვრულ წელიწადში“.

ასეთი ნორმის დაწესება გამოწვეული იყო ფინსახკომის ორგანოების მოთხოვნით; ისინი ამტკიცებდნენ, რომ თვითდაბეგვრით აგროვებენ ერთობ დიდ თანხებს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის წარმატებით აკრეფაზე.

ა.-კ. ცაკის 1927 წ. 31 იანვრის კანონი აფართოებს ადგილობრივ ალმასკომების უფლებებს მოსახლეობის თვითდაბეგვრის გატარების საქმეში და აკისრებს მათ ვალდებულებას გაწერონ მოქალაქეებზე თვითდაბეგვრის თანხები (წინანდელი კანონით ეს მოვალეობა დაკისრებული ჰქონდა სოფლის ყრილობის მიერ ამ მიზნისათვის არჩეულ სპეციალურ კომისიებს).

შემდეგ კანონი ამყარებს პრინციპსაც, რომლითა მიხედვით უნდა ხდებოდეს დაბეგვრა: დასაბეგრ მეურნეობათა შემოსავლიანობის აღრიცხვა და დაბეგვრის პროგრესიულობის დაცვა.

ამ კანონის გამოცემას მოჰყვა საქართველოს ცაკის 1927 წ. 3 ივლისის ინსტრუქცია თვითდაბეგვრის შესახებ.

საბჭოთა კავშირის მთელ დანარჩენ ტერიტორიაზე (ა.-კ. ს. ფ. ს. რ. გარდა) 1924 წ. 29 აგვისტოს კანონი თვითდაბეგვრის შესახებ ძალაში რჩებოდა და მას არავითარი ცვლილება არ განუცდია 1927 წ. 24 აგვისტომდე, როცა საკავშირო ცაკმა და სახკომსაბჭომ მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ გამოსცეს დადგენილება, რომელიც შემდეგ შევსებულ და შეცვლილ იქნა 1928 წ. 19 და 23 იანვრის დადგენილებებით.

რით განსხვავდება ახალი საკავშირო კანონმდებლობა თვითდაბეგვრის შესახებ ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში მოქმედ კანონისაგან?

1. საკავშირო ცაკის დადგენილება პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ადმინისტრაციულ ხარჯების დასაფარავად თვითდაბეგვრა აკრძალულია.

2. თვითდაბეგვრის საერთო თანხა, როგორც წესი, არ უნდა სჭარბობდეს განსაზღვრულ საგადასახადო წელში განსაზღვრულ სოფლის ყველა მეურნეობებზე გაწერილ მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო ჯამის 35 პროცენტს, მაგრამ მოკავშირე რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს შეუძლიათ საგუბერნიო და საოლქო ალმასკომებს და მათ შესაფერ ორგანოებს მიანიჭონ უფლება ნებადართონ ცალკე რაიონებს თვითდაბეგვრის აღნიშნულ კანონით განსაზღვრულ საერთო თანხის გადიდება.

3. ცალკე მეურნეობათა დაბეგვრის სისტემა მათ შეძლებასთან შეფარდებით მყარდება სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციის მიხედვით.

4. სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირები, რომლებიც დამოუკიდებლად არ აწარმოებენ სასოფლო მეურნეობას, არ იბეგრებიან იმ შემთხვევაში, როცა ისინი უშუალო სარგებლობას არ ღებულობენ იმ ღონისძიებისაგან, რომლისთვისაც ტარდება თვითდაბეგვრა.

5. სოფლის ყრილობის დადგენილება თვითდაბეგვრის შესახებ, წარდგენილი შესაფერის საბჭოს მიერ მაღლა მდგომ აღმასრულებელ კომიტეტში დასამტკიცებლად, შედის ძალაში, თუ დადგენილება ორი კვირის განმავლობაში დღიდან მისი წარდგენისა არ იქნა უარყოფილი.

6. საშუალებათა შეგროვება თვითდაბეგვრით და აგრეთვე მათი ხარჯვა სწარმოებს საბჭოს მიერ.

7. მეთვალყურეობას იმაზე, თუ რამდენად სწორად იხარჯება თვითდაბეგვრის წესით შეგროვილი თანხები, ახორციელებს საბჭოსთან არსებული სარევიზიო კომისია და აგრეთვე მაღლა მდგომი აღმასრულებელი კომიტეტი.

8. საჩივრებს თვითდაბეგვრაზე განიხილავს მაღლა მდგომი აღმასრულებელი კომიტეტი.

გარდა ამისა საკავშირო ცაკის დადგენილებას დასაშვებად მიაჩნია მოსახლეობის თვითდაბეგვრა საზოგადო საჭიროებისათვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ სხვა შემთხვევებშიაც, მაგრამ მხოლოდ მოქალაქეთა ნებაყოფლობითი თანხმობით, 1924 წ. 29 აგვისტოს კანონით შემოღებულ წესის მსგავსად.

ახალი საკავშირო კანონი თვითდაბეგვრის შესახებ ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში ამჟამად მოქმედი კანონისაგან განსხვავდება შემდეგი მომენტებით:

ა) საკავშირო კანონის მიხედვით ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს (საბჭოები, სარევიზიო კომისიები და მაღლა მდგომი ორგანოები) ეძლევათ დიდი უფლებები თვითდაბეგვრის გატარების საქმეში და გარდა ამისა, საბჭოები კანონით დაწესებულ ფარგლებში განაგებენ თვითდაბეგვრით შეგროვილ თანხებს;

ბ) თანხების რაოდენობა, რომლის ფარგლებშიაც შეიძლება თვითდაბეგვრის გატარება, უფრო შემცირებულია.

საკავშირო ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილება მოკავშირე რესპუბლიკებს ანიჭებს უფლებას შეადგინონ იმ კულტურულ და სამეურნეო საჭიროებათა სია, რომელთა დასაკმაყოფილებლადაც შეიძლება სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრა და აგრეთვე განსაზღვრონ საერთო კრების (სოფლის ყრილობის) კანონიერების პირობები და მის მიერ თვითდაბეგვრის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის წესი.

ჩვენში ამჟამად მოქმედ კანონის მიხედვით თვითდაბეგვრა შეიძლება „ადგილობრივ კეთილმოწყობისა და კულტურულ-სამეურნეო ცხოვრების ცალკე საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად საგზაო და სასკოლო მშენებლობისა, წყალსადენის გაყვანისა და სამკურნალო პუნქტების მშენებლობის დარგში“.

„თუ ადგილობრივ პირობების მიხედვით აუცილებელი გახდება თვითდაბეგვრის წესით ადგილობრივ კეთილმოწყობისა და კულტურულ-სამეურნეო ცხოვრების ზემო ჩამოთვლილ საჭიროებათა გარდა სხვა საზოგადო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მაშინ შესაფერისი სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, მოქალაქეთა საერთო კრების დადგენილებით, ან საკუთარი თაოსნობით სათანადო შუამდგომლობას აღძრავს საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე“. (საქართველოს ცაკის ინსტრუქცია).

რ. ს. ფ. ს. რ. ცაკის 1928 წ. 7 იანვრის დადგენილებით თვითდაბეგვრა დასაშვებია მხოლოდ სოფლის შემდეგ კულტურულ და სამეურნეო, საზოგადო მნიშვნელობის, საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად: ა) აგება და სამეურნეო შენახვა (აგება, დამთავრება, გაფართოება, კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, ბინების დაქირავება, მოწყობა, გათბობა, განათება და სხ.) კულტურულ-საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ უზრუნველყოფის დაწესებულებებისა და აგრეთვე იმ დაწესებულებებისა, რომლებიც მიზნად ისახავენ სასოფლო მეურნეობის განვითარებას, (სკოლები, სოფლის სამკითხველოები, ბიბლიოთეკები, კლუბები, წითელი კუთხეები, სახალხო სახლები, საბავშო ბაგები, საბავშო სახლები და ბაღები, საავადმყოფოები, სააქიმო, საფერშლო, სავეტერინარო და აგრონომიული პუნქტები, მომარაგებული პურის მაღაზიები, საინვალიდო სახლები, ძალზე მოხუცებულთა სახლები, ღამის გასათევი სახლები და სხ.), ბ) საგზაო მშენებლობა (გაყვანა, რემონტი და შენახვა სასოფლო გზებისა და აგრეთვე საყანე გზებისა, რომელთაც საზოგადო მნიშვნელობა აქვთ, ხიდებისა, ფონებისა და სხვ.); გ) სახანძრო რაზმი (მოწყობა, სპეციალური იარაღებით მომარაგება და როგორც რაზმის ისე სახანძრო დეპოებისა და საწყობების შენახვა); დ) სოფლის კეთილმოწყობა (ჭების, საზოგადო გუბეების, სასაფლაოების, საქონლის სამარხი ადგილების, მოედნებისა და სხ. მოწყობა და შენახვა); ე) სოფლის დაცვა.

სწორედ ასეთსავე საზოგადო საჭიროებათ (უკანასკნელი მუხლის გამოკლებით) ჩამოთვლილს აზერბეიჯანის ცაკის 1928 წ. 18 თებერვლის დადგენილება.

საზოგადო საჭიროებათა ზემო მოყვანილ სიიდან ბევრს საქართველოსათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

სამაგიეროდ ჩვენში ზოგ ადგილებში წამოჭრილია სხვა მოთხოვნილებანი, რომელთა დასაკმაყოფილებლად თვითდაბეგვრის დაშვება შეიძლება.

სახელდობრ: მასწავლებელთა და მიწის მზომელთა შენახვა. კიდევ მეტი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ჟამად მოქმედი კანონით თვითდაბეგვრა აღნიშნულ საჭიროებათათვის დაუშვებელია, ზოგან ის მაინც ტარდება (ახალქალაქისა და ოზურგეთის მაზრებში).

თვითდაბეგვრა მასწავლებელთა შესანახად შეიძლება გატარდეს საკავშირო ცაკის 1927 წ. 24 აგვისტოს დადგენილების მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ წესით—მოქალაქეთა ნებაყოფლობითი თანხმობით.

რაც შეეხება მიწისმზომელთა შესანახად თვითდაბეგვრის დაშვების საკითხს, უნდა ითქვას, რომ სასოფლო მეურნეობის განვითარება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მიწათმოწყობ სამუშაოთა ტემპზე, ხოლო სახელმწიფოს კი უახლოეს დროში არა აქვს ამ ტემპის საკმაოდ დაჩქარების შესაძლებლობა; გარდა ამისა, მიწათმოწყობის დაჩქარებით გატარებაში უმთავრესად დაინტერესებულია გლეხობის ყველაზე უფრო მცირე შეძლების მქონე ნაწილი, ამიტომ ჩვენის აზრით ჩვენმა კანონმდებლობამ ეს საკითხი დადებითად უნდა გადასწყვიტოს. თვითდაბეგვრა მიწისმზომელთა შესანახად უნდა გატარდეს საერთო წესით.

საერთო კრების (სოფლის ყრილობის) კანონიერების პირობებს და მის მიერ თვითდაბეგვრის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის წესს რ. ს. ფ. ს. რ. ცაკი განსაზღვრავს ამ რიგად: „თვითდაბეგვრის გასატარებლად საჭიროა საერთო კრებაზე (სოფლის ყრილობაზე) ამა თუ იმ სოფლის საარჩევნო უფლებების მქონე მოქალაქეთა საერთო რაოდენობის არა ნაკლებ ნახევარის დასწრება და დადგენილება თვითდაბეგვრის გატარების შესახებ მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით“.

ჩვენი კანონმდებლობა საერთო კრების ქვორუმისათვის აწესებს ამა თუ იმ პუნქტის ამომრჩეველთა ორ მესამედს.

ეს ნორმა სინამდვილეში არსად არ ტარდება და უნდა ითქვას, რომ მისი განხორციელება ტექნიკურად მეტად საძნელოა, ვინაიდან სოფლებში, როგორც გამოცდილებიდან ვიცით, იშვიათია კრება, რომელსაც ამომრჩეველთა 66—70 პროც. დაესწრება. ადგილობრივ ორგანოებს არა ერთხელ აღუძრავთ საკითხი სხვა ნორმის — ამომრჩეველთა 50 პროც. დაწესების შესახებ და ეს ნორმა უნდა მივიღოთ.

თვითდაბეგვრის საკითხების დასმის ინიციატივა გარდა საბჭოებისა, მოქალაქეებისა ან მოქალაქეთა ჯგუფებისა უნდა მიეცეს საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც.

თუ რამდენად გავრცელებულია საქართველოში მოსახლეობის თვითდაბეგვრა, რა ფარგლებში ტარდება ის და როგორია მისი მატერიალური მნიშვნელობა სოფლის ცხოვრებაში, — ამის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს ჩვენს განკარგულებაში არსებული მეტად არა სრული ცნობები.

„საქართველოს ფინსახკომის გამოკვლევიდან მიღებული ცნობებით (სრული ცნობები გამოგზავნილია 12 მაზრისა და ავტონომიური რესპუბლიკების მიერ) თვითდაბეგვრა 1925—26 და 1926—27 წ. წ. განმავლობაში ტარდებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნებისათვის, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული ბიუჯეტით, ან იყო გათვალისწინებული, მაგრამ სათემო ბიუჯეტიდან გამორიცხა სამაზრო ცენტრმა“.

„... დიდ შეცდომას არ დავუშვებთ, თუ გადაჭრით ვიტყვით, რომ თვითდაბეგვრის საერთო რაოდენობა ფულად და ნატურალურ სახით 1926—27 წ. საქართველოში უდრიდა—2.247.270 მან. ანუ ამ წელიწადში ფაქტიურად შეგროვილ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 130 პროცენტს“. (ვ. ორჯონიკიძის წერილიდან „თვითდაბეგვრა საქართველოში“, იხ. „ზარია ვოსტოკა“ № 44).

საქართველოს ფინსახკომის ცნობებით 1926—27 წ. თვითდაბეგვრით შეგროვილი თანხების რაოდენობა იმავე რაიონებში უდრის სათემო ბიუჯეტის 65,1 პროცენტს.

აქედან სჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თვითდაბეგვრის კანონის სწორად გატარებას ადგილებზე. საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ, მიუხედავად კანონის მოთხოვნილებებისა, ადგილებზე ჯერ-ჯერობით მეტად ცუდათაა საქმე თვითდაბეგვრის გამოყენების ფარგლებისა და თვითდაბეგვრის წესით ღონისძიების განხორციელების შემდეგ მიღებულ მატერიალურ და პოლიტიკურ ეფექტის აღრიცხვისა თვითდაბეგვრისადმი დამოკიდებულებისა და მასში სოფლის მოსახლეობის სხვადასხვა ფენების აღრიცხვისა და სხვ.

ხშირად სამაზრო და თემაღმასკომებმა ისიც არ იციან, თუ რა რაოდენობის [illegible] შეგროვდა თვითდაბეგვრის წესით მაზრის ან თემის ფარგლებში, მოსახლეობის რამდენი პროცენტი განთავისუფლდა თვითდაბეგვრისაგან და სხვ.

თვითდაბეგვრა ტარდება უსისტემოდ საკმაო ხელმძღვანელობის გარეშე მაღლამდგომი ალმასკომების მხრით და ხშირად ადგილი აქვს კანონში აღნიშნულ ნორმების უხეშად დარღვევას (საერთო კრების ქვორუმი, თვითდაბეგვრის თანხის ფარგლები, თვითდაბეგვრის გატარება მხოლოდ კანონით ნებადართულ მიზნებისთვის, სოფლის ყრილობის დადგენილების დამტკიცება სამაზრო ალმასკომის მიერ და სხვ.).

თვითდაბეგვრის გატარების დროს ყველგან აქვს ადგილი მოქმედი კანონის დარღვევას, სახელდობრ: თვითდაბეგვრით შეგროვილი თანხები მნიშვნელოვნად სჭარბობს კანონით დაწესებულ ნორმას — სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რაოდენობას.

ამიტომ საჭირო არაა კანონის ამ ნორმის დარღვევის შემთხვევების ჩამოთვლა ცალკე სოფლებში და დავკმაყოფილდეთ მხოლოდ საქართველოს ფინსახკომის ზოგიერთი ცნობებით. 1926—27 წ. სხვადასხვა რაიონებში თვითდაბეგვრის წესით შეგროვილი თანხებ

---

*) საკითხის გარჩევის წესით.

(მაქსიმ გორკი)

ჟია რუხი, ფანილის ხალათი უცალსტუკოდ... ზევით აყარცხნილ თმაში აქა-იქ ურევია ჭაღარა.

ახალგაზრდული, სულ ახალგაზრდული ანთებული თვალები. ულვაშები ისეთივე, როგორიც სურათზე გვინახავს. ულვაშები ძალიან მიუგავს. თითქმის გამოეცხანით ულვაშებით...

ეს იყო გორკი.

— გამარჯობა, ამხანაგებო! აბა წამოდექით ზეზე, ტანთ ჩაიცვით, წავიდეთ და ვისადილოთ. ჩქარა მოემზადეთ...

წამოვცვივდით ლოგინებიდან... მივესალმეთ.

ასეთი იყო პირველი შეხვედრა მაქსიმ გორკისთან, ჩვენს უდიდეს მწერალთან, განსაკუთრებით სადა და მიმზიდველ ადამიანთან, რომელმაც მაშინვე შესძლო ჩვენი გამოყვანა ბუნებრივი უხერხულობიდან და ძლიერი, მოხდენილი ზეგავლენით იმ თავითვე გვაიძულა დავლაპარაკებოდით მას ისევე სადათ, ისევ ამხანაგურად, როგორც თვითონ გველაპარაკებოდა...

გორკი ძალიან კარგად გრძნობს თავს, გამოიყურება ძალიან მხნეთ „ჯამრთელი კაცივით".

მართლაც ვამბობ, გარეგნულად 40 წელზე მეტის არ არის.

იქნება მართლაც არ არის მეტი ხნის?

იქნება საიუბილეო, თარიღის მოხსენიებლად ვინმემ ორი ათეული წელი წაუმატა... ყველაფერი შეიძლება.

— ეს იუბილე ისე მაწუხებს, როგორც მუწუკი, — ლაპარაკობს გორკი და უკმაყოფილოდ იმუხნება.

რას აკეთებს ახლა გორკი?

გორკი ამჟამად სწერს რომანის „Жизнь Клима Самгина"-ს მეორე ნაწილს. როგორ მუშაობს გორკი?

ამის ცოდნა საინტერესოა არა მარტო მწერლისათვის...

დილის 9 საათზე ის უკვე საწერ მაგიდას უზის. დილის 9 საათიდან ის სწერს განუწყვეტლივ. ასეა ყოველ დღე. შეუცვლელად, მეთოდიურად. ვერავითარი მოვლენა ვერ დაარღვევს ამ წესრიგს. მე ვფიქრობ, ვეზუვიც რომ ამუშავდეს მოულოდნელად, როგორც მას ჩვევია ეს, როცა ხასიათზე მოდის, — ალექსი მაქსიმის ძე არ მოშორდება თავის საწერ მაგიდას სამუშაო საათებში და იტყვის: „იცით რა! მეც ვმუშაობ, მაგრამ ვეზუვის არ უშლი ხელს. ვეზუვიც ნუ მიშლის ხელს"... მე ვფიქრობ, ასე იტყვის.

მაგრამ გორკი ლაპარაკობს: „თქვენ უნდა ნახოთ, როგორ მუშაობენ დასავლეთის მწერლები. მაშინ მართლაც გაკვირდებით. ისინი მანქანებივით მუშაობენ. ვსთქვათ, ისინი სწერენ ორ რომანს წელიწადში. განსაზღვრული აქვთ ფურცლების რაოდენობა. ამ რაოდენობას ჰყოფენ სამუშაო დღეების რიცხვზე და ყოველ დღე სწერენ იმდენს, რამდენიც მოდის გაანგარიშებით... გიჟურად მუშაობენ"...

თან დასძენს:

— მაგრამ ეხლა ცუდათ სწერენ დასავლეთის მწერლები. ჩვენში გაცილებით უკეთესად სწერენ.

გორკი გულდასმით ადევნებს თვალყურს ლიტერატურას. სორენტოში არის, მაგრამ ჩვენს ახალ ლიტერატურას, რომ არ ვილაპარაკოთ დასავლეთის ლიტერატურაზე, იცნობს გაცილებით უკეთესად, ვინემ რომელიმე ჩვენი მწერალი. წიგნებს ძალიან ბევრს კითხულობს. ისევე რეგულიარულად კითხულობს, როგორც სწერს. კითხულობს მეორეხარისხოვან წიგნებსაც. იცნობს ისეთ ავტორებსაც, რომლებიც ეხლა იწყებენ წერას. ლაპარაკობს მათ შესახებ ამხანაგური გულით, დაეძებს ყველაში ახალ რამეს, სიხარულით აღნიშნავს, რაც კი რამ ნიჭიერად არის შესრულებული.

გორკისთან საშიშია ახალ ლიტერატურაზე ლაპარაკი. ის იმდენ სახელს, იმდენ ნაწარმოებს დაასახელებს, რომელთა გაგონებაც „ვერ მოგისწრია"... მაშინვე „ჩაჯდები"...

ჩვენს ლიტერატურულ წრეებში არის ისეთი აზრი, რომ თითქოს გორკი ჩვენი მწერლების ქებას მეტს არაფერს აკეთებს.

ეს სრული სისულელეა.

გორკის მართლაც აზარებს ჩვენი ნორჩი ლიტერატურის მიღწევები. ის, რასაკვირველია, მეტის გრძნობით და დაკვირვებით ეპყრობა ყოველივე ახალს და ცოცხალს ლიტერატურაში, ვინემ რომელიმე ჩვენი კრიტიკოსი. ნამდვილი ძმური მისი გულისყური, ყოველგვარი კრიტიკული მედიდურობის გარეშე.

მაგრამ არ არის მართალი, თითქოს ის ძალიან რბილი, გულკეთილია ჩვენი მწერლების მიმართ, თითქოს ბევრს არ სთხოვს მათ. არ არის მართალი, თითქოს ის მათზე მსჯელობის დროს, ხაგებით უყურადღებოდ სტოვებს ფორმის საკითხებს...

ამას იტყვის ის, ვისაც აგიწყდება, რომ გორკი თვითონ სიტყვის საუკეთესო ჯადოქარია, უბეჯითესი ბევრს მის მონაზე და უძლიერესი მის მბრძანებლებზე...

ის აგინებს კიდეც ზოგიერთ ჩვენს მწერალს. თუმცა ამავე დროს ცდილობს ისე ჰქნას ეს, რომ არ შეურაცხყოს (ამ თვისებას კი ჩვენი კრიტიკა ხშირად მოკლებულია). აგინებს სწორედ იმათ, ვინც თავის თავს ქვეყნის „მარილად" აცხადებს...

მე ვეკითხები: როგორ უყურებთ თქვენ ამა და ამ პოეტს (რომელიც ახლავე დიდკაცობას იჩემებს).

ის ჩვეულებრივ წარბებს შეიკრავს და ბოხი ხმით ამბობს:

— ოჰ! ნიჭიერი კაცია! გაცილებით უფრო ნიჭიერი, ვინემ მისი ლექსები!..

ძალიან თავაზიანად და ამავე დროს შესანიშნავად არის ნათქვამი.

ასევე თავაზიანად აზრებს ის ზოგიერთ ფორმალისტებს, „მოგონებლებს", „კაცებს-სქემებს", „ვირტუოზებს, რომელთაც ყველაფერი შეუძლიათ".

არა, გორკი მარტო როდი აქებს ჩვენს ლიტერატურას. ის აქებს ყოველივე ცხოველმყოფელს მასში, ზოგჯერ ისეთსაც, რაც სავსებით სრულყოფილი არ არის. სწორედ ეს არის განსაკუთრებით ძვირფასი. სრულყოფილს ყოველი კრიტიკოსი შეამჩნევს. ის მხარს უჭერს და გულს ათხოვებს ყოველივეს, რაც ცხოველმყოფელია, რაც (როგორც თვითონ უყვარს თქმა) „კაცისგან, ახალი კაცისგან მოდის"...

ხოლო, როგორც სჩანს გორკის ნაკლებად სწამს „ზეკაცები", მომავლის „განსახიერებლები", მოხიარულე პრეის-კურანტები.

თუმცა ვინ უნდა იწამოს ისინი?

მარტო ლიტერატურით, როდი ცხოვრობს გორკი.

ის სიამოვნებით და საფუძვლიანად ეცნობა სამეცნიერო მიღწევებს, ჩვენს მშენებლობას და მეურნეობას... აბა, სცადეთ და ლაპარაკი ჩამოუგდეთ მას „მატურკაზე", „დნეპროსტროიზე". ის გულდასმით ყურს დაგიგდებს, ხოლო შემდეგ უეცრად მას მაგიდაზე აღმოაჩნდება დნეპრის ხიდების აგების გეგმა, ჟურნალი სპეციალისტების წერილებით.

ლაპარაკის დროს აღმოჩნდება, რომ გორკიმ ყველაფერი ეს იცის, უფრო უკეთ, ვინემ თქვენ.

დღის 1 საათზე გორკი საუზმობს.

ძალიან მხიარულად შექცევა საუზმეს, მოჰყვება ლაპარაკს, ძალიან მოხდენილად იცის სტუმრისთან საუბარი.

პირველადვე, როცა სტუმრისთან ყოფნის დროს ჩვენ რაც - როგორით ჩვენს კმაყოფილებას გამოვხატავდით ევროპის შესახებ, მან გვიამბო შემდეგი:

„ძველ დროს პარიჟში ორი რუსი ვაჭარი ჩამოვიდა. სხედან რესტორანში. სვამენ. ქუჩას ჰკარგავენ ევროპის სხვადასხვა სილამაზეების გამო — ერთი ლაპარაკობს: „ეჰ! ტერენტიჩ, რა სილამაზეა! სული არ ისვენებს, სურს გამოხატოს გრძნობა: მოდი დავამტვრიოთ ეს ბროლის ლიუსტრა?..

მეორე უპასუხებს: ლიუსტრა? მერე რა! მაინც ხომ ვერ გაგვიგებენ ჩვენს ბუნებას".

ეს სიტყვები: „ვერ გაგვიგებენ" ჩვენ ბევრ შემთხვევაში გამოვიყენეთ შემდეგ.

საუზმის შემდეგ გორკი ცოტას ისვენებს. შემდეგ წერილებს კითხულობს. კორესპონდენცია მოსდის მას დიდძალი და სხვადასხვაგვარი. მას სწერენ მსოფლიოს თითქმის ყოველი ქვეყნიდან. ყველაზე მეტად — საბჭოთა კავშირიდან. მისი ყოველი კუთხიდან...

სწერენ — პარტმუშაკები, პროფესორები, მწერლები, ბავშვები, გლეხები, მეთევზეები, პატიმრები, სტუდენტები, წითელარმიელები. სწერენ ბევრს, დაწვრილებით, დაურიდებლად. სულ ყველას პასუხს უგზავნის ალექსი მაქსიმის ძე. უპასუხოდ არავის არ დატოვებს არავითარ შემთხვევაში. მართალია, მას აქვს საწერი მანქანა, მაგრამ აქვს ის ხელთნაწერების გადასაბეჭდათ. წერილებს კი გორკი სწერს თავისი გარკვეული ხელთნაწერით. თითქოს მანქანას ვერ ენდობა.

უნდა ითქვას, რომ საერთოდ ყველა მანქანებს მსოფლიოში გორკი პატივისცემით ეპყრობა. სწორია, რასაკვირველია, რომ ადამიანი უნდა მიესალმოს მანქანას მხოლოდ მაშინ, როცა ის მანქანის პატრონია და არა პირიქით.

მაგრამ გორკის ძალიან, მეტის-მეტად სწამს ადამიანის ძალა.

— რას მიქვიან მანქანები, მატარებლები... მათ იპრონ მისთვის,—ლაპარაკობს ის: ღმერთმანი, ცოტა უფრო ახალგაზრდა რომ ვიყო, იტალიიდან რუსეთში ქვეითად ჩავიდოდი".

ეს არ შეიძლება არ დაუჯერო გორკის. ეს ძალიან შვავს მას.

საღამოობით ჩვენ ყოველთვის ვსაუბრობდით გორკისთან, ვხეირობდით, ვკითხულობდით ლექსებს, „ორკესტრიც" გვქონდა. ეს საქმე უტკბესმა მოაწყო. და უნდა ითქვას, რომ ალექსი მაქსიმის ძე უკანასკნელი როდი იყო ჩვენს გუნდში. ის არა თუ სიამოვნებით ისმენდა რუსულ სიმღერებს, რომლებიც მუდამ უყვარდა, არამედ თითონაც გატაცებით გვაძლევდა „აკომპანიმენტს"... დოლზე, როცა ჩვენ სხვა და სხვა ინსტრუმენტებზე ვუკრავდით „Светит месяц"-ს...

გორკი ჩვენთან ერთად დადიოდა ზღვის პირას. დაუღალავად ადიოდა გორებზე. დაჯდომა მას არსად არ უნდოდა. გულიც მოსდიოდა, როცა ეთხოვდნენ დასვენებას.

გორკი მოუტეხელი, მხნე, ცოცხალი კაცია. ის სრულებით არ ჰგავს აკადემიკოსს. როგორც ადამიანი ის კარგი საბჭოთა ადამიანის ნამდვილი ტიპია. რა არის ეს — მე არ შემიძლია აქ სავსებით განვმარტო, ადგილი ცოტაა.. საერთოდ — ეს არის გორკი.

მაისში ის უსათუოდ ჩამოვა მოსკოვში.

ა. ჟაროვი.

მაქსიმ გორკის იუბილეისათვის

საღამო მუშათა ახალ კლუბში

დღეს, მუშათა ახალ კლუბში გაიმართება მ. გორკის საიუბილეო საღამო.

მოხსენებებს წაიკითხავენ: ბ. დანილოვი— „მ. გორკის გზა და შემოქმედება" და ვ. რობლინი: „მოგონება გორკზე". შემდეგ წაკითხული იქნება გორკის ნაწერები. დასასრულ წარმოდგენილი იქნება გორკის პიესა: „დედა".

წითელ-არმიელთა კლუბში

წითელ-არმიელთა კლუბის საბჭომ დაადგინა გორკის იუბილეს აღსანიშნავად წითელ-არმიელთათვის გამართოს რამოდენიმე საღამო-მოხსენება, ხოლო გორკის თბილისში ჩამოსვლის დღეს გამართოს დიდი საზეიმო საღამო.

მწერალთა ფედერაციაში

მწერალთა ფედერაციის საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა პროვინციებში მიავლინოს მწერლები მ. გორკზე მოხსენებების წასაკითხავათ და მ. გორკის თბილისში ჩამოსვლის დღისათვის გამოსცეს „ქართული მწერლობის" სპეციალური საიუბილეო ნომერი.

გორკის თბილისში ჩამოსვლის დღეს მწერალთა ფედერაციის საბჭო ხელოვანთა სასახლეში გამართავს საზეიმო საღამოს.

კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

სექციების მუშაობაში ფართოდ უნდა ჩავაბათ ამომრჩეველთა აქტივი

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სექც. მუშაობაში ქალთა მონაწილეობას

გაზ. „კომუნისტი"-ს პრემიები

სექციების მუშაობის შესახებ დაწერილ საუკეთესო კორესპონდენციების ავტორებს ჩვენი გაზეთი აჯილდოებს პრემიებით

დანიშნულია ათი პრემია:

პირველი	პრემია	ვ. ი. ლენინის თხზულ. 5 წიგნი და 40 მან.
მეორე	„	ფ. მახარაძის 7 წიგნი და 30 მან.
მესამე	„	ვ. ე. ნინოშვილის 2 წიგნი და 25 მან.
მეოთხე	„	მხოლოდ ფულად 25 მანეთი
მეხუთე	„	„ 20 „
მეექვსე	„	„ 15 „
მეშვიდე	„	„ 10 „
მერვე	„	„კომუნისტი" 6 თვით
მეცხრე	„	„ 4 „
მეათე	„	„ 2 „

შენიშვნა: ვ. ი. ლენინის 5 წიგნი შეიცავს სამ ტომს (14, 18, 19), რომლებიც გამოსულია ქართულ ენაზე და შემდეგ ორს: „წერილები და სიტყვები", „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი კომუნიზმში".

ფ. მახარაძის 7 წიგნი შესდგება თხზულებათა უკვე გამოცემულ 5 ტომიდან და შემდეგი ორიდან: „1905 წელი" და „კომპარტიის ისტორიისათვის".

ველისციხის თემსაბჭო

(წერილი ველისციხიდან)

(სიღნაღის მაზრა)

სამეურნეო სექცია

სამეურნეო სექციაში ითვლება 5 წევრი. საანგარიშო პერიოდში სექციას ჰქონდა შვიდი სხდომა, ყველა სექციებთან გაერთიანებული სხდომა სამჯერ და ერთხელ სექციების თავჯდომარეთა თათბირი, რომელზედაც ესწრებოდა წევრთა შემადგენლობიდან 80 პროც. სხდომაზე განხილულ იქნა 19 საკითხი.

სექციას მუშაობაში ეხმარებოდა აგრონომი და აქტიური ამომრჩევლები. სექციამ განიხილა 875 განცხადება ვენახით, მიწით და სახასახლო ეზოთი დაკმაყოფილების შესახებ.

ჯერ-ჯერობით სექციის მიერ დაკმაყოფილებულ იქმნა (საბჭოს დასტურით) 15 კომლი 6.700 კ. ს. ვენახით, 17 კომლი—5.100 კ. ს. სამოსახლო ეზოთი, 85 კომლი 19 დესტ. მიწით, დანარჩენებს ზოგს უარი ეთქვათ, ზოგის გადადებულია თავისუფალი სახაზინო მიწების უქონლობის გამო.

სექციამ მიიღო ზომები მიწის მყიდველ-გამყიდველთა წინააღმდეგ, შეადგინა დამნაშავეთა სია და გადასცა აღმასკომს და სასამართლოს პასუხისგებაში მისაცემად.

მიწად-მოწყობის ჩასატარებლად ველისციხის თემში სექციის თაოსნობით მოწვეული უნდა იქმნეს მიწისმზომელი ადგილობრივ მოსახლეობის ხარჯზე. საჭირო თანხა უკვე შეგროვილია. მეურნეობის კოლექტიურად დასამუშავებლად შედგენილ იქმნა სას.-სამ. არტელი ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავის სახელობის. სექციამ შეიმუშავა მსურველ ღარიბ გლეხთა სია არტელში გასაერთიანებლად. არტელს მიეცა საკმაო ვენახი და მიწა.

სექციის წევრების ინიციატივით გასაღებულ იქმნა გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციები 680 მანეთის რაოდენობით.

საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩასატარებლად სექციამ დაავალა აგრონომს და თავის წევრებს, გლეხობისათვის რჩევა-დარიგების მიცემა და სესხათ აღებული ხორბალი, სიმინდი და სხვა სას. ამხანაგობიდან დროზე, თავის დროზე, არ დასტოვონ მოუხნავი არც ერთი მიწის ნაკვეთი. ვენახებში და მინდვრებში მოსალოდნელი სოკოვანი ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად სექციამ დაავალა აგრონომს გამოიწეროს საჭირო წამლეულობა. სტიქიურ უბედურების თავიდან ასაცილებლად სექციამ იზრუნა ვენახების და ყანების დასაზღვევათ სადაზღვევო ხაზით და აგრეთვე შხამქიმიკატების გამოწერა სას. ამხანაგობას.

სექციამ იზრუნა დაუმუშავებლობის გამო დღემდე შავებულ მამულების ჩამორთმევად. უკვე ამ საქმეზე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები. სექციის მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად თემაღმასკომი იწვევს თათბირებს, რომელზედაც აძლევს მათ რჩევა-დარიგებას.

გლეხკორი შ. თ.

ცაიშის თემსაბჭო

(ზუგდიდის მაზრა)

(წერილი ცაიშიდან)

თემსაბჭოს მუშაობის საანგარიშო კამპანია ცაიშის თემში უკვე ჩატარდა. თემსაბჭოს მუშაობით ამომრჩევლები კმაყოფილებას გამოხატავდნენ. საბჭოს ჰქონდა სულ 18 სხდომა. გაარჩია 156 საკითხი. შევეხოთ სექციების მუშაობას.

მიწადმოწყობის სექცია

თემში საკმაო რაოდენობით იყო სახაზინო მიწები, რომელიც სექციის ინიციატივით და მითითებით უნაწილდებოდა უმიწაწყლო გლეხებს. მიწით დაკმაყოფილების შესახებ სექციაში შემოვიდა 52 განცხადება; აქედან დაკმაყოფილებულია 42. დანარჩენებს უარი ეთქვათ იმ მიზეზით, რომ მათ ჰქონდათ მიწის სრული ნორმა.

სექციის თაოსნობით თემაღმასკომმა კონფისკაცია მოახდინა ადგილობრივ მთა-ურთაზე მყოფ ცარცის საბადოებს, რომლის ექსპლოატაციას კერძო პირები ეწეოდნენ. დღეს კი მისი შემოსავალი თემის ბიუჯეტში შედის.

სააღმშენებლო სექცია

სექციის ინიციატივით აგებულ იქნა ოთხ ოთახიანი ავეჯის შენობა კოოპერატივისათვის, შეკეთებულ იქნა 5 ოთახიანი ხის შენობა საექიმო პუნქტისათვის. შეკეთდა ადგილობრივი 7 წლედი სკოლის და ფოსტა-ტელეგრაფის შენობები.

სანიტარული სექცია

სანიტ. სექციის მიერ მუშაობაში ჩაბმული იქნენ ადგილ. კულტძალები, ექიმი, პროვიზორი, მასწავლებლები და სხ. სექცია თვალყურს ადევნებდა თემში სისუფთავის დაცვის საქმეს თემის სხვადასხვა კუთხეებში ეწყობოდა სათანადო ლექციები სისუფთავის დაცვაზე, მალარიაზე, ქალთა ავადმყოფობაზე და სხვ.

საგზაო სექცია

საგზაო სექციის მუშაობა მოისუსტებდა. არ არის ყველა გზები შეკეთებული. მაგ.: გზა, რომელიც აკავშირებს ცაიშის თემს ს. დიდი-ნეძთან, უმწვე მდგომარეობაშია. სამაგიეროდ თემში აგებულია 7 ახალი ბოგირი, ხოლო 2 ხიდს გაუკეთდა საფუძვლიანი რემონტი.

კოოპერატიული სექცია

კოოპერატიული სექციის ინიციატივით თემის ყველა კუთხეში ჩატარებულ იქნა აგიტაცია კოოპერატივში წევრების მისაზიდად. თემში 600 კომლია, აქედან 400 კომლი კოოპერატივის წევრად ითვლებიან.

კულტურული სექცია

კულტსექცია მუშაობაში ვერ იჩენდა სათანადო ინიციატივას და ვერ უწევდა კულტმუშაობას საკმარის ხელმძღვანელობას. მართალია, გამოდის კედლის ერთი გაზეთი, ვრცელდება სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები და სხ. მაგრამ ყოველივე ეს კეთდება კულტსექციის ხელმძღვანელობის გარეშე, განათლების მუშაკთა საბჭოს ადგილკომის მიერ.

ლიბი.

ფოთის საბჭო

(წერილი ფოთიდან)

საფინანსო საგადასახადო სექცია

საფინანსო-საგადასახადო სექცია ჩამოყალიბებულია დებულების თანახმად. სექციაში თავიდანვე იყო 18 წევრი. უმრავლესობა სექციის წევრები არიან მიმაგრებული ამხანაგები. სექციას გამოაკლდა 6 წევრი, ამათგან ზოგი ფოთიდან სხვა ქალაქში გადაყვანით. ზოგიც სხვა სექციაში გადასვლით. საშუალო დასწრება სექციის წევრების სხდომებზე უდრის 68.8 პროც. სექციის წევრთა შემადგენლობა შეეფერება სექციის მუშაობის შინაარსს. სექციას 1927 წ. 28 დეკემბრამდე თავმჯდომარეობდა განყოფილების გამგე, რაც დებულების წინააღმდეგია. ბიურო გამოყოფილია გასული წლის 28 დეკემბერს. ბიუროს ჰქონდა ერთი სხდომა. სექციას ჰქონდა 13 სხდომა, ამათში არ შემდგარა 4-ჯერ, წევრის საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო. ზომები ამ არანორმალობის მოსასპობათ მიღებულია. სხდომაზე გარჩეულია 20 საკითხი. სექცია არ ჩვევდა სხვადასხვა საკითხებს გადასახადებთან, ბეგმასთან და ბიუჯეტთან დაკავშირებულს, ადგილობრივი პირობების მიხედვით საგადასახადო დებულებათა მუშაობის შეცვლას ჰქონდა ადგილი, რაც წევრთა აქტივობას ადასტურებს.

შესწორებები შეჰქონდათ მიზანშეწონილი. საბჭოს ხელმძღვანელობა სექციის მუშაობაზე სჩანს. სექციას აქვს საბჭოს მიერ მიცემული მითითება ნაკლზე და ზომების მიღება მათ გამოსასწორებლათ.

მომავალში რომ უფრო ნაყოფიერი იქნეს სექციის მუშაობა საჭიროა ბიურომ უფრო სისტემატიური ხასიათი მისცეს სექციის სხდომებისთვის საკითხების დამუშავების საკითხს. ხელმძღვანელობის გაძლიერებას, წევრების მიერ დასმულ საკითხებს, წევრთა აქტივობას, კამათში მონაწილეობა უნდა იწერებოდეს ოქმებში.

საჭიროა ხშირად იხმოდეს გამგის მოხსენება ჩატარებულ მუშაობის შესახებ სექციის სხდომაზე. უნდა მიექცეს ყურადღება თანამომხსენებლის გამოყოფას, განყ. გამგის მოხსენებასთან საბჭოს სხდომებზე. უნდა იქნას გამოყოფილი კომისია სექციიდან, სექციის მიერ გამოტანილ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების მეთვალყურეობის და გეგმიანობის გაღრმავების, როგორც სექციის, ისე ბიუროს მხრივ.

ილ. ჟვანია.

ხეთის საბჭო

(წერილი ხეთიდან)

კოოპერატიული სექცია

მთავარი საკითხი კოოპერაციის საკითხია, ვინაიდან ძველათ გლეხობა დაშინებული იყო კოოპერატივის სუსტი მუშაობით და მას წევრობას გაურბოდა.

1923 წელში ხეთის კოოპერატივს ჰყავდა 320 წევრი. 1924 წ. 390, 1925 წ. 585, 1926 წ. აღწევს 600-მდე, 1927 წ. ჰყავდა 937 სრული პაიანი წევრი, ხოლო 1928 წლის 15 მარტისათვის კოოპერატივს სრულ პაიან წევრებათ ითვლება 1100 კაცი. რასაკვირველია წევრების ზრდა ერთის მხრით გამოიწვია კოოპერაციის საქმიანობამ, თუ წინეთ კოოპერატივი ცარიელი იყო, დღეს რამოდენიმე განყოფილებები აქვს გახსნილი. ამასთან ერთად წევრთა რიცხვის გამრავლებაში სექციის აგიტაცია-პროპაგანდამ დიდი ნაყოფი გამოიღო.

კულტგანმანათლებელი სექცია

კულტგანმანათლებელი სექციის მუშაობა გამოიხატებოდა გლეხებში მოხსენებებისა და საუბრების ჩატარებაში, წარმოდგენების დადგმისთვის ხელის შეწყობა, ჟურნალ-გაზეთების გავრცელება გლეხებში და სხ.

საგზაო სექცია

სოფლის ჩამორჩენას ხელს უწყობს უგზოობა. ჩვენს თემში გზების მდგომარეობა ძალიან ცუდი იყო. ამ გარემოებას თავის დროზე მიექცია ყურადღება საგზაო სექციამ, მისი ინიციატივით მოხდა თითქმის ყველა გზების შეკეთება, ამასთან ერთად სექცია უხსნიდა გლეხებს გზების მნიშვნელობას მოსახლეობისათვის, რამაც სათანადო შედეგები მოგვცა.

იურიდიული სექცია

სოფლად ჯერ კიდევ დარჩენილია ძველი ადვოკატები, რომლებმაც თუ ვინმე ჩაიხელთეს უბრალო განცხადების დაწერაში ტყავს გააძრობენ. იურიდიულმა სექციამ მიზნად დაისახა გლეხობის აცილება ასეთი „მოამაგენი" და ამ მიზნით სამკითხველოსთან დაარსდა იურიდიული ბიურო. ბიურომ გლეხობას დაუწერა 1679 განცხადება და 410 კაცს მისცა რჩევა-დარიგება სხვადასხვა საკითხზე. და ამით ისინი იხსნა ადვოკატებისა და მატყუარობისაგან.

საგადასახადო სექცია

საგადასახადო სექციამ დიდი დახმარება აღმოუჩინა აღმასკომს გადასახადის სწორად განაწილებისა და აკრეფაში. გადასახადები აკრეფილია მთელი 100 პროც. ამისთვის მადლობაც მიიღო თემსაბჭომ.

სანიტარული სექცია

სანიტარული სექცია თვალყურს ადევნებდა დასაკლავ საქონელს, რომ დაავადმყოფებული არ დაეკლათ. იცავდა სისუფთავეს სავაჭროებში და მოსახლეობაში, ებრძოდა ზომებს საქონლის ჭირის წინააღმდეგ და სხ.

ასეთია მოკლეთ ჩვენი საბჭოს სექციების მუშაობა.

რა უნდა გაკეთდეს შემდეგში

უპირველეს ყოვლისა სამეურნეო სექციამ უნდა მიაქციოს ყურადღება 1924—25—26 წლებში მემამულეებზე ჩამორთმეულ სადაფნო ადგილებს, რომელიც დღეს უპატრონოდ არის. ეს მიწები უნდა გადაეცეს აღმასკომს, რაც გაამტკიცებს თემის ბიუჯეტს. სააღმშენებლო სექციამ უნდა იზრუნოს 1925 წელს დაწყებულ სახალხო სახლის მოთავებაზე. უნდა აიძულონ ადგილობრივი კერძო სახერხი ქარხნის პატრონები, რომ დააზღვიონ მუშები, რომლებიც თვიურად მუშაობენ და ჯერ კიდევ არ არიან დაზღვეული.

განმაორებით აღძრული უნდა იქნეს შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე საკრედიტო ამხანაგ. გახსნის და სათესლე სიმინდის შესახებ, ზემოხსენებულის შემდეგ ჩვენი თემი იქნება ყოველმხრივ უზრუნველყოფილი და მუშაობა გლეხობაში შესრულებული მთელი ასი პროცენტით.

აკ. ნაჭყებია.

სახოფლო - სამეურნეო გადასახადთან ასეთ შეფარდებაშია: გორის მაზრაში — 125,5 პროც.; ახალციხის — 174,9 პროც.; სენაკის —231,9 პროც.; სამხრეთ - ოსეთში — 197,7 პროც.; შორაპნის მაზრაში — 615,6 პროც.; რაჭის მაზრაში — 838,3 პროც.

მოყვანილი ცნობები საკმაო წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ რამდენად სჭარბობს (ფინსახკომის მეტად არა სრულ ცნობებითაც) თვითდაბეგვრით შეგროვილი თანხები სახოფლო - სამეურნეო გადასახადის კონტინგენტს.

აღვნიშნავთ რა ერთის მხრით აშკარა გადაჭარბებას ადგილებზე თვითდაბეგვრის საქმეში, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მომქმედი კანონით დაწესებული ნორმა არ შეეფერება მოთხოვნილებებს და საჭიროა ამ ნორმის გადიდება.

საქართველოს პირობებში ეს მით უფრო აუცილებელია, რომ, როგორც ვიცით, ჩვენში არის ისეთი თემები (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში), რომლებზედაც მეტად უმნიშვნელო სახოფლო - სამეურნეო გადასახადი მოდის.

შემთხვევით არაა ის გარემოება, რომ თვით დაბეგვრით შეგროვილი თანხები გაცილებით უფრო სჭარბობს სახოფლო - სამეურნეო გადასახადს იმ რაიონებში, სადაც ყველაზე ნაკლებ სახოფლო - სამეურნეო გადასახადს იხდიან (რაჭის მაზრა, სამხრეთ - ოსეთი და სხვ).

ჩვენს განკარგულებაში არსებულ არა სრული ცნობებით ადგილებზე თვითდაბეგვრის პრაქტიკაში შემდეგი ნაკლია:

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც წესი, თემის მუშაკები თვითდაბეგვრის კანონს სუსტად იცნობენ, ანდა სრულიად არ იცნობენ.

ზოგ შემთხვევაში თვითდაბეგვრა ისეთ დაბეგვრის ხასიათს ღებულობს, როცა თემსაბჭო და ხშირად თემაღმასკომიც მოსახლეობის სურვილის წინააღმდეგ ბეგარას აწერს მოსახლეობას განსაზღვრულ თანხით ამა თუ იმ ღონისძიების განსახორციელებლად და ამ დაბეგვრას კიდევაც ატარებს ცხოვრებაში სოფლის ყრილობის დაუკითხავად (რაჭის მაზრა და აფხაზეთი). თვითდაბეგვრა ყოველ თემს თავისებურად ესმის, მაგრამ, როგორც საერთო წესით, ის არ ტარდება არსებულ კანონთან თანახმად (რაჭის მაზრა).

არის თვითდაბეგვრის თანხების გაწერის ისეთი შემთხვევებიც, როცა არაა მიღებული მხედველობაში ცალკე მეურნეობათა სიძლიერე და თანხებს კულაკებზე, საშუალო შეძლებისა და ღარიბ გლეხებზე თანაბრად ანაწილებენ (რაჭის მაზრა, აფხაზეთი).

თვითდაბეგვრით შეგროვილი თანხები ყოველთვის არ იხარჯება დანიშნულებისამებრ (რაჭის მაზრა). ერთ-ერთი თემსაბჭოს დადგენილებით შემოღებული იყო იმ მოქალაქეთა დაჯარიმება, რომლებიც არ გადაიხდიდნენ თვითდაბეგვრით მათზე გაწერილ თანხას, ამავე დროს ასეთი ჯარიმის შემოღება კანონით არაა გათვალისწინებული (ქუთაისის მაზრა).

ხანდახან თვითდაბეგვრა ტარდება ადმინისტრატიულ საჭიროებისათვის, როგორც მაგალითად, სოფლის მილიციონერებისა, თემსაბჭოს მდივნისა და დარაჯის შესანახად; დაბეგვრა აღნიშნულ საჭიროებისათვის 1926 წელში ჩატარდა სოფლის ყრილობის დადგენილებით, ხოლო 1927 წ. ასეთი დადგენილების გარეშე (აფხაზეთი).

ხშირად დაწყებულ საქმის დაუმთავრებლად, ტარდება დაბეგვრა უკვე მეორე საქმისათვის, რის გამო არც ერთი საქმე არ სრულდება ბოლომდე.

ხშირია აგრეთვე შემთხვევები, როცა ადგილობრივ აბსოლიუტურათ არავითარ ანგარიშს არ უწევენ ამა თუ იმ ადგილის მატერიალურ შესაძლებლობას და ტარდება თვით დაბეგვრა ისეთი ღონისძიების განსახორციელებლად, რომელიც მოითხოვს ძალიან დიდ ხარჯებს, რისი გაღებაც მოსახლეობას არ ძალუძს.

ბუნებრივია, რომ ასეთი ღონისძიების განხორციელება მარცხით თავდება.

ამიტომ თვითდაბეგვრის კანონის გამოყენების აღნიშნული შემთხვევები ვერ აღწევენ იმ მიზანს, რომელსაც ისახავს სახელმწიფო ადგილების ინიციატივის წაქეზებით, სოფლის კულტურულ და სამეურნეო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გლეხური მოსახლეობის თვითდაბეგვრით.

მოსახლეობის თვითდაბეგვრა უნდა ტარდებოდეს კანონთან ზედმიწევნით შეფარდებით, გეგმაშეწონილად, სისტემატიურად, სოფლად თავისუფალი თანხების დაგროვების პროცესის მიხედვით და სწორი აღრიცხვისა და კონტროლის პირობებში. თვითდაბეგვრის კანონის სწორად გამოყენება, გლეხობის გაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მატერიალურ ბაზისის შექმნასთან ერთად,—დიდათ ხელს შეუწყობს საბჭოების გამოცოცხლებას, მათ გარშემო გლეხობის ფართო აქტივის დარაზმვას, საზოგადოებრივი ინიციატივის გაღვიძებას და კულტურულ რევოლუციას სოფლად.

მოსახლეობის თვითდაბეგვრის ჩატარების სწორი ხელმძღვანელობა ერთ - ერთი მნიშვნელოვანი საშუალება იქნება სოფლის თავისუფალი თანხების დასაგროვებლად და ამ თანხების ადგილობრივი საჭიროებისათვის მოსახმარად.

ამასთანავე ერთად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ თვითდაბეგვრა არ უნდა გადაიქცეს მოსახლეობის ადმინისტრატიულ ზომებით შემავიწროებელ საშუალებად და ამიტომ თვითდაბეგვრის თანხების გაწერა ცალკე მეურნეობებზე უნდა ხდებოდეს მათი სიძლიერის სწორი აღრიცხვის შემდეგ.

ამჟამად ის ნიშნები, რომელთა მიხედვითაც იყოფა ამა თუ იმ სოფლის ყველა მეურნეობა ცალკე კატეგორიებად (ჯგუფებად), და აგრეთვე მეურნეობათა კატეგორიების რაოდენობა სულ სხვადასხვაგვარია. მთლიანი სისტემის ჩამოყალიბებაც არაა არა მარტო სახელმწიფო, არამედ სამაზრო მასშტაბითაც.

ამ მხრით რ. ს. ფ. ს. რ. ცაკის დადგენილება ამყარებს განსაზღვრულ სისტემას:

„ა) გაწერა სწარმოებს ამა თუ იმ მეურნეობის ან პირის მიერ ერთი წლის განმავლობაში გადახდილ სახოფლო - სამეურნეო, სარეწაო და საშემოსავლო გადასახადების თანხის პროპორციონალურად, ამასთანავე გასტუმრებულ გადასახადის თვითეული მანეთი ეთანაბრება ერთ პაის; ბ) აღნიშნულ გადასახადებისაგან განთავისუფლებული მეურნეობანი და პირნი მონაწილეობას ღებულობენ თვითდაბეგვრაში — თვითეული ერთიდან სამი პაის ფარგლებში".

როგორც უკვე აღვნიშნეთ ახალი საკავშირო კანონი მოსახლეობის თვითდაბეგვრის გატარების ხელმძღვანელობას მთლიანად ხელისუფლების ორგანოებს აკისრებს. ეს საშუალებას გვაძლევს თვითდაბეგვრის საქმეში შევიტანოთ სასტიკი გეგმიანობა. მიზანშეწონილი იქნება, თუ თემს თვითდაბეგვრის გეგმა ექნება ერთი წლით ადრე. რა გზით შეიძლება ასეთი გეგმიანობის დამყარება?

თემსაბჭომ ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენასთან ერთად უნდა შეიმუშაოს თვითდაბეგვრის წესით ამა თუ იმ ღონისძიების განხორციელების წლიური გეგმის პროექტიც. ამ გეგმის შედგენის დროს თემსაბჭო უნდა ხელმძღვანელობდეს ამომრჩეველთა „ნაკაზით" და სხვ. ასეთი გეგმა იქნება ადგილობრივი ბიუჯეტის დამატება. გეგმაში აღნიშნული უნდა იყოს თვითდაბეგვრით განზრახული ღონისძიებანი, მათი ხარჯთაღრიცხვა, თანხების შეგროვების ვადები (თვეებისა და უბნების მიხედვით) და სხვ.

შემდეგ, გეგმის პროექტს განიხილავენ მოქალაქეთა საერთო კრებები (ამ შემთხვევაში კრებების მოწვევა შეიძლება საარჩევნო უბნების მიხედვით), რის შემდეგ თვითდაბეგვრის წლიური გეგმა დასამტკიცებლად ეგზავნება სათანადო სამაზრო აღმასკომს.

ასეთი სისტემა თვითდაბეგვრის საქმეში შეიტანდა სასტიკ გეგმიანობას და მოგვცემდა სწორი აღრიცხვის შესაძლებლობას. ასეთი სისტემა შესაძლებლობას მოგვცემდა თვითდაბეგვრის საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში ჩაგვება მოსახლეობის ნამდვილი უმრავლესობა, და გარდა ამისა, ის შესაძლებლობას მისცემდა ცალკე მეურნეებს წინასწარ სცოდნოდათ, თუ რა თანხა უნდა გადიხადონ მათ თვითდაბეგვრის წესით ერთი წლის განმავლობაში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ გლეხმა თავის ინდივიდუალურ მეურნეობაშიაც შეიტანოს ერთგვარი გეგმიანობა.

მოსახლეობის თვითდაბეგვრა წარმოადგენს ერთ-ერთ სერიოზულ ღონისძიებას, რომელიც აჩვევს გლეხს „იზრუნოს არა მარტო თავის კარ - მიდამოზე, არამედ, ვსთქვათ, მთელ თემზე, სათემო ბიუჯეტზე, ე. ი. საზოგადო საქმეზე.

ჩვენი კურსი ხომ იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ეს თემები გადაიქცნენ იმის შემადგენელ ნაწილებად, რასაც ლენინი „სახელმწიფო კომუნას" უწოდებდა. (ბუხარინი,— „ლენინიზმი და კულტურული რევოლუციის პრობლემები").

შ. მათიკაშვილი.

საგაზაფხულო კულტმუშაობის დეფექტები

უკვე გაზაფხულიც მოვიდა! პროფკავშირებმა უნდა გააძლიერონ სამზადისი კულტ-განმანათლებელი მუშაობის საზაფხულო სეზონისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ჩვეულებრივად დაგვიგვიანდება.

მუშათა კლუბების გამგეობები და კულტურულ - განმანათლებელი კომისიები ეხლავე უნდა შეუდგენ საზაფხულო მუშაობის გეგმის შემუშავებას.

ჩვეულებრივად ჩვენ ყოველწლიურად ვიმეორებთ წარსულ შეცდომებს. ჩვენ ერთ წერტილზე ვართ გაყინული. ეს უმთავრესად აიხსნება იმით, რომ მუშაობის გეგმის შედგენის დროს ჩვენი კულტურულ-განმანათლებელი ორგანიზაციები არ სარგებლობენ წარსული მუშაობის გამოცდილებით.

მუშათა კლუბების გამგეობებმა და კულტურულ-განმანათლებელმა კომისიებმა აუცილებლად უნდა შეისწავლონ შარშანდელი საზაფხულო მუშაობის მასალები. ამ მასალების მიხედვით პროფკავშირის წევრებს შორის უნდა გაიმართოს კითხვა-პასუხის საღამოები ასეთ თემაზე: „რას ველით ჩვენ საზაფხულო მუშაობისაგან?" და სხვ.

შარშანდელი მუშაობის შესწავლით და ასეთი საღამოების მოწყობით ფართო მასას შორის თავიდან ავიცილებთ წარსულ შეცდომებს.

კულტკომისიის და კლუბის გამგეობის ყოველ წევრს და კლუბის აქტიურ მუშაკს უნდა ჰქონდეს თავისი კლუბის, წითელი კუთხის, წარმოებისა და დაწესებულების საზაფხულო კულტმუშაობის დაბეჭდილი გეგმა.

რა თავისებურობა აქვს საზაფხულო კულტმუშაობას? ზაფხულზე ჩვენს წინაშე იგივე ამოცანები სდგას, რაც ზამთარში.

ზაფხულისათვის ახალ ამოცანებს წარმოადგენს მუშაობის გაძლიერება პროფკავშირის წევრების ჯანმრთელობის აღსადგენათ მთელი კულტმუშაობის სუფთა ჰაერზე, გადატანით.

„ყველა მზეზე, ჰაერზე, წყალში",—აი, ჩვენი საზაფხულო მუშაობის ლოზუნგი.

მაგრამ სამწუხაროდ ყველა კულტმუშაკებს დღემდე ვერ შეუგნიათ ამ ლოზუნგის მნიშვნელობა. ჩვენი კულტმუშაკები გულზე ხელდაკრეფილი არიან და ძალიან ცუდათ იყენებენ საზაფხულო მუშაობის მეტად ხელსაყრელ პირობებს, განსაკუთრებით თბილისში, სადაც პროფკავშირებს საუცხოო საზაფხულო ბაღები აქვთ.

რა მდგომარეობაში იყო საქმე წარსულ სეზონში?

თბილისის საზაფხულო კლუბების დიდი უმრავლესობა დიდი დაგვიანებით გაიხსნა (შუა ზაფხულში). პოლიტგანის ექსკურსიო ბაზებიც დიდი დაგვიანებით ამუშავდა. და ეს თბილისში, სადაც მაისში ზომაზე მეტი სიცხეა!

ბაღების დაგვიანებით გახსნა დიდ უკმაყოფილებას იწვევს პროფკავშირების წევრებში, რომლებიც ზაფხულის სიცხეებში მოკლებული არიან შესაძლებლობას თავისუფლად ამოისუნთქონ სუფთა ჰაერზე.

წელს ჩვენ აუცილებლად უნდა აღმოვფხვრათ ჩვენი მუშაობის ეს ნაკლი.

საზაფხულო კლუბები უნდა გაიხსნას არა უგვიანეს 1 მაისისა, ვინაიდან სუფთა ჰაერი ისევე აუცილებელია მშრომელთათვის, როგორც პური.

შარშან—საქართველოს, განსაკუთრებით კი თბილისის პროფორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს საზაფხულო ბაღებისა და მოედნების მოსაწყობად.

ყველა მშენებლობის პათოსით იყო შეპყრობილი. მაგრამ შარშანდელი მშენებლობას დიდ ნაკლს წარმოადგენდა თითქმის სრული უგეგმობა და უსისტემობა ბაღების მოწყობისა და ვერანდებისა და პავილიონების აშენების დროს.

შარშან საზაფხულო ბაღების მოწყობის დროს დავიწყებულ იქნა საზაფხულო მუშაობის ყველაზე მნიშვნელოვანი დარგი—ფიზკულტურა. თბილისის არც ერთ საზაფხულო კლუბს არ გამოუყვია ადგილი ფიზკულტურისა და სასპორტო მოედნებისათვის, სოლარიუმისათვის და სხ.

ამრიგად ფიზკულტურა საზაფხულო კლუბების გარეშე დარჩა.

პავილიონები და ვერანდები შარშან აგებულ იქნა ყველაზე უფრო მიზანშეუწონელ ადგილას. თბილისის მშენებლობის პრაქტიკაში რამდენიმე შემთხვევას ჰქონდა ადგილი, როცა ახლად აგებული სცენები და ვერანდები დანგრეულა „სიის პირველი დღის" დროს.

ჩვენ ბოლო უნდა მოვუღოთ ასეთ მშენებლობას. წელს საზაფხულო ბაღების მოწყობის გეგმის შედგენის დროს აუცილებლად უნდა მოვიწვიოთ სპეციალისტები. დაუფასებელი სამსახურის გაწევა შეუძლიათ აგრეთვე თავისი რჩევით ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების მუშებს, რომლებიც უსათუოდ უნდა ჩავაბათ ამ საქმეში.

საზაფხულო ბაღის მოწყობის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს საპერსპექტივო მშენებლობას მთელი რიგი წლებისათვის. ყველა ახალი ნაგებობანი ბაღისა უნდა იყოს საფუძვლიანი და დიდი ხნით გამძლე.

პროფკავშირების საზაფხულო მუშაობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ექსკურსიების მოწყობას. ამიტომ აქედანვე უნდა შეუდგეთ სამზადისს საექსკურსიო სეზონისათვის. წელს საექსკურსიო სეზონში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროლეტარული ტურიზმის მაქსიმალურად განვითარებას და ამ საქმის გარშემო მუშების საზოგადოებრივი აზრის დარაზმვას.

ემილ ქორონქური.

საგაზაფხულო თესვის კამპანია

თესვის კამპანია და გლეხი-ქალი

პარტიის მე-15 ყრილობამ თავის გადაწყვეტილებებში აღნიშნა, რომ სასოფლო-მეურნეობის ეხლანდელი დონე, მისი განვითარების ტემპი და პროდუქციის ხარისხი სრულიად არ არის საკმაო.

ამის გამო მე-15 პარტყრილობამ გასცა დირექტივა იმის შესახებ, რომ გაძლიერდეს სასოფლო-მეურნეობის განვითარების ტემპი და მიღებულ იქნა ყოველგვარი ზომები სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების გადიდებისათვის, როგორც ნათესი სივრცის გაფართოებისა და საქონლის გამრავლების გზით, ისე სას.-სამ. წარმოების ინტენსიფიკაციისა და მექანიზაციის გზით.

საგაზაფხულო თესვის კამპანია წელს ჩატარდება პარტყრილობის დირექტივების პრაქტიკული განხორციელების ნიშნით.

მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებებმა თვალსაჩინო როლი უნდა ითამაშონ ამ მნიშვნელოვან კამპანიაში. სადელეგატო პუნქტების უდიდესი ქსელით—გლეხ-ქალთა მრავალრიცხოვანი კადრით ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, თუ მათ ძალას და ენერგიას ჯეროვნად გამოვიყენებთ. ყოველმა სადელეგატო პუნქტმა, ყოველმა დელეგატმა უნდა იცოდეს, რომ მისი, როგორც სოფლის ახალ ნიადაგზე გარდაქმნის ინიციატორის, როგორც სასოფლო-მეურნეობის კულტურულ-კოოპერატიულ საფუძველზე მოწყობის ორგანიზატორის მუშაობა განიზომება იმით, თუ როგორ მონაწილეობას მიიღებენ დელეგატ—ქალები თესვის კამპანიის ჩატარებაში.

მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებებმა თესვის კამპანიის ჩატარების დროს ადგილებზე გლეხ-ქალთა შორის უნდა განავითარონ ფართო კამპანია მიწის სარგებლობის გაუმჯობესებული მეთოდების დანერგვისა, იმ აგროკულტურული ღონისძიებების გატარებისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობენ პურის მოსავლის გადიდებას და ნათესი სივრცის გაფართოებას.

ისეთი ღონისძიებანი, როგორიც არის მრავალმინდვრიან სისტემაზე გადასვლა, მინდვრების განოყიერება, თესლის გაწმენდა, ხარისხოვანი თესლის დათესვა და სხვ. ფართოდ უნდა განემარტოს გლეხ-ქალებს, პირველ რიგში დელეგატ—ქალებს შორის.

ახსნა-განმარტებითი მუშაობა უნდა ჩატარდეს აგრეთვე იმ გლეხ-ქალთა და მოჯამაგირე ქალთა შორის, რომლებიც არჩეული არიან კოოპერაციაში, საბჭოებში, გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტებში. ყველა ესენი ჩაბმულ უნდა იქნან თესვის კამპანიის ჩატარებისათვის წარმოებულ პრაქტიკულ მუშაობაში. მათ შორის მუშაობის ფორმები უნდა იყოს ჩვეულებრივი—საუბრები, თათბირები, თესვის კამპანიასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. არჩეული გლეხ-ქალები და აგრეთვე დელეგატ-ქალები უნდა შეეცადონ აგიტაცია აწარმოონ უმთავრესად პირადი პრაქტიკული მუშაობის საშუალებით, პირადი მაგალითით. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ნდობის მოპოება გლეხ-ქალთა ფართო მასებს შორის და მათი ჩაბმა თესვის კამპანიაში.

პარტორგანიზაციებმა ამ მნიშვნელოვან პოლიტიკური კამპანიის ჩატარების დროს მუშაობაში უნდა ჩააბან გლეხ-ქალთა ორგანიზატორები, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული მოსახლეობის გლეხ-ქალთა აქტივთან. გლეხ-ქალთა ორგანიზატორის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დაეხმაროს პარტიას გადალახოს ყველა დაბრკოლებანი, რომლებიც ხელს უშლის თესვის კამპანიის ჩატარებას. გლეხ-ქალთა ორგანიზატორები ამით შეუწყობენ ხელს თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებას და სოციალისტური მშენებლობის მორიგი ამოცანების სწრაფად შესრულებას.

ვ. ჟაფარიძე.

თესვის კამპანია და გლეხკომები

გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩასატარებლად უკვე დაიწყო გაცხოველებული კამპანია. ამ საქმეში ყველა ორგანიზაციები, დაწესებულებები აქტიურათ ჩაებენ. ყველა იმ ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, რომელთაც თავის თავზე აქვთ აღებული გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარება, სოფელში აუცილებლათ გვერდში უნდა ამოუდგენ გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებები (გლეხკომები) და ყოველგვარი ღონისძიებით ხელი უნდა შეუწყონ კამპანიის წარმატებით ჩატარებაში.

გლეხკომები — ეს სოფელში მომქმედი ფართო ხასიათის საზოგადოებრივი ორგანიზაციებია, რომლებშიაც გაერთიანებულია მშრომელი გლეხობა. ეს ორგანიზაციები ყველაზე მეტად დაახლოვებული არიან ჩვენს სოფელთან, ჩვენს გლეხებთან და მათ კარგათ აქვთ შეგნებული,— რა ესაჭიროება ჩვენს სოფელს, რა ესაჭიროება ჩვენ გლეხს.

ჩვენი სოფლის მეურნეობა ჯერ კიდევ ჩამორჩენილია, ჩვენში ბევრ ადგილას მამა-პაპური კავ-სახნისი ჯერ კიდევ არ არის გამოსული ხმარებიდან; უცოდინარობა მიწების რაციონალურად და თავის დროზე დამუშავების, გაპატივების, თავის დაღს აჩენს ჩვენი გლეხის მეურნეობას; სარწყავი არხების სიმცირე ბევრ შემთხვევაში დიდ გავლენას ახდენს მოსავალზე; საკმარისი რაოდენობით გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღების უქონლობა ხელს უშლის სასოფლო მეურნეობის განვითარებას. განკერძოებული, პირონული ოჯახური წესით მუშაობა სოფლის მეურნეობაში ვერ იძლევა შესაფერ ეფექტს. პარტია და ხელისუფლება ცდილობენ ჩვენი სოფლის და გლეხის მეურნეობის განმტკიცებას, დასათესი მიწების სივრცის გაფართოებას, მარცვლეულის მოსავლის გადიდებას, ჩვენი სოფლის დღევანდელ დაქუცმაცებულ მეურნეობიდან კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლას.

ასეთია თესვის კამპანიის ამოცანები. გლეხკომები, როგორც სოფელთან და გლეხობასთან ახლო მდგომი ორგანიზაციები, აქტიურათ უნდა ჩაებან მიმდინარე თესვის კამპანიაში, მობილიზაცია უნდა გაუკეთონ მთელ თავის ძალებს, გვერდში ამოუდგნენ ყველგან იმ სამეულებს, რომლებიც უკვე მოწყობილია, ანუ აწი მოეწყობა თესვის კამპანიის ჩასატარებლათ, თვითონ პრაქტიკულათ უნდა ჩაებან მიმდინარე თესვის კამპანიაში და თავისი გავლენით აამოძრაონ გლეხები და სოფლებში აქტიური მონაწილეობა მიაღებინონ ყველას თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარების საქმეში.

გლეხკომებმა თესვის კამპანიის ჩასატარებლათ ყველგან სამეულებს უნდა გადასცენ დროებით ყველა ის ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომლებიც მათ აქვთ ეხლა შეძენილი; დამატებით ზემოაღნიშნულ საქმისათვის ზოგიერთ ადგილებში ახლად უნდა შეიძინონ გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები. გლეხკომებმა თავის სათანადო მარცვლეულობის მარაგიდან გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის უნდა გამოყონ ნაწილი ისეთი მარცვლეულობის, რომელიც სათესლეთ გამოდგება: სიმინდი, ხორბალი და სხვა; ფონდებიდან ფულადაც უნდა გამოიღონ საშუალებები ღარიბი გლეხებისათვის საჭირო დაწმენდილი, დახარისხებული სათესი მასალის შესაძენათ. რომ სოფლებში არ დარჩეს არსად დაუთესელი მიწები, გლეხკომებმა ეხლავე უნდა აღრიცხონ ყველა ქვრივების, ობლების, ინვალიდების, ავადმყოფი გლეხების და იმ წითელარმიელების ოჯახების მიწები, რომელთაც სამხედრო სამსახურში გაწვევისას არ დარჩენიათ მუშა-ხელი, და ასეთებს უფასოთ თვითონ უნდა დაუმუშაონ და დაუთესონ კოლექტიური წესით ყველა მიწები.

სამაზრო გლეხკომებმა და ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალურმა გლეხკომებმა ყველგან ადგილობრივათ, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით დაკვრითი წესით უნდა გამოიმუშაონ ყველა ის პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება საჭიროა თესვის კამპანიის ჩატარების პერიოდში.

გლეხკომებმა სხვა ორგანიზაციებთან ერთად თვალსაჩინო როლი უნდა ითამაშონ მიმდინარე გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარებაში. გლეხკომებმა ფხიზელი თვალყური უნდა ადევნონ სოფლებში, რომ არც ერთი ნაჭერი მიწა დაუთესელი არ დარჩეს. თესვის კამპანიაში ოპუნით და კიჟინით გამოვიდეთ ყველამ, ამ კამპანიაში ძმურათ, ამხანაგურათ მაგრად ჩავკიდოთ ხელი ერთმანეთს და ჩვენს მოძმეებს, ჩვენს მტრებს აშკარათ დავანახოთ, თუ გლეხობის შეკავშირებულ ძალას რის გაკეთება შეუძლია.

სრულიად საქართველოს გლეხკომი ახლო მომავალში შეჯიბრებას გამოაცხადებს და სათანადო პრემიით დააჯილდოვებს იმ გლეხკომს, რომელიც მიმდინარე გაზაფხულის თესვის კამპანიაში მეტ საქმიანობას, უნარსა და აქტივობას გამოიჩენს.

ქ. ხომერიკი.

ა.-კ. სას. სამეურნეო ბანკის ღონისძიებები

კრედიტები საკრედიტო ამხანაგობებს

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ცალკე რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო ბანკებს წინადადება მისცა საგაზაფხულო თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად მაქსიმალურად დააჩქარონ და ტექნიკურად გაამარტივონ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებზე კრედიტების გაცემის საქმე.

სასოფლო-სამეურნეო ბანკებს ევალებათ დაუყოვნებლივ შეასრულონ სათანადო ორგანოების დირექტივები სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებისათვის განსაზღვრულ კრედიტის გადაგზავნის შესახებ.

დაუყოვნებლივ წარმოადგინონ მოთხოვნილებები საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის საჭირო კრედიტების მისაღებად ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკში.

ყველა ცალკე ბანკებმა კრედიტების მიღების შესახებ მოთხოვნილებები უნდა შეუთანხმონ თესვის კამპანიის საგანგებო რწმუნებულებს რესპუბლიკებში.

მუშა-საქონლის გამოკვება

საგანგებო რწმუნებულების მითითების თანახმად ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან მიღებული კრედიტები უწინარეს ყოვლისა უნდა მოხმარდეს მუშა-საქონლის გამოკვებისა და მათი შეძენის საქმეს.

ამ მიზნით შეძენილი უნდა იქნეს საქონლის საკვები და გაუნაწილდეს გლეხებს. სადაც ეს მოუხერხებელი იქნება, ხოლო გლეხები შესძლებენ თვითონ შეიძინონ საქონლის საკვები, მაშინ გლეხებს უნდა მიეცეთ ფული სესხის სახით.

რესპუბლიკანურ ბანკებს წინადადება ეძლევათ მეხამხობის რაიონებში ბაძის მეურნე ღარიბესი გლეხები სავსებით უზრუნველყონ მუშა-საქონლით. პირველ რიგში მუშა-საქონელი შეძენილი უნდა იქნეს კომუნა-არტელებისათვის და მიწის კოლექტიურათ დამმუშავებელ ამხანაგობებისათვის და სხ.

გაძლიერებული უნდა იქნეს მეთვალყურეობა, რათა მიღებული სესხით გლეხებმა აუცილებლათ შეიძინონ მუშა-საქონელი.

თესლის მიწოდება

ა. კ. სას.-სამ. ბანკი წინადადებას აძლევს რესპუბლიკანურ ბანკებს სათესლე მასალის შესაძენათ და დასამზადებლად გადადებული თანხები გასცენ დაუბრკოლებლად და თავის დროზე. თუ სათესლე მასალისათვის გადადებული თანხები საკმარისი არ იქნება საჭირო რაოდენობის თესლის შესაძენათ, მაშინ დაუყოვნებლივ წარმოადგინონ სასოფლო-სამეურნეო ბანკში მოთხოვნილებები საფუძვლიანი დასაბუთებით ახალი სესხის მისაღებად.

გლეხებს სათესლე სესხი უნდა მიეცეთ აუცილებლათ ნატურით და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ მიზნით ფულათ სესხის გაცემა. გამონაკლისი შემთხვევა შეიძლება დაშვებული იქნეს.

სას.-სამ. იარაღ-მანქანების შეძენა

სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შესაძენათ პირველ რიგში სესხი უნდა მიეცეს კოლმეურნეობებს, სამანქანო ამხანაგობებს, მქირავებელ პუნქტებს, ღარიბ გლეხების ორგანიზაციებს და შემდეგ ღარიბ გლეხებს და მეორე რიგში დანარჩენ გლეხებს. ღარიბებს გლეხებს და კოლმეურნეობებს იარაღ-მანქანები უნდა მიეცეთ შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დაწესებულ შეღავათიან პირობებში.

ისეთი მანქანები, რომლებიც ცოტა იშოვება, გაცემული უნდა იქნეს გლეხების ჯგუფებზე.

რესპუბლიკანურ ბანკებს ევალებათ, თუ სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაძენათ და მათ შესაკეთებლად არ ეყოფათ საკუთარი და მიღებული თანხები, დაუყოვნებლივ წარმოადგინონ ახალი მოთხოვნილებები ა. კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან დამატებითი სესხის მისაღებად.

მინერალური სასუქი

ა. კ. სასოფლო ბანკი წინადადებას იძლევა აგრეთვე მინერალური სასუქებისათვის გადადებული თანხები, რომელიც უკვე დაგზავნილია ადგილებზე, სავსებით და თავის დროზე იქნეს გამოყენებული და გაცემული.

აგრეთვე მთლიანად გაცემული უნდა იქნეს კოლმეურნეობების სოციალისტურ სექტორებისათვის გადადებული თანხები. ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობების დაკმაყოფილებას სხვა საჭირო კრედიტებით.

ა. კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი წინადადებას აძლევს რესპუბლიკანურ ბანკებს მთელი თავისი თანხები მოახმარონ თესვის კამპანიას და სავსებით შეუწყვიტონ ისეთი საკრედიტო ოპერაციები, რომლებსაც კავშირი არ აქვს თესვის კამპანიასთან.

მუშათა ცხოვრება

ქობულეთის სანატორიუმი

ქობულეთის სანატორიუმში მოთავსებულია 115 ავადმყოფამდე. უნდა ითქვას, რომ ავადმყოფი მუშა უნდა გაძვრეს რამოდენიმე ხვრელში, რომ როგორმე მოხვდეს აღნიშნულ სანატორიუმში და რამოდენიმედ აღადგინოს თავისი ჯანმრთელობა.

სამწუხაროდ ზოგიერთი ავადმყოფი ამაზე სულაც არ ფიქრობს, იგი ეწევა სრულიად თავაშვებულ ცხოვრებას: სანატორიუმის მახლობლად მრავლადაა გამრავლებული ვითომდა საწვრილმანო დუქნები, სადაც ხშირად იმართება ავადმყოფთა კამპანიები. ასეთი ხალხი ვერც თვითონ სარგებლობს და სხვის ადგილსაც იკავებს.

რას ფიქრობს ამის შესახებ სანატორიუმის ადმინისტრაცია? არაფერს. მათ უბრალო წესებიც კი არა აქვთ, რომ ავადმყოფმა იცოდეს თავისი მოვალეობის შესრულება და დაიცვას იგი სანატორიუმში.

გარდა ამისა, ექიმები არ მართავენ საუბრებს ან ლექციებს, რომ ავადმყოფებს აუხსნან თავიანთი ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზები და ამისი მნიშვნელობა, რათა მათ შეეძლოთ თავის მოვლა, როგორც სანატორიუმში, ისე სახლშიც.

სანატორიუმი უნდა იყვეს სკოლა მოსულ ავადმყოფებისათვის, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევს. სანატორიუმში მედიკამენტების ნაკლულოვანებასაც აქვს ადგილი.

აქვე უნდა აღინიშნოს ზოგიერთი სანოვაგის გადაჭარბებული ეკონომიით ხმარება, რომელიც მარტო ადმინისტრაციის ინტერესს ემსახურება.

სანატორიუმის შტატი ცოტა არ იყოს გაბერილია; რა საჭიროა სამეურნეო ნაწილის გამგე თავისი თანაშემწეთი, იმ დროს, როდესაც სანოვაგეს ახლო-მახლო დუქნებში ყიდულობენ წვრილ-წვრილად. მომპირნეობა ყიდვის დროს უნდა გამოიყენონ და მეორე ხელიდან კი არ უნდა იყიდონ სანოვაგე, არამედ ადგილებზე. უნდა ითქვას აგრეთვე ისიც,—რომ სანატორიუმში ბევრი არა-საიმედო პირებს მოუყრიათ თავი.

სათანადო ორგანოებმა უნდა გადაათვალიერონ სანატორიუმის შტატი და შემცირებასთან ერთად გაწმინდონ კიდეც არა სასურველ ელემენტებისაგან.

მუშკორი გალიორკა.

მოსალოდნელია ხანძარი

ორჯონიკიძის ქუჩაზე სახ. № 75-ს ყავს ორი პატრონი ვინმე: ე. არუთინოვი და ს. კალანდაძე. ეს ვაჟბატონები ცხოვრობენ ქუჩის პირად მესამე სართულში. თავისთვის აქვთ საპირფარეშოც, წყალიც და სხვაც. მაგრამ მდგმურებს ყურადღებას არ აქცევენ. სახლში არ არის მოწესრიგებული საბინაო დავთარი. თვით სახლის პატრონების ოჯახებში იმყოფება 3-დან 5 სულამდე დავთარში ჩაუწერავი, რაც დანაშაულად უნდა ჩაითვალოს. ეზოში გამოყვანილია ელექტრონი, რომელსაც ღამის ათ საათზე აქრობენ.

გარდა ამისა, მთელი ღამე ეზოს კარები ღიაა, ეზოში არ არის აგრეთვე სამრეცხაო და მდგმურებს შუა ეზოში და მოაჯირებზე უხდებათ ცეცხლის დანთება, რის გამო მოსალოდნელია ხანძარი.

საჭიროა დროზე მიექცეს ყურადღება აღნიშნულ სახლს.

მახვილი.

სარევიზიო კომისიების უმოქმედობა

შემჩნეულია, რომ მბეჭდავთა კავშირის ადგილობრივ ორგანოების ზოგიერთი სარევიზიო კომისიები, არ ატარებენ პროფორგანოების თანხათა და საფინანსო საქმის წარმოების რევიზიას და არ ამოწმებენ თავის პროფორგანოს მუშაობას, რაც ხელს უწყობს საკავშირო და საზოგადოებრივი თანხების გაფლანგვას:

ერთ-ერთ ადგილკომს მდივანმა იოვსიმ, გაფლანგა საკავშირო და საზოგადოებრივი თანხა. გაფლანგვა აღმოჩენილ იქნა მხოლოდ ცენტრ. გამგეობის ინიციატივით. ცენტრალურმა გამგეობამ გამფლანგველ იოვსისთან ერთად, რომელიც დაპატიმრებულია, პასუხისგებაში მისცეს აგრეთვე ადგილკომის სარევიზიო კომისიაც მოვალეობისადმი გულგრილად მოპყრობისათვის.

ცენტრ. გამგეობა დაგზავნილ ცირკულიარში წინადადებას აძლევს ყველა სარევიზიო კომისიებს და პროფორგანიზაციებს, ყურადღებით მოეკიდონ პროფორგანოს ფინანსიური საქმის წარმოების რევიზიას. გარდა ამისა, საჭიროა განთავისუფლებული იქნენ სხვა საზოგადოებრივ-ნებაყოფლობითი ორგანიზაციების ფინანსიურ საქმეთა წარმოებისაგან.

ვ.

მუშა ხელის მოსამზადებლად

(ჭიათურა)

თებერვლის პირველ რიცხვებში, დამთავრდა სამთამადნო კავშირის პროფტექნიკური კურსების მსმენელთა გამოცდები, კურსებზე მეცადინეობა სწარმოებდა ერთი წლის განმავლობაში და მიზნათ ჰქონდა დასახული მუშათა კვალიფიკაციის გადიდება, რაც ჭიათურის სამრეწველო რაიონისთვის დიდ საჭიროებას წარმოადგენს.

სწავლა დაამთავრა 32 კაცმა. გამოცდებს დაესწრო შორაპნის მაზრის განათლების განყოფილების გამგე და ამავე მაზრის განათლების მუშაკთა კავშირის თავმჯდომარე. გამოცდებმა დაგვარწმუნა, რომ მუშებს საკმაოდ ბევრი რამ შეუძენიათ კურსებზე, მაგრამ ჭიათურის რაიონისთვის კურსდამთავრებულთა რიცხვი მაინც ცოტაა. მით უმეტეს, რომ საზოგადოება „ქართული მარგანეცი" უკვე შეუდგა წარმოების მექანიზაციას. ამიტომ საჭიროა მუშათა კვალიფიკაციის აწევა.

ამ მიზნით 10 თებერვალს, ჭიათურაში გაიხსნა ოთხწლიანი სამთამადნო სკოლა ახალგაზრდობისათვის. სკოლაში 200-მდე განცხადება შემოვიდა, მაგრამ სასწავლებელში მიღებულ იქნა მხოლოდ 25 ახალგაზრდა.

საერთოდ სამთამადნო კურსებზე შემსვლელთა რიცხვი ძალიან დიდია. სკოლა ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მას. ამიტომ საჭიროა ჭიათურაში განახლებულ იქნეს პროფტექნიკური კურსების მეცადინეობა ახალი მსმენელების შემადგენლობით. ამით გარდა იმისა, რომ დავაჩქარებთ კვალიფიკაციურ მუშა ხელის მომზადებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ წარმოების გაჯანსაღებას, ამავე დროს დავაკმაყოფილებთ მუშების კულტურული მოთხოვნილებასაც.

ცხენის წყლისპირელი.

კიდევ გაფლანგვა

რკინის გზის კომერციულ ოპერაციებზე ვერ არიან დანიშნული სანდო ქმედები. რკინის გზის შემოსავლის ეს წყარო ზოგიერთ ადგილებზე ხელთ აქვთ ისეთ მოხელეებს, რომლებიც ყოველ წუთს მზად არიან ჩაიდინონ გაფლანგვა და სხვა ბოროტმოქმედება, რაც დიდ ზარალს აყენებს რკინის გზას. თითქმის ყოველ სადგურზე ხდება გაფლანგვა სადგურის შემოსავლისა. მის წინააღმდეგ მიღებულმა ზომებმა კი ვერ მოგვცა საგრძნობი ნაყოფი. ეს მომავალშიაც ასე გაგრძელდება თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები.

საჭიროა თვით ქმედების შერჩევა. საჭიროა კომერციული ქმედები სანდო იქნენ, როგორც ადმინისტრაციისათვის, ისე პროფორგანოებისათვისაც. აი ერთი მაგალითი სადგურის შემოსავლის გაფლანგვისა:

საშემოსავლო დარგის რევიზორმა მაისურაძემ 20 მარტს გაუკეთა რევიზია სად. ახალსენაკის საბარგო სალაროს და აღმოაჩინა 1893 მან. და 93 კაპ. გაფლანგვა. ეს შემთხვევა ეცნობა ახალსენაკის რკინის გზის პოლიტსამმართველოს უფროს ქმედს. რომელმაც მიიღო სათანადო ზომები გამფლანგველ სალაროს დასასჯელად.

საჭიროა კომერციული ქმედების შერჩევას რკ.-გზის გამგეობამ მეტი ყურადღება მიაქციოს.

გრძელი.

მუშკორთა წერილებიდან

დამპალ ყველს ყიდიან. მუშკოოპის სარძეოდან მუშებს გამოაქვთ გაფუჭებული ყველი და ჰყიდიან მას კერძო მედუქნეებზე, რომლებიც ასაღებენ მცხოვრებლებზე და აგრცელებენ ავადმყოფობას. მუშკოოპის გამგეობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას.

მირძევე.

ვინ მოგვაქცევს ყურადღებას. პურის საცხობებში მომუშავე მუშები აუტანელ მდგომარეობაში ვიმყოფებით. 8 საათის მაგიერ ხშირად 16 საათს ვმუშაობთ და ყურადღებას არავინ გვაქცევს. განსაკუთრებით კერძო მეპურეებთან მომუშავეები ყველასაგან უყურადღებოდ ვართ მიტოვებული. შრომის კომისარიატო მოგვაქციე ყურადღება.

მუშა.

გაგვიხსენით კოოპერატივი. მე-3-მე უბანში არკადის, გრაკალის, ფლოდოსოვის და სხ. ქუჩების მახლობლად არც ერთი კოოპერატივი არ არის. აღნიშნულ ქუჩებზე კი უმთავრესად მუშა—მოსამსახურეები ცხოვრობენ. მუშკოოპის გამგეობავ, გაგვიხსენი კოოპერატივი.

სიმართლის მაძიებელი

შენობა არ გვივარგა. რკ. გზის მე-6-ე უბნის სალიანდაგო დარგის სახელოსნოს სათუნუქე სამქრო მოთავსებულია რკ. გზ. საბჭოთავოლის ქვეშ ნესტიან სარდაფში, სადაც ისეთი დახუთული ჰაერია, რომ შეუძლებელია მუშაობა. საუბნო კომიტეტო, მოგვაქციე ყურადღება.

მეთუნუქე.

კომუნისტურ უნივერსიტეტებში მიღების პირობები

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. სააგიტ.-საპროპაგანდო განყოფილება აცხადებს, რომ მოსკოვის უმაღლეს კომუნისტურ სასწავლებლებში გასაგზავნ კანდიდატების შერჩევა მოხდება განყოფილებასთან არსებულ გადამრჩევ კომისიაში ა. წ. 5 და 6 აპრილს, ხოლო „26“-ს სახელობის ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტში 15, 16 და 17 მაისს.

უნივერსიტეტებში მიღების ცალკე წესები უკვე დაეგზავნა ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომლებიც ვალდებული არიან ზემოხსენებულ რიცხვისათვის გამოგზავნონ კანდიდატები შესარჩევად.

მიღების ძირითადი პირობები

I. სვერდლოვის სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტში მისაღებად სავალდებულოა: ა) ფიზიკური შრომის 3 წლის საწარმოო სტაჟი მრეწველობაში, ან სოფლის მეურნეობაში, მასთან უპირატესობა ეძლევა მსხვილ ინდუსტრიალურ ტიპის წარმოებაში მომუშავე ამხანაგებს (წარმოებაში გატარებული მოწაფეობის წლები ან ბავშვობისას გლეხურ მეურნეობაში მუშაობა საწარმოო სტაჟად არ ჩაითვლება); ბ) არა ნაკლებ 5 წლ. პარტსტაჟის, (კომკავშირის სტაჟის ჩაუთვლელად); გ) არა ნაკლებ 3 წლის აქტიურ პარტიულ მუშაობისა (ქვედა, მასიურ პარტმუშაობის გამოცდილების არამქონე არ მიიღება); ასაკი 23-32 წ., დ) ამ პირობების დაკმაყოფილებისას უპირატესობა ეძლევა სამოქალაქო ომში მონაწილეთ და წითელ არმიის რიგებში ნამსახურთ.

მეორე საფეხურის სკოლის, სოციალზრდის ან ანალოგიურ სასწავლებლების (საშუალო განათლება) კურსდამთავრებულნი უნივერსიტეტში არ მიიღებიან. საბჭოთა პარტსკოლის და მუშფაკის კურსდამთავრებულნი მიიღებიან მხოლოდ 2 წლის პრაქტიკულ მუშაობის შემდეგ.

უნივერსიტეტში შემსვლელ ამხანაგებმა კარგათ უნდა იცოდნენ წერა-კითხვა რუსულ ენაზე, უნდა შეეძლოთ თავისი აზრების წერილობითი გამოთქმა, არითმეტიკული მოქმედების წარმოება მთელ რიცხვებზე და ნაწევრებზე, აგრეთვე დაწყებითი ფიზიკური გეოგრაფია და უნდა იყვნენ გაცნობილნი გეოგრაფიულ რუკას.

II. ამხ. სტალინის სახელობის აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურ უნივერსიტეტში მიიღებიან: ა) აღმოსავლეთის ერების მშრომელნი, კომპარტიის წევრნი 3 წლ. სტაჟით (კომკავშირის სტაჟის ჩაუთვლელად) და აქტიურ პრაქტიკულ-პარტიულ, პროფესიონალურ ან საბჭოთა მუშაობის სტაჟით არა ნაკლებ 3 წლით. ამასთან ერთად ისინი უნდა იყვნენ არა ნაკლებ 20 წლის და არა უმეტეს 32 წლისა; ბ) ყურადღება უნდა მიექცეს ქალთა გამოგზავნას, თუ ქალთაგან არ მოიპოვება შესაფერი კანდიდატი—კომპარტიის წევრნი, დასაშვებია გამოგზავნონ მკვიდრი მოსახლეობის ქალთაგან კ. პ. კანდიდატი, რომელსაც ექნება 2 წლის პრაქტიკულ მუშაობის სტაჟი ქალთა შორის მუშაობისა, ან კომკავშირის პროფესიონალურ, საბჭოთა და სხ. საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ასეთ შემთხვევისათვის ასაკი შეიძლება შემცირებულ იქნას 18 წლამდე; გ) კანდიდატების შერჩევა ხდება მხოლოდ და მხოლოდ მკვიდრ და არა მოსულ მოსახლეობიდან; დ) პირველ კურსზე შემსვლელნი უნდა იყვნენ წერა-კითხვის კარგად მცოდნე მშობლიურ ენაზე, თავისუფლად შეეძლოთ ლაპარაკი, წერა-კითხვა რუსულ ენაზე, აგრეთვე ჰქონდეთ საერთო განათლება და პოლიტიკური მომზადება საბჭოთა პარტსკოლის მეორე საფეხურის დონემდე.

3. „26“ სახელობის ა.-კ. კომ. უნივერსიტეტისათვის საჭიროა: ა) ფიზიკური შრომის—არა ნაკლებ 2 წლის საწარმოო სტაჟი მრეწველობაში, ან სოფლის მეურნეობაში, ბ) კომპარტიის წევრობა 2 წლის სტაჟით და კომკავშირის წევრობა 3 წ. სტაჟით, გ) ამასთან ერთად ა.-კ. კომ. უნივერსიტეტში მიიღებიან აქტიური მუშაკნი პარტიულ, კომკავშირის, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციებში არა ნაკლებ 2 წლის სტაჟით, დ) 20-დან—30 წლამდე ასაკისა, ე) სავალდებულოა ქართულ, თათრულ, სომხურ და რუსულ ენებიდან ერთ-ერთის კარგად ცოდნა.

გარდა ამ პირობებისა ყველა კანდიდატი უნდა ერკვეოდეს პარტიის მიმდინარე პოლიტიკაში, შესწავლილი ჰქონდეთ პარტპროგრამის დადგენილებანი და ძირითადი ცნობები კლასთა ბრძოლის და პარტიის ისტორიიდან.

არც ერთ ზემოხსენებულ უნივერსიტეტში გადამდებ სნეულებით შეპყრობილნი და ფიზიკურად სუსტნი არ მიიღებიან.

სტუდენტები უზრუნველყოფილნი იქნებიან სტიპენდიით, ბინით, საჭმელ-სასმელით, ტანისამოსით, სახელმძღვანელოებით, სასწავლო ნივთებით და სხვ., სტუდენტთა ოჯახის წევრთათვის ბინის მიცემას უნივერსიტეტი არ კისრულობს.

გზის ხარჯები ეკისრება გამომგზავნ დაწესებულებებს. წინასწარ მომზადების მისაღებად, გასაგზავნი ამხანაგები თავისუფლდებიან სამუშაოდან ჯამაგირის შენახვით ორ-ორი თვით, სვერდლოვის და სტალინის უნივერსიტეტში მისაღებნი და ერთი თვით—„26“-ს სახელობის უნ. მისაღებნი.

იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული კანდიდატების უკან დაბრუნება და ამით როგორც პარტიის, ისე გამოგზავნილ ამხანაგებისათვის მატერიალური და მორალური ზიანი, საჭიროა ადგილობრივ პარტორგანიზაციები განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდონ ამ საქმეს და გამოგზავნონ ისეთი ამხანაგები, რომლებიც სავსებით აკმაყოფილებენ მიღების ყველა პირობებს.

განაწილება

ორგ. დასახელება.	სვერდლოვის სახ. უნივერს.	სტალინის სახ. უნ.	„26“-ს სახ ა.-კ. უნ.
1. თბილისი	3 (აქედან 1 ქალი)	1	10
2. ახალციხე	—	—	1
3. ახალქალაქი	—	—	1
4. ბორჩალო	—	1 (თურქი)	—
5. აჭარისტანი	—	—	1
6. აფხაზეთი	—	—	1
7. ქუთაისი	1	—	1
8. შორაპანი	—	—	1
9. ოზურგეთი	—	—	—
10. სენაკი	—	—	1
11. გორი	—	—	2
12. ზუგდიდი	—	—	1
13. თელავი	—	1 (ხევსური)	1
14. დუშეთი	—	1 (ხევი)	1
15. სიღნაღი	—	—	1
16. რაჭა	—	—	1
17. ლეჩხუმი	—	—	1
18. სამხრ.-ოსეთი	—	—	1
19. ფოთი	—	—	1
20. სვანეთი	—	3 (სვანი)	—
	4	7	28

ამას გარდა, სრულიად საკავშირო კომპარტიის ცეკას განაწილებით: 1) აფხაზეთს ეძლევა ამხ. სტალინის სახ. კ. უნ.—8 ადგილი, აქედან 2 მეგრელებისათვის, 2) აჭარისტანს—6 ადგილი, აჭარლებისათვის, 3) სამხრეთ-ოსეთს—6 ადგილი. ამ რიცხვიდან აფხაზეთი გზავნის 3 ქალს, აჭარისტანი და სამხრეთ-ოსეთი ორ-ორ ქალს.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპ. განყ. გამგე:
ხ. მამულია.

ქალების მონაწილეობა თავდაცვა-ავიაქიმში

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მუშა-გლეხ ქალთა განყოფილებაში შედგა თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმთან არსებულ ქალთა სექციის თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა საკითხი ქალების მონაწილეობის შესახებ თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობაში. თათბირმა მოისმინა რესპუბლიკანურ მუშა-გლეხ ქალთა განყოფილებების გამგეთა ამხ. ზაიკოვას, ჯაფარიძის და ხერიმიანის მოხსენებები.

მომხსენებლები შეჩერდნენ თავდაცვა-ავიაქიმში ქალების მუშაობის ცალკე მომენტებზე და აღნიშნეს, რომ აუცილებელია ქალების მაქსიმალურად ჩაბმა სხვადასხვა წრეებში, კურსების მოწყობა ინსტრუქტორ-ქალების მოსამზადებლად და სხვა. ქალთა აქტივი გამოყენებული უნდა იქნეს ავიაქიმის სამუშაოებზე მაზრებში. საჭირო არ არის ქალების ცალკე წრეების და უჯრედების მოწყობა; ასეთები, დატოვებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ მაზრებში, სადაც ეს აუცილებელია ყოფა-ცხოვრების პირობების გამო.

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ეგნატაშვილმა, ზახაროვამ, ბელიაევსკაიამ, პლატონოვამ, ალექსეევამ, იაგუნტინსკაიამ და ეგიკოვამ.

საბოლოო სიტყვაში მომხსენებლებმა აღნიშნეს მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებანი, რომელთა გატარება აუცილებელია ქალთა შორის სამხედრო მუშაობის გასაფართოებლად. საჭიროა აგრეთვე თავდაცვა-ავიაქიმის პროპაგანდის გაძლიერება სოფლად.

ა.-კ. რესპუბლიკების ჯანსახკომთა თათბირი

მეორე დღე

მე-3 და მეოთხე სხდომაზე თათბირმა მოისმინა მოხსენება ა.-კ. რკ. ჯანმრთელობის განყოფილების ფინანსიური მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელი ამ. შავერდოვი აღნიშნავდა, რომ ის კრედიტები, რომლებიც გაცემულია რკ. გზის ხაზებზე მუშაობის საწარმოებლათ, არაა საკმარისი და საჭიროა თათბირმა იშუამდგომლოს კრედიტების გადიდების შესახებ.

თათბირმა მიიღო დადგენილება აღძრას შუამდგომლობა უმაღლეს ორგანოების წინაშე, რომ გაცემულ იქნეს აუცილებელ და გადაუდებელ სამუშაოების ჩასატარებლათ (ველის რაიონის დაშრობა, მალარიასთან ბრძოლა, ფსიქიატრიული დახმარების გაძლიერება და სხ.) თანხები გამოთხოვილი რაოდენობით.

შემდეგ თათბირზე საინფორმაციო მოხსენებით გამოვიდა ამხ. ფრანგულიანი, რომელიც ამას წინათ მივლინებული იყო მოსკოვში გ. წ. საკავშირო სათადარიგო ფონდის განაწილებაში მონაწილეობის მისაღებათ. ეს ფონდი, რომლის რაოდენობაც უდრის 4.500.000 მანეთს უნდა განაწილებულიყო მოკავშირე რესპუბლიკათა სამკურნალო ფონდების გასაძლიერებლათ. ამ საკითხზე მოწვეულ რესპუბლიკანურ ჯანსახკომების წარმომადგენელთა თათბირმა, მომხსენებლის განმარტებით, იქონია მსჯელობა ფონდის განაწილების შესახებ და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის გამოყო 585.000 მანეთი. ამ თანხიდან საქართველოს ერგო 200.000 მან., აზერბეიჯანს—250.000 მან. და სომხეთს—135.000 მან. ფონდიდან გამოყოფილი თანხა უნდა მოხმარდეს სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობის დასრულების უმთავრესად საკავშირო მნიშვნელობის საწარმოო რაიონებში.

შემდეგ მომხსენებელი განმარტავს, რომ საქართველოში საკავშირო მნიშვნელობის საწარმოო რაიონებათ ცნობილია—ტყიბული, ჭიათური და თბილისი. თბილისში დაწყებულია ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის შენობის აგება. ამ ინსტიტუტს ეძლევა საკავშირო მნიშვნელობა და ამიტომ საჭიროთაა ცნობილი, რომ საქართველოს ჯანსახკომის სამკურნალო ფონდის გასაძლიერებლათ გადადებული თანხის (200.000 მან.) ნაწილი მოხმარდეს აღნიშნული ინსტიტუტის მოწყობას.

შემდეგ თათბირზე ამხ. ფრანგულიანი გამოვიდა მეორე განცხადებით საქართველოს საკურორტო მშენებლობის პერსპექტივების შესახებ. მომხსენებელმა თათბირს გააცნო მოსკოვში შემდგარ სპეციალურ თათბირის დადგენილება, რომლითაც მიმდინარე წელს საქართველოს საკურორტო აღმშენებლობისათვის გადადებულია 250.000 მანეთი. აღნიშნული თანხა უნდა მოხმარდეს ბორჯომში და აბასთუმანში სანატორიუმების აგებას.

პროფკავშირების მონაწილეობა მაქსიმ გორკის საიუბილეო ზეიმში

საქ. პროფსაბჭოს სადირექტივო წერილი

საქართველოს პროფსაბჭომ მ. გორკის საიუბილეო კამპანიის ჩასატარებლად ყველა კავშირების ცენტრ. გამგეობებს, სამაზრო პროფბიუროებს და მუშათა კლუბების გამგეობებს მიმართა შემდეგი შინაარსის სადირექტივო წერილით:

28 მარტს შესრულდა 60 წელიწადი ა. მ. პეშკოვის (მ. გორკის) დაბადებიდან და 35 წელიწადი მისი საზოგადო-სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის დღიდან.

მ. გორკის იუბილეი—ეს არის პროლეტარული ლიტერატურის და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის დიდი დღესასწაული.

ამჟამად არ არის სხვა მწერალი, რომელიც შეედრებოდეს მ. გორკის თავის შემოქმედებით და ნაყოფიერებით. პროფკავშირების სამკითხველოებში ყველაზე უფრო იკითხება მ. გორკის წიგნები და ის წარმოადგენს მშრომელი მასების ერთად-ერთ საყვარელ მწერალს.

რუსულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე მაქსიმ გორკი თავის ლიტერატურული მოღვაწეობით ამზადებდა მასებს დიად პროლეტარულ რევოლიუციისათვის.

მ. გორკის წვლილი საზოგადო-სალიტერატურო მოღვაწეობა მიმართული იყო ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ჩაგრავდა და აგიწროვებდა მაშინდელ რუსეთის მრავალრიცხოვან ერებს და მშრომელთ.

მ. გორკის საიუბილეო კამპანია განსაკუთრებით ზეიმით უნდა იქნეს ჩატარებული საქართველოში, სადაც მან პირველად დაიწყო თავის ლიტერატურული მოღვაწეობა.

პროფესიონალური კულტ-განმანათლებელი ორგანიზაციებმა-კლუბებმა, კულტკომისიებმა, წითელმა კუთხეებმა და ბიბლიოთეკებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საიუბილეო კამპანიის ბრწყინვალედ ჩატარებაში.

კამპანიის განმავლობაში უნდა სწარმოებდეს გაცხოველებული მუშაობა კლუბებში და ამ მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნენ საკლუბო წრეები, ბიბლიოთეკების მკითხველთა აქტივები და საერთოდ კლუბის აქტიური წევრები. კლუბებში უნდა გაიმართოს სადღესასწაულო საღამოები და მოხსენებები, რომელზედაც გრცლად გაშუქებული უნდა იქნეს იუბილიარის შემოქმედება და მოღვაწეობა მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

უნდა მოეწყოს აგრეთვე გორკის ნაწერების ხმა-მაღლა კითხვა და მათი კრიტიკული განხილვა მასების ფართო მონაწილეობით.

გორკისადმი მიძღვნილმა სადღესასწაულო საღამოებმა არ უნდა გასტანოს 3 საათზე მეტი.

საღამოს პირველ ნაწილში წაკითხული უნდა იქნეს მოხსენება მ. გორკის საზოგადო-სალიტერატურო მოღვაწეობის შესახებ (მოხსენებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასტანოს ნახევარ საათზე მეტი).

მეორე ნაწილში უნდა მოეწყოს გორკის ნაწერების მკითხველთა გამოსვლა თემაზე—თუ რას ფიქრობენ ისინი მწერლობაზე და როგორ განიცდიან მის ნაწერებს.

მესამე ნაწილი უნდა შესდგებოდეს მხატვრული პროგრამისაგან.

მხატვრულ განყოფილებაში უნდა სწარმოებდეს გორკის ნაწერების მხატვრული კითხვა, მოყოლა, დეკლამაცია, მელო-დეკლამაცია, მუსიკა, სიმღერა და სხ.

ადგილობრივმა დრამწრეებმა უნდა წარმოადგინონ იუბილიარის პიესები.

ასეთი საღამოების მოწყობის დროს სახელმძღვანელოდ პროფსაბჭომ გამოსცა შესაფერი კრებული, რომელშიაც მოთავსებულია გორკის ბიოგრაფია, კრიტიკული მიმოხილვა და ზოგიერთი ნაწარმოებები.

საიუბილეო კამპანია, რომელიც დაიწყო გუშინდლიდან—28 მარტიდან, გასტანს მისამდე—მ. გორკის თბილისში ჩამოსვლამდე.

თბ. მუშკოოპის რწმუნებულთა კრება

მეოთხე სხდომა

მეოთხე სხდომაზე, რომელიც შესდგა 27 მარტს საღამოს, გრძელდებოდა კამათი მუშკოოპის გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენებების გარშემო. კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ერისთავი და ორლოვი.

მეხუთე სხდომა

მეხუთე სხდომა გაიხსნა გუშინ საღამოს. რწმუნებულები დაიყვნენ ორ, საფინანსო-სავაჭრო და საორგანიზაციო სექციად და დაიწყო სექციური მუშაობა.

მოხსენებით მუშკოოპის მომავალ საქმიანობის შესახებ სექციის სხდომაზე გამოვიდა მუშკოოპის გამგეობის წევრი ამხ. მელნიკოვი, რომელმაც განაცხადა, რომ მუშკოოპის საერთო ბრუნვა მიმდინარე 1927—28 წლის განმავლობაში გაიზრდება 37 პროცენტით. წელს დამზადებული იქნება 24.414.0000 მანეთის საქონელი. აქედან—13.160.000 მანეთის იქნება სასოფლო მეურნეობის ნაწარმოები.

ზედნადები ხარჯები 1927—28 წელში გაიზრდება 4,9 პროცენტამდე (შარშან—3,6 პროც.) ეს აიხსნება იმით, რომ ეხლა მუშკოოპი უმეტეს შემთხვევებში საქონელს იღებს თბილისის გარედ.

დარიცხვა საქონელზე ნავარაუდევია 12 პროცენტის რაოდენობით (შარშან 13,5 პროც.). შემცირებული იქნება აგრეთვე 12.2 პროცენტიდან (შარშან) 10,3 პროცენტამდე სავაჭრო ხარჯები.

მიმდინარე წელს მუშკოოპს განზრახული აქვს 555.000 მანეთის დახარჯვა მშენებლობაზე და შეკეთებაზე. პურის ქარხნის აშენება დაჯდება 269.000 მანეთი. ნაწილობრივ ამ საქმეში გამოყენებული იქნება საბანკო სესხი.

ამიერ-კავკასიის საკრედიტო ბიურო

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენება ამიერ-კავკასიის საკრედიტო ბიუროს მუშაობაზე და ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის აპარატის ცნება მის მიერ ჩატარებულ გამოკვლევის შესახებ.

აღნიშნული იქნა, რომ სახელმწიფო სავაჭრო-სამრეწველო საკრედიტო დაწესებულებები საკრედიტო ოპერაციების დროს საკმარისად არ იყენებენ ამიერ-კავკასიის საკრედიტო ბიუროს მასალებს, ზოგიერთ შემთხვევაში კი სრულებით ანგარიშს არ უწევენ საკრედიტო ბიუროს განკარგულებაში არსებულ უარყოფით ცნობებს კერძო პირებისა და სუსტ ორგანიზაციების შესახებ.

ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და მის რწმუნებულებს რესპუბლიკებში და რესპუბლიკანურ ს.მ.უ.ს. წინადადება მიეცათ ურჩიონ მათ ქვემდებარე სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებს და სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს [illegible]ტო ურთიერთობა დაამყარონ ამიერ-კავკ. საკრედიტო ბიუროსთან, რომ მიიღონ იქიდან ცნობები იმ კლიენტების კრედიტუნარიანობის შესახებ, რომლებსაც კრედიტები ეძლევათ. განსაკუთრებით დაუშვებელია კრედიტების გაცემა კერძო პირებისა, სააქციო საზოგადოებებისა (შერეული კაპიტალით), წვრილი კოოპერატივებისა და სარეწაო—შინამრეწველთა ორგანიზაციებისათვის, თუ წინასწარ შეგროვებული არ იქნა ცნობები მათ შესახებ ამიერ-კავკ. საკრედიტო ბიუროში.

ყველა ორგანიზაციებს წინადადება ეძლევათ მიაწოდონ საკრედიტო ბიუროს საჭირო ცნობები და მასალები ორგანიზაციების ფინანსიური მდგომარეობის შესახებ, თუ ამას მოითხოვს ამიერ-კავკ. საკრედიტო ბიურო.

დადასტურებული იქნა, რომ საკრედიტო ბიუროს ამიერ-კავკასიის კანტორის მუშაობა უნდა გავრცელდეს ამიერ-კავკასიის მთელს ტერიტორიაზე; ამასთანავე საკრედიტო ბიუროს ბაქოს განყოფილება უნდა დაემორჩილოს ამიერ-კავკ. კანტორას.

გადასახადების აკრეფის გასაძლიერებლად

ამიერ-კავკ. ფინსახკომის კოლეგიამ, მოისმინა რა საგადასახადო სამმართველოს მოხსენება სახელმწიფო გადასახადების, ბაჟის და გამოსაღების აკრეფის შესახებ 1927—28 წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში, მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს გადასახადების აკრეფის გაძლიერებას.

აღნიშნული ოთხი თვის განმავლობაში პირდაპირი გადასახადების აკრეფა ამიერ-კავკასიაში სუსტად მიმდინარეობდა. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი არ არის მთლიანად აკრეფილი. ამის გამო რესპუბლიკანურ ფინსახკომებს წინადადება მიეცათ შეაგროვონ გადასახადის დარჩენილი თანხა და წინა წლების ყველა ნაშთები 1-ლი აპრილისათვის. შეღავათები სტიქიური უბედურებების გამო რესპუბლიკანურმა ფინსახკომებმა უნდა მიანიჭონ გადამხდელებს მხოლოდ იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით.

დანარჩენი გადასახადების აკრეფა სრულებით არადამაკმაყოფილებლად არის ცნობილი: განათანასწორებული გამოსაღები აკრეფილია მხოლოდ 25 პროც. რაოდენობით, საშემოსავლო გადასახადი კი სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებისაგან აკრეფილია მხოლოდ 20 პროც. რაოდენობით. საბიუჯეტო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად რესპუბლიკანურ ფინსახკომებს წინადადება მიეცათ მიიღონ გადამწყვეტი ზომები მიმდინარე წლის იმ გადასახადების თანხების ასაკრეფად, რომელთა გადახდის ვადა უკვე გავიდა; ამასთანავე მაქსიმალურად გაძლიერებული უნდა იქნეს ძველი ნარჩენების აკრეფა და ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ დაუშვებელია ნარჩენები ითვლებოდეს მომუშავე ორგანიზაციებზე.

არადამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი სახელმწიფო ბაჟის და გამოსაღებთა აკრეფა. ადგილობრივ გადასახადების აკრეფის გასაძლიერებლად აუცილებლად არის ცნობილი აღძრული იქნეს ამიერ-კავკ. ცაკის წინაშე შუამდგომლობა სათანადო ღონისძიებების გამოშვების შესახებ.

დამაკმაყოფილებლად არის ცნობილი აგრეთვე ზოგიერთ არასაგადასახადო შემოსავლის აკრეფის ტემპი, რის გამო ამიერ-კავკ. ფინსახკომის მიერ მიღებულია მთელი რიგი დადგენილებანი.

საქ. სახკომსაბჭოში

ბრძოლა წყალდიდობასთან

მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან დაკავშირებით, სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ საჭიროდ სცნო დაუყოვნებლივ გადაეცეს წყალთა მეურნეობის სამმართველოს [illegible] მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლად გათვალისწინებული 60.000 მ.

სხდომამ საჭიროდ სცნო ეთხოვოს ა.-კ. სახკომსაბჭოს გაიღოს მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან ბრძოლის ღონისძიებათა გასატარებლათ საჭირო სახსარი 120.000 მან. რაოდენობით.

სას.-სამ. კოოპერაციის დავალიანების პროლონგაციის მომწესრიგებელი კომისია

ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დადგენილების თანახმად დაარსდა საქართველოს სას.-სამ. კოოპერაციის მოკლევადიანი დავალიანების გრძელვადიან დავალიანებად პროლონგაციის საქმის მომწესრიგებელი კომისია ამხ. მარქაროვის (მ.-გ. ინსპექცია), ფეხიაშვილის (სახელმწიფო ბანკი), ბორტნიანსკის (კოოპ. ბანკი), ქომაძის (ფინსახკომი), კ. კაკაბაძის (სოფ. კავშირი), და დ. თოფურიძის (საგ.-კომისია) შემადგენლობით.

საქართველოს კოოპერატიულ საბჭოს შესანახი ხარჯების შესახებ

სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა წინადადება მიეცეს სათანადო კოოპერატიულ ცენტრებს თავის დროზე შეიტანონ საქართველოს კოოპერატიული საბჭოს შესანახად დაწესებული გადასახადი.

საუწყებათაშორისო მეტრიული კომისიის და ზომა-წონის პალატის გაერთიანება

სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ საჭიროთ სცნო ს. მ. უ. საბჭოსთან არსებული ზომა-წონის პალატისა და საუწყებათაშორისო მეტრიული კომისიის გაერთიანება.

ამხ. ზ. ტრაპაიძის დანიშვნა

სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულ სხდომის დადგენილებით ამხ. ზ. ტრაპაიძე დაინიშნა ფინსახკომის კოლეგიის წევრად.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

სააქციო საზოგადოებათა წესდებების დამტკიცება

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ და უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დააწესეს ორგანოების კომპეტენცია ამიერ-კავკასიაში არსებულ სააქციო საზოგადოებების წესდებებში შესატან ცვლილებათა დამტკიცების დარგში.

ამიერ-კავკ. სახალხო კომისარიატის კომპეტენციაში შედის შემდეგი ორგანიზაციების წესდებათა ცვლილებების დამტკიცება: „ზაქელმაში“, „ზაქტივგა“, „ზაქსიატორგი“, „ზაკუტილსირიე“, „ზაკავტოპრომტორგი“ და „ზაკკოჟზი“.

ამიერ-კავკ. ფინსახკომი ამტკიცებს ამიერ-კავკ. სას.-სამეურნეო ბანკის, აზერბეიჯანის, აჭარისტანის და სომხეთის სას.-სამეურნეო ბანკების წესდებათა ცვლილებებს.

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაის“ და სახკინმრეწვის წესდებათა ცვლილებებს ამტკიცებს ამიერ-კავკ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

„ზაკტაბტორგი“, „ზაკუტილსირიე“ და „ზაკავტოპრომტორგი“ ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში; საქართველოს სახკინმრეწვი—საქართველოს ს.მ.უ.ს. გამგებლობაში და სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“—საქ. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში.

შეღავათები შორეულ ადგილებში მომუშავეთათვის

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ საბჭოთა კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება საბჭოთა კავშირის შორეულ ადგილების სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებათა მომუშავეთა შეღავათების შესახებ გაავრცელა მხოლოდ იმ მუშაკებზე, რომლებიც გადაჰყავთ ან ახლად იწვევენ შორეულ ადგილებში სამუშაოდ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დედა-ქალაქებიდან (თბილისი, ბაქო, ერევანი).

მიწის ნაკვეთების გამოყოფა

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე აუცილებლად იქნა ცნობილი აღკრძალვის წარმოების მიწის ნაკვეთების გამოყოფა თავის მუშა-მოსამსახურეებისათვის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში. დანარჩენ რაიონებში, სადაც არის წვრილი წარმოებები, ნაკვეთების გამოყოფა სახლების ასაშენებლად შესაძლებელია გამონაკლისის სახით. უკანასკნელ შემთხვევაში საკითხს სწყვეტენ თვითონ რესპუბლიკები.

საამშენებლო სეზონისათვის

თათბირი საამშენებლო მასალის დამზადების შესახებ

თბილისის აღმასკომში ამხ. ივანოვ-კავკასიელის თავმჯდომარეობით შედგა სპეციალური თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა საამშენებლო მასალების დამზადებისა და თავის დროზე განაწილების საკითხები.

თათბირს დაესწრნენ თბ. აღმასკომის და თბილისის სხვადასხვა სამეურნეო დაწესებულებების წარმომადგენლები.

თათბირზე გამოირკვა, რომ თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის კეთილ-მოწყობის განყოფილებას, საბინაო კოოპერატიულ კავშირს და სააქციო საზოგადოება „სამშენს“ გაზაფხულის საამშენებლო სეზონში ესაჭიროება 566 ვაგონი ხე-ტყის მასალა, 6.795.000 ცალი აგური, 69 ვაგონი რკინა, 106 ვაგონი ცემენტი, 26 ვაგონი „პემზა“, 1400 ტონა კირი, 3—4 ვაგონი ოლიფა, 17 ვაგონი ნახევარ-ფაბრიკატები და სხვა საამშენებლო მასალა. საჭიროა აგრეთვე სილა, ხრეში და სხ.

საამშენებლო სეზონის განმავლობაში თბილისში ყოველდღიურად საჭირო იქნება 868 კვალიფიკაციური მუშა-კალატოზი, დურგალი და სხვა.

თათბირზე წარმოდგენილი ცნობებით, თბილისი 80 პროცენტით მომარაგებულია საჭირო საამშენებლო მასალით.

თათბირმა დაადგინა: დაევალოს სათანადო ორგანიზაციებს მიიღონ შესაფერი ზომები თბილისის საამშენებლო მასალით სავსებით უზრუნველსაყოფად.

კრედიტები საბინაო მშენებლობისათვის

საბინაო მშენებლობის გასაძლიერებლად საჭირო კრედიტების გაცემის შესახებ ჩვენს თანამშრომელს კომუნალურ ბანკში აცნობეს შემდეგი: წელს საქართველოს რესპუბლიკანური კომუნალური ბანკი საბინაო მშენებლობის გასაძლიერებლად მთელ რესპუბლიკაში სესხად გასცემს 2.500.000 მანეთს. აქედან 2 მილიონი მიღებული იქნება ცენტრალური საკავშირო კომუნალური ბანკის საშუალებიდან, ხოლო 500.000 მანეთს გასცემს საქ. კომუნალური ბანკი—საკუთარი სახსრებიდან.

ცენტრალური საკავშირო კომუნალური ბანკიდან მიღებულ 2 მილიონის ანგარიშში საბინაო მშენებლობაზე წელს გაცემული იქნება—1.125.000 მანეთი, აქედან 870 ათასი მანეთი სესხად მიეცემა ადგილობრივ აღმასკომებს, 195 ათასი—საბინაო-საამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობებს, ხოლო 150 ათასი—ადგილობრივ მნიშვნელობის სამრეწველო დაწესებულებებს—მუშათა სახლების ასაგებათ. დანარჩენი 450.000 გადაეცემა საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რომელიც ამ თანხით სამრეწველო რაიონებში გააფართოებს მუშათა საბინაო მშენებლობის საქმეს.

გარდა ამისა საკავშირო ცენტრალური კომუნალური ბანკიდან წელს საქართველოში კომუნალური მშენებლობისათვის მიღებული იქნება 375.000 მანეთი.

საქართველოს რესპუბლიკანური კომუნალური ბანკი რესპუბლიკაში საბინაო მშენებლობისათვის სესხად გასცემს ნახევარ მილიონ მანეთს.

ყველა ეს თანხები გაცემული იქნება მიმდინარე წლის განმავლობაში. 15 აპრილამდე გაცემული იქნება მთელი თანხის 30 პროცენტი—800.000 მანეთი. დანარჩენი თანხები გაცემული იქნება მოთხოვნილების მიხედვით.

ზაჰესის ენერგიაზე გადასვლა

თბილისის ფაბრიკა-ქარხნების და წარმოებების ზაჰესის ენერგიაზე გადამყვანი კომისიის ცნობით, ამჟამად უკვე დასრულებულია 1-ლი და მე-5 სტამბების გადაყვანა ზაჰესის ენერგიაზე. დასრულდა აგრეთვე მე-2 თამბაქოს ფაბრიკის მოწყობა ზაჰესის ენერგიის მისაღებად. ფაბრიკა ამჟამად მუშაობს ზაჰესის ენერგიით.

ტრამვაის გადასაყვანათ საჭირო ელექტრო მოწყობილობა სრულადაა მიღებული გერმანიიდან. აღნიშნულ მოწყობილობათა დადგმის დასაჩქარებლად და მონტაჟის სწრაფი ტემპით წარმოების მიზნით ტრამვაი დროებით გამოცალკევებულია ზაჰესის ქსელიდან და ამჟამად იგი მთლიანად გადაყვანილია საკუთარ სადგურის ენერგიაზე. მოწყობილობათა მონტაჟის დასრულება ნავარაუდევია 1-ლი აპრილისათვის. ამავე დღიდან ტრამვაი მთლიანად გადავა ზაჰესის დენზე.

დანარჩენ წარმოებათა გადასაყვანათ მოწყობილობის დადგმა ყველგან ინტენსიურად მიდის.

ბავშვთა მიღების წესები

სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში

სკოლის ასაკამდე აღზრდის მთავარ-მმართველობამ შეიმუშავა სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში ბავშთა მიღების ახალი წესები.

ამ წესების მიხედვით სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში პირველ რიგში მიღებული იქნება ფიზიკურათ მომუშავეთა, წითელ-არმიელების და ღარიბ გლეხების შვილები. მეორე რიგში მიღებული იქნება განათლების და სხვა კავშირის იმ წევრების შვილები, რომელთა თვიური ხელფასი არ აღემატება 40 მანეთს.

შემდეგ მიღებული იქნება დანარჩენ კავშირების წევრთა შვილები.

წარმოებებთან არსებულ სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში პირველ რიგში დაშვებული იქნება მხოლოდ იმავე წარმოების მუშების შვილები.

ამ დაწესებულებებში (ბაღებში, კერებში, საბავშვო სახლებთან არსებულ საბავშვო ბაღებში და სხ.) მიიღებენ მხოლოდ 4-5 წლის ბავშვებს.

ადგილობრივ განათლების განყოფილების ინსპექტორებს წინადადება ეძლევა სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში თავისუფალ ადგილების რიცხვი გამოარკვიონ იმ ვარაუდით, რომ ბავშთა რიცხვი არ აღემატებოდეს თვითეულ დაწესებულებაში დადგენილ ნორმას—50 ბავშვს.

განცხადებების მიღება იწარმოებს 25 აგვისტოდან. ბაღებში მიღებამდე ბავშვების ჯანმრთელობა შემოწმებული უნდა იქნეს სპეციალისტ ექიმების მიერ.

ბავშვების მიღებას აწარმოებს საბავშვო ბაღების საბჭო, რომელშიაც შედიან საზოგადოებრივი და პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ეს წესები სახელმძღვანელოთ დაეგზავნა ყველა საბავშვო ბაღებს და ადგილობრივ სახალხო განათლების განყოფილებებს.

გახურებული შანთი

მთვრალი მემანქანეები

რკინის გზის წარმოშობა-განვითარების ისტორია გადმოგვცემს, რომ მატარებლის შემოღების პირველ ხანებში, მოსახლეობა გაურბოდა რკინის გზით სარგებლობას, რადგან ეშინოდა უბედური შემთხვევებისა. ეხლა, როცა ამერიკიდან ევროპაში დაფრინავდენ და მატარებელში ისე გრძნობდენ თავს, როგორც საკუთარ სახლში, ასეთი რამ სასაცილოდაც არ გვყოფნის. მაგრამ... თქვენ წარმოიდგინეთ, საქმიანი იცნობდე ზოგიერთ მემანქანის ზნე-ჩვეულებას, რომ მატარებლით მოგზაურობას აქლემებზე ჯდომა არჩიო.

მემანქანეებს ყველაზე მეტად მოეთხოვება მუშაობის დროს განსაკუთრებული სიფხიზლე და წინდახედულობა. ჩვენდა სამწუხაროდ, აქ შეხვდებით ისეთებს, რომელნიც ხშირად ივიწყებენ მთელ იმ პასუხისმგებლობას, რომელსაც მათ საქმე აკისრებს და რომელნიც თავის მოვალეობის ასრულების დროს თავდავიწყებით ეძლევიან „ნუნუას ნექტარს“. იმისათვის, რომ არავინ იფიქროს, თითქოს აქ ლაპარაკია საზოგადოდ მემანქანეებზე და არა რომელიმე პირზე, სჯობს კონკრეტულ ფაქტებზე გადავიდეთ.

აი, მაგალითად თბილისის [illegible] ძველი მემანქანე კორნიევი. კაცს ღვინოში სული მისდის. იმაზე კი არ ფიქრობს, თუ რა შედეგი მოაქვს ამას მისთვის, საზოგადოებისა და რკინის გზებისათვის. ის არა ერთხელ იყო შემჩნეული ლოთობაში სამსახურის ასრულების დროს. ბევრი საყვედურიც მიიღო ამისათვის, რკინის გზაც ბევრჯერ აზარალა, მაგრამ თავისას მაინც არ იშლის. ამას წინად, როდესაც მისი ორთქლმავალი [illegible] წყალს იღებდა სადგურ სადახლოში და შულავერში, კორნიევი ღვინოს „იღებდა“ ამავე სადგურების სამიკიტნოებში, რის გაი-ვაგლახით მოიყვანა მან მატარებელი ნავთლუღამდი. მაგრამ აქ უკვე ღვინომ თავისი გაიტანა. კორნიევს ტკბილად ჩაეძინა ორთქლმავალზე, როცა ის ნავთლუღიდან თბილისისაკენ მომავალ მატარებელს მიაქანებდა უკვე მიმყოლად, მატარებელი [illegible] და მათ მოძრაობა შეაფერხა.

კორნიევს ჰყავს თავისი ტოლები. პირველი მათგანი არის მემანქანე ბელსკი, რომელიც არაერთხელ იქნა დასჯილი ლოთობისათვის, მაგრამ ეს მას ოდნავადაც არ აწუხებს. სიფხიზლეში ბელსკი დიდებული ამხანაგია, მაგრამ, თუ დალია, ცა ქუდად აღარ მიაჩნია და ორთქლმავალი ჯაგლაგ ცხენად.

გარდა ამისა, ამას წინად განჯის მემანქანე ლუნიცკიმ სიმთვრალის გამო სადგურ [illegible] 5 ადგილას [illegible] მატარებელი და დიდი ზარალი მიაყენა რკინის გზას.

ჯერ-ჯერობით ამ საქმით დავკმაყოფილდებით. შემდეგ კი, თუ ორთქლმავლის ზოგიერთ მუშაკებმა სიმთვრალე არ მოიშალეს, კიდევ მეტს დავწერთ მათ გახურებულ „შანთი“. ამხანაგებო, განჯაში ახლად გადაყვანილი მემანქანეები მეტად დაახლოვებიან „განჯელს“-ილ. ცნობით, ვინძლო ისინი გახდნენ „გახურებული 'შანთი'“-ს განყოფილების შემდეგ სტუმრები.

დუღაბი.

ხეთელი შტეინახი გოგია

თუ კი რომელიმე თემაღმასკომის თავმჯდომარეს შეუძლია თავი იქოს ენერგიული მუშაობით და საქმის ცოდნით, ცხადია ხეთის აღმასკომის თავმჯდომარე გოგიას ამის სრული უფლება აქვს. გოგია ყველაფერში მაგალითის კაცია. მას არ უყვარს პრტყელ-პრტყელი ლაპარაკი თავმჯდომარის მოვალეობის შესახებ. ის პირდაპირ საქმით იწყებს და ისიც ისე, რომ პირად მაგალითით უჩვენოს ყველას, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს სოფლის კეთილმოწყობა.

იყო მაგალითად თემში საზოგადოების საკუთრება—უპატრონოთ დაყრილი ხის მასალა. გაუჩნდა ფიცრებს იშვიათი მზრუნველი გოგიას სახით, რომელმაც ეს მასალა წაიღო სოფელ ნალანგერში, სადაც ისეთი სახლი გააკეთა თავისთვის, რომლის მსგავსი თემში არც კი მოიპოვება; კარგ სახლს კარგი ლაფშა ცხენი დაშვენდება, თავმჯდომარემაც ადვილად შეიძინა ცხენი თავის აფხაზური უნაგირით ვინმე ფაქარ ბუკიასაგან, რომელსაც 400 მანეთი მისცა.

საოცარი იყო გლეხებისათვის გოგიას ამგვარი სწრაფი დაწინაურება ოჯახის კეთილმოწყობის მხრივ. საიდან, როგორ, რა სახსარით? ეკითხებოდნენ ისინი ერთმანეთს. პასუხს დიდი ძებნა არც კი სჭირდებოდა: ყველამ იცოდა, რომ აქ რაღაც სუფთა საქმე არ იყო, ხოლო ბევრმა არ იცოდა, თუ [illegible] საიდან და როგორ ახერხებდა გოგია თავის პირადი საქმეების ასე მოკვარახჭინებას.

საქმით დაინტერესდა პროკურატურა, რომელმაც ადვილად ახადა ყველაფერს ფარდა. გამოირკვა, რომ ტყუილა დახარჯულა ამდენი მელანი და ქაღალდი ადამიანის გაახალგაზრდავების საშუალების გამოსაძებნად. ვინ შტეინახი, რა შინაგან სეკრეციების თეორია! თურმე ნიჭი აგერ ცხვირწინ გველუპება, თურმე ხეთის აღმასკომში რა ტალანტი იკარგება! აბა, გოგიას ჰკითხეთ თქვენ კაცის გაჯეელება. თუ კი კულაკს ან ყოფილ აზნაურს ჯარში სამსახურიდან თავის დაძვრენა უნდა, მოვიდეს გოგიასთან. ისე გაჩარხავს საქმეს, ჩვენი თავმჯდომარე, რომ უმალ ცხენის წყალი აღმა დაიწყებს დენას, ვიდრე ასეთ კაცს ჯარში გაწვევის ასაკი შეუსრულდება. მარტივი საშუალებით მუშაობს გოგია. აღმასკომის ბეჭედი და მისი ჯანი, მხოლოდ ერთი პირობით, მიართვით თავმჯდომარეს „ხელის ჭუჭყათ“ ცოტა რამ. ამნაირი წესით აღმასკომის თავმჯდომარემ გაანთავისუფლა ჯარში სამსახურიდან კულაკ იპოლიტე მიქავას და ყოფილ აზნაურ ბათუ კობახიძის შვილები.

ჩვენ აღარ გავაგრძელებთ გოგიას კაიბიჭობაზე ლაპარაკს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ის ამ ბოროტმოქმედებათა გამო არა ერთხელ ყოფილა მიცემული პასუხისგებაში, მიუხედავად ამისა, მაინც განაგრძობს აღმასკომის თავმჯდომარეთ ყოფნას. რით უნდა ავხსნათ ეს? ნუ თუ ხეთის გლეხებს მზე გოგიაზე ამოუდით?

გაცნობილი.

რა გამოირკვა

გაზეთ „კომუნისტი“-ს № 67-ში მოთავსებულ წერილის „აქაც საჭიროა რკინის ცოცხი“ შესახებ გაცნობებთ, რომ წესის ფ. ტ. განყოფილების გამგე გომელაური დაუდევრობისათვის და სახაზინო ფულების გაფლანგვისათვის სამსახურიდან მოხსნილია და პასუხისგებაშია მიცემული.

ფ.-ტელ. უფროსი ინსპექტორი მაზუკიანი.

ქუთაისი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

წყალდიდობის წინააღმდეგ

მოსალოდნელი წყალდიდობის წინააღმდეგ ქ. ქუთაისსა და ქუთაისის მაზრაში ბრძოლის საწარმოებლად დაარსდა სამაზრო საგანგებო სამეული, რომელშიაც შედიან: აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ლომთაძე (სამეულის თავმჯდომარე), მილიციის უფროსი ვ. სოფრომაძე და წყალთა ოლქის გამგე ინჟინერი ზ. ბიჭაშვილი. ხსენებული სამეულის სხდომაზე, რომელსაც დაესწრნენ აგრეთვე: აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ნ. კაკაბაძე, საქართველოს წყალთა სამმართველოს წარმომადგენელი ინჟ. ჯაფარიძე და გზატკეცილების ქუთაისის დისტანციის უფროსი ამხ. ტატიშვილი,—შემუშავებულ იქნა შემდეგი ღონისძიებანი, რომელიც პირველ რიგში უნდა იქნას მიღებული მოსალოდნელი წყალდიდობის წინააღმდეგ.

ა) ხოფ. ვარციხის დასავლეთი ნაწილის 18 [illegible], რომელთაც წყალდიდობისაგან საფრთხე მოელით, რადგან იქ სასწრაფო პრაქტიკული ღონისძიების მიღება უშედეგო იქნება, საორგანიზაციო განყოფილების მიერ აღმოუჩინოს საჭირო დახმარება სხვა ადგილას გადასასახლებლად.

ბ) ს. სარბალევსა და ბაღდადში საჭირო ზომების მისაღებად დაინიშნოს სამეულის რწმუნებულად ვ. სოფრომაძე, ტექნიკური ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის გასაწევად—ტექნიკოსი კვინიკაძე და ერთი ათისთავი.

გ) ქ. ქუთაისში კახიანურის უბანში ტექნიკური ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა დაევალოს წყალთა ოლქის გამგეს.

დ) სოფ. მათხოჯში სამეულის რწმუნებულად და შრომის ბეგარის ჩამტარებელ ხელმძღვანელად დაინიშნონ ვ. წიგწივაძე და გ. ნადარეიშვილი; ტექნიკურ ხელმძღვანელ-ზედამხედველად—ტექნიკოსი ცომაია და 1 ათისთავი.

ე) ქ. სამტრედიაში სამეულის რწმუნებულად—ნ. გეგია, რომელსაც მიენდო ტექნიკურ-ხელმძღვანელ-ზედამხედველად ერთი ტექნიკოსის მოწვევა;

ვ) სოფ. ვანსა და ბაშში სამეულის რწმუნებულად დაინიშნოს ვ. ჩოგოვაძე, ტექნიკურ ზედამხედველად—ათისთავი ვატარმასოვსკი.

ზ) ლანჩ.-ჩოგანში—პასუხისმგებელ ხელმძღვანელად—რწმუნებულად ვ. წიგწივაძე, ტექნიკოს ხელმძღვანელად გეგუჩაძე.

ამასთან ერთად საორგანიზაციო განყოფილებას დაევალა დაუყოვნებლივ მოაწყოს სათემო სამეულები.

ყოველ სამუშაოების თავის დროზე შესასრულებლად საჭირო ტექნიკური ხელმძღვანელობა-ზედამხედველობა და პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს წყალთა ოლქის გამგეს ინჟ. ბიჭაშვილს; ადგილებზე წყალდიდობას წინააღმდეგ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება და აგრეთვე შრომის ბეგარის ჩასატარებლად საჭირო ხელმძღვანელობა დავალებული აქვთ სამეულის რწმუნებულებსა და საორგანიზაციო განყოფილებას.

წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის დასაწყებად პირველ რიგში სამეულმა გამოითხოვა წყალთა სამმართველოდან 3.000 (სამი ათასი) მანეთი.

18 მარტიდან უკვე დაიწყო პრაქტიკული მუშაობა.

დ. ბ—ი.

ქრონიკა

„რღვევა“ კავშირის წევრთათვის.

23 მარტს, ქალაქის თეატრში მეხუთეჯერ დაიდგა ლავრენიევის ცნობილი პიესა „რღვევა“ კავშირის წევრთათვის. ადგილების ფასები 50 პროცენტით იყო დაკლებული.

წითელი ჯვრის ქუთაისის კომიტეტში

წითელი ჯვრის საზოგადოების ქუთაისის კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ალ. ყარანაშვილი.

აგიტაცია-პროპაგანდა სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის

სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია წარმოადგენს პარტიის გენერალურ ხაზს სოფლად მუშაობის დარგში. ეს ამოცანა მოითხოვს საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის სათანადოთ შეცვლას, როგორც სოფლად, ისე ქალაქის ცხოვრების იმ დარგებში, რომელთაც კავშირი აქვთ სოფელთან.

სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის აგიტაცია-პროპაგანდის წარმოების დროს, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ქალაქში ინდუსტრიალიზაციისათვის წარმოებული მუშაობის გამოცდილება: პირველად მუშებს უხსნიდენ საკითხის პრინციპიალურ მხარეს—ინდუსტრიალიზაციას, როგორც სოციალიზმისაკენ მსვლელობის გენერალურ ხაზს, როგორც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობის აგრარულ დამატებად გადაქცევისაგან გადარჩენის საშუალებას; შემდეგ იმართებოდა მსჯელობა ცალკე მომენტებზე—მომუშავეთა რეჟიმზე, ფაბრიკის დაკლებაზე, წარმოების რაციონალიზაციაზე და სხ. არკვევდენ მუშათა მასებისა და მასიური ორგანიზაციების როლს, კულტურული დონის ზრდის, საწარმოო კვალიფიკაციისა და მასების აქტივობის მნიშვნელობას და სხ. აგიტაცია წარმოებდა სხვადასხვა საშუალებით—პრესით, [illegible], კინოს, რადიოსა და მოხსენებების საშუალებებით.

გლეხურ მასებში, მათი შედარებით კულტურული, პოლიტიკური ჩამორჩენილობისა, თავისებური აზროვნებისა, კონსერვატიზმის ინერციის ძალისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ძველი ფორმების ზეგავლენის გამო,—აგიტაცია-პროპაგანდა სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის უნდა სწარმოებდეს უფრო დაბეჯითებით, მედგრად, სისტემატიურად, დამაჯერებლად და თვალსაჩინოდ. გლეხობამ ნათლად უნდა შეიგნოს წვრილ დაქსაქსულ ჩამორჩენილ მეურნეობის ნაკლი და მსხვილ, კოლექტიურ, მანქანების საშუალებით წარმოებულ მეურნეობის უპირატესობა. ამ შემთხვევაში ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ამხ. ლენინის ძირითადი მითითება აგიტაციის შესახებ: „აგიტაცია უნდა წარმოებდეს, უფრო კონკრეტულად, თვალსაჩინოდ და პრაქტიკულად, რათა ის გასაგები გახდეს“. საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის შინაარსს უნდა წარმოადგენდეს შემდეგი მომენტები: კოლექტივიზაცია—გამარტივებულ უნდა იქნეს, როგორც სასოფლო მეურნეობის განვითარებისა და გლეხობის კეთილდღეობის გაუმჯობესების სწრაფი და საიმედო საშუალება, როგორც ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხების ფართო მასების ხელმოკლე მდგომარეობიდან თავის დაღწევის საშუალება, როგორც სოფლის სოციალიზმისაკენ მსვლელობის გზა, როგორც მუშათა კლასთან ეკონომიური კავშირის განმტკიცების საშუალება.

მთელი კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა სოფლად უნდა შეეგუოს კოლექტივიზაციისათვის წარმოებულ ხანგრძლივ აგიტაციას, ყველა ორგანოებმა და ორგანიზაციებმა ამისდა მიხედვით უნდა შეცვალონ თავიანთ მუშაობის შინაარსი და მეთოდიკა, ყველა მუშაკებმა უნდა შეიგნონ კოლექტივიზაციის მნიშვნელობა და აუცილებლობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სასოფლო მეურნეობის გარდასაქმნელად. რათა გლეხები დარწმუნდნენ სასოფლო მეურნეობის კოლექტიურ ფორმებზე გადასვლის აუცილებლობაში, საჭიროა, რომ კოლექტივიზაციის იდეა შეიგნონ სოფლის მოწინავე ფენებმა, რომლებიც გავლენას ახდენენ სოფლის საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე. სოფლის აქტივში, როგორც ვიცით, შედიან სოფლის პარტიულები და კომკავშირელები, ქალთა დელეგატები, მოწინავე გლეხები—საზოგადო მუშაკები (რომლებიც აწარმოებენ კულტურულ მეურნეობას, აქტიურობენ საზოგადოებრივ მუშაობაში და სხ.), შემდეგ წითელარმიელები და სოფლის ინტელიგენცია. ამ აქტივის შეგნებაში საამისოდ შრომის იდეის განსამტკიცებლად საჭიროა სპეციალური კრებების, მაგალითად, მასწავლებლებისა და აგრონომების კრებების მოწყობა, მოწინავეებისა და სპეციალური ლიტერატურის გამოცემა და მოხსენებების წაკითხვა ასეთ თემებზე: სასოფ. მეურნეობის კოლექტივიზაციის ამოცანები და მიზნები, მისი მნიშვნელობა, სოფლის აქტივის ამოცანები კოლექტივიზაციის საქმეში და სხ. ამ მიზნით საჭიროა მასწავლებელთა და აგრონომების კრებების, კონფერენციების, საზაფხულო გადამზადებელ კურსების და მასწავლებელთა პრესის გამოყენება. პარტიულებსა და კომკავშირელებს შორის, მათი კომუნისტური აღზრდის გამო, ამოცანა მნიშვნელოვნად ადვილდება, მაგრამ კოლექტიურ მეურნეობის ფორმებზე გადასვლის საკითხის დამუშავება მაინც საჭიროა პარტ. და კომკავშ. კრებებზე, სტაციონალურ სკოლებში და კომკავშირის კითხვის წრეებში, ამასთანავე კოლექტივიზაციის აუცილებლობის ფაქტებისა და მაგალითების აღება საჭიროა ამა თუ იმ რაიონის გლეხების ცხოვრებიდან, მაზრისა ან თემის სასოფლო მეურნეობის დარგიდან, რათა პარტიულები და კომკავშირელები შეიარაღდენ თვალსაჩინო და დამაჯერებელი არგუმენტებით.

მას შემდეგ, რაც სოფლის მოწინავე რაზმი კარგად დაამუშავებს და შეითვისებს კოლექტივიზაციის ამოცანებს, აუცილებლობას და ამ საკითხზე აგიტაცია-პროპაგანდის წარმოების მეთოდებს,—გლეხებს შორის უნდა გაჩაღდეს სისტემატიური და ხანგრძლივი აგიტაცია-პროპაგანდა. საჭიროა გვახსოვდეს ამხ. მოლოტოვის სიტყვები, წარმოთქმული მე-15 პარტყრილობაზე: „ახალი ამოცანების განხორციელების დროს სოფლად ჩვენ უნდა დავიცვათ შემდეგი წესი: „არავითარი ფანტაზიები სოფლის მიმართ, არავითარი ფანტაზიები მსხვილ კოლექტიურ მეურნეობის განვითარების საქმეში სოფლად; არავითარი იძულება, არავითარი გამომწვევლობა.. მსხვილი კოლექტიური გლეხურ მეურნეობის განვითარების გზაზე შემდგარმა პროლეტარიატმა სახელმწიფომ უნდა მიმართოს დარწმუნებისა და წაქეზების საშუალებას—აი, ჩვენი მეთოდი სოფლის კოლექტივიზაციის საქმეში“.

აგიტაცია-პროპაგანდას კოლექტივიზაციისათვის აქვს არა სასწრაფო კამპანიის, არამედ ყოველდღიური და სისტემატიური კამპანიის ხასიათი. ხშირად ეს კამპანია მიზნად უნდა ისახავდეს გაცნობილ გლეხების დარწმუნებას კოლექტივიზაციის სარგებლობასა და აუცილებლობაში. აგიტაცია შეიძლება წარმოებდეს სხვადასხვა სახით—ვიზუალური აგიტაციით, მასიური მოხსენებებით, საუბრებით, ლექციებით და მხატვრული აგიტაციის სახით, კინოთი, რადიოთი და სხ. აგიტაციას უნდა აწარმოებდენ სოფლის ყველა მოწინავე ელემენტები, ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში და ამ მიზნით უნდა გამოიყენონ ყოველგვარი ფაქტები და შემთხვევები, რათა გამოაფხიზლონ გლეხი, რომელიც შებოჭილია ძველი შეხედულებებით და რომელიც ყოველგვარ ახალ საზოგადოებრივ-კოლექტიურ საქმეს უნდობლობით უყურებს.

როგორია კოლექტივიზაციის იდეის აგიტაცია-პროპაგანდის ფორმები და მეთოდები? პირველ ადგილზე ჩვენ უნდა დავაყენოთ კინო,—„კომუნისტური აღზრდისა და აგიტაციის ეს ძლიერი იარაღი“, ვინაიდან კინო ყველაზე უფრო დამაჯერებელი, თვალსაჩინო და ძალზედ გასაგებია წერა-კითხვის უცოდინარ გლეხისათვისაც კი. საჭიროა მოკლე, მარტივ და ადვილად გასაგებ კინო-სურათების გამოშვება სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის თემაზე, ამასთანავე ერთად აუცილებელია საქართველოსა და საერთოდ ამიერ-კავკასიაში არსებულ კოლექტიურ მეურნეობათა, არტელებისა და კომუნების მუშაობის, ყოფა-ცხოვრების და მიღწევების გადაღება. [illegible] არის მთელი რიგი კულტურული კოლექტიური მეურნეობანი და კომუნები, რომლებიც, მთავრობის სუბსიდიებისა და კრედიტის დაუხმარებლად, საკუთარი ინიციატივით და შემოქმედების წყალობით დიდი მიღწევები აქვთ მეურნეობის მანქანებით წარმოების, მოსავლიანობის გადიდებისა და თავისი წევრების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში. აი, ამ კოლექტივების მიღწევათა ასახვას კინო-სურათებზე და მათ ჩვენებას ჩვენი გლეხობისათვის ექნება დიდი საგიტაციო მნიშვნელობა. ამ მიღწევათა ფონზე უნდა შეიქმნას კარგი კინო-სურათები. საჭიროა აგრეთვე, რომ სოფლად გაგზავნილ აგრონომიულ სურათების წარმოებას ექნეს საგიტაციო ხასიათი, ასეთი სურათების ჩვენების დაწყებამდე და დათავების შემდეგ, უნდა მოეწყოს ადგილობრივი აგრონომების საუბრები, აგრონომებმა უნდა მოუწოდონ გლეხებს გაერთიანდენ და შექმნან ამხანაგობანი, არტელები და კომუნები (ცხადია, რომ ეს აგიტაცია კოლექტივიზაციისათვის უნდა შეუთანხმდეს სამაზრო და ადგილობრივ პარტორგანიზაციების იმ გეგმას, რომელიც მიზნათ ისახავს კოლექტივების განვითარებას.) სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის ეს ამოცანები სახკინმრეწვს ახლავე „სოციალური დაკვეთა“ და სურათები საჭირო და ხელსაყრელი იქნება „როგორც კლასობრივ, ისე სალაროს თვალსაზრისით“.

გლეხურ მასებზე ზეგავლენის მეორე საშუალებას წარმოადგენს მხატვრული მუშაობა. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ჩვენ არავითარი მხატვრული მასალა არა გვაქვს კოლექტიურ მეურნ. მუშაობის შესახებ. საქართველოსა და საბჭ. კავშირის სხვა ნაწილების კოლმეურნეობათა მშენებლობის შედარებით დიდმა და ხანგრძლივმა გამოცდილებამ, პარტიის უკანასკნელმა გადაწყვეტილებამ სოფლის განვითარების გენერალური ხაზის შესახებ და სოფლად სოციალიზმის ამ კერების შექმნისაკენ მოწოდებამ,—საქართველოს მწერლებისა და პოეტების შემოქმედებაში ჯერ-ჯერობით გამოძახილი ვერ ჰპოვა. ჩემი აზრით, აქ დიდი ასპარეზი იშლება შემოქმედებისათვის, აქ არის დაუსრულებელი თემები კომუნისტურ რევოლიუციური პათოსისათვის, სოციალისტური მშენებლობის პათოსისათვის. მშრომელი მასის დახსნა მძიმე მუშაობისაგან, ბურჟუაზიულ და მეშჩანურ ჭაობში ჩაფლობილ წვრილ მესაკუთრე გლეხის კოლექტივისტ ადამიანად გადაქცევა, გლეხის თანდათანობით განთავისუფლება ცრუმორწმუნეობისაგან, მისთვის კულტურულ-მატერიალური განვითარების პირობების შექმნა,—სოციალიზმის ელემენტების ეს გამარჯვება,—აი, რა უნდა აღფრთოვანებდეს ჩვენ მწერლებს (განსაკუთრებით პროლეტარულ მწერლებს). მიეცით გლეხს შეხედულება, რომ მან მხატვრულად განიცადოს და შეიგნოს ყველა ის უპირატესობა, რომელიც აქვს კოლექტიურ, შეერთებულ-ამხანაგურ მუშაობას. ამას მოითხოვს პარტიის უკანასკნელი გადაწყვეტილება, ამას მოითხოვს გლეხური მასა.

ურიგო არ იქნებოდა, რომ ჩვენს პროლეტარულ მწერლებს ცოცხლად და მხატვრულად აეწერათ კომუნების ყოფა-ცხოვრება, კოლექტივების მუშაობა და სხვ. საერთოდ საჭიროა, რომ სასწრაფოდ შედგენილ და გამოცემულ იქნას სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ მხატვრული მასალების კრებული (საქართველოს კომპარტიის ც. კ.-ის უკანასკნელი პლენუმის იმ დადგენილებათა მიხედვით, რომლებიც შეეხება კერძოდ მხატვრულ მუშაობას სოფლად). ეს მხატვრული ნაწარმოებები (მოკლე ლექსები, მოთხრობები, ამბები) მშვენიერი მასალად გამოდგება სისტემატიური კითხვის მოსაწყობად სოფლად.

უნდა გამოვიყენოთ (და საამისოდ შევქმნათ რიგიანად შედგენილი, სახალისო და საკმაოდ მხატვრული სცენები) უკვე აღორძინებული და გლეხთა შორის ინტერესის აღმძვრელი აგრონომიული სასამართლოები, მაგალითად, გლეხის გასამართლება, რომელიც თავისი შეუგნებლობის წყალობით სამანქანო ამხანაგობაში არ შედის, კოლექტივის, კომუნის ცუდი, დაუდევარი წევრის გასამართლება და სხვა.

სისტემატიურად უნდა მოეწყოს რიგიანად მომზადებული საღამოები შეკითხვებისა და პასუხებისა კოლექტივიზაციის შესახებ (ამ საქმეში უნდა ჩავაბათ აგრონომები, კოოპერატორები, მასწავლებლები, აღმასკომის მუშაკები და სხვანი), სადაც წაკითხულ უნდა იქნას მოხსენება, მოეწყოს ინსცენირება, მხატვრული ნაწარმოებების კითხვა, დეკლამაცია, სიმღერა და სხვა. ასეთი საღამოები შეიძლება გაიმართოს სამკითხველოში, სოფლის სკოლაში, მეტადრე გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებში, სასოფლო-სამეურნეო სკოლებში, ტექნიკუმებში და სხვაგან.

საერთოდ, სამკითხველოებმა, სახალხო სახლებმა, სოფლის კლუბებმა თავისი მუშაობის ძირითად შინაარსად უნდა გადააქციონ კოლექტიური მეურნეობის იდეის აგიტაცია და პროპაგანდა, დაუქვემდებარონ მას მუშაობის ყველა სახე და მეთოდები (საუბარი და კითხვა სამკითხველოში, გლეხებისა, გლეხ-ქალებისა და ახალგაზრდობის შესაკრებ ადგილებში, კედლის გაზეთის შინაარსი, ცნობების მიმწოდებელი მუშაობა, მხატვრული მუშაობა, გაზეთების წერილების კითხვა და სხვ.). ასევე უნდა იმუშაონ სოფლის სასწავლებლებმა—შრომისა და სასოფლო-სამეურნეო სკოლებმა, რომელთა მუშაობა სკოლის გარეშე, საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობა ჯერ კიდევ ძალიან მოიკოჭლებს; მათ აგიტაცია უნდა გასწიონ—სისტემატიურად—კოლექტივიზაციისათვის, სასოფლო მეურნეობის გაძლიერებისათვის, მისი ინდუსტრიალიზაციისათვის.

საამისოდ გამოყენებულ უნდა იქნას კოლექტივიზაციის საღამოები, მოყვარეთა საუბარი, მშობლებთან, სათანადო მასალის კითხვა, გამოფენები და სხვა.

პირველ ყოვლისა, მოწაფეებს უნდა ჩაუნერგოთ ღრმა რწმენა იმის შესახებ, რომ საჭიროა გადასვლა მეურნეობის ახალ, უმაღლეს, მოწინავე, საამხანაგო ფორმებზე, უნდა ჩაუნერგოთ მტკიცე შეგნება, რომ სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია „ერთად-ერთი გზაა სასოფლო მეურნეობის საწარმოო ძალთა ფართოდ განვითარებისათვის“ (მოლოტოვი). რასაკვირველია, ბავშვებისა და ახალგაზრდობის აღზრდა იმ მხრით, რომ მათ შეიგნონ მსხვილი მეურნეობის უპირატესობა, რომ ისინი გამოვიდნენ კოლექტივიზმის, ამხანაგური თანამშრომლობის და სოლიდარული შრომის დამცველები, მებრძოლები და მარჯვე პრაქტიკული მშენებლები, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ თვით „მეთაურთა შემადგენლობა“—მასწავლებლობა სათანადოდ იქნება შეგნებული, თუ მას ექნება შინაგანი რწმენა, მუშაობის სურვილი და მოწადინება, თუ შესაფერად და ჩვენთვის სასურველი მიმართულებით იქნება დაყენებული აღზრდის საქმე.—აქ საკამპანიო მოხსენება, შემთხვევითი საუბარი ან კიდევ საღამოების მოწყობა ბევრს ვერაფერს მოგვცემს; აქ საჭიროა განსაზღვრული, რიგიანად მოფიქრებული და მტკიცედ გატარებული გეგმა, რომელიც მოითხოვს გარკვეული მიზნის დასახვას; აქ ყველაფერი უნდა მოვიცვათ მხედველობაში: აღმზრდელობითი და სასწავლო მხარეც, ბავშთა თვითმოქმედებაც და თვითორგანიზაციაც, მასწავლებლისა, ოჯახისა და გარემოცვის გავლენაც. თვით მათს, ხალხურს, მოწაფეების გართობას, მხატვრულ-ტექნიკურ შემოქმედებასაც განსაზღვრული ხასიათი, ელფერი უნდა მივცეთ, განსაზღვრული კალაპოტისაკენ უნდა მივმართოთ. სხვის მუშაობას, კედლის გაზეთებს, საღამოებს და სხვა ამისთანას იგივე განსაზღვრული გეზი უნდა ჰქონდეს.

სასწავლო მუშაობაშიც სათანადო ცვლილება უნდა მოვახდინოთ: უნდა წარმოიდგინ გამოკვლევა პრაქტიკული მუშაობა სოფლის მეურნეობის კოოპერაციაში გაერთიანებისა, კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის დასაკვირვებლად: კოოპერატიულ პუნქტების, კოლექტივების, კომუნების, საბჭოთა მეურნეობის გამოკვლევა, მათი მდგომარეობის; შემდეგში განვითარების საშუალებათა შესახებ. შესაფერი მხატვრული მასალის შერჩევა და მოწაფეების მხრით; თემების შერჩევა მოხსენებათა გაკეთება კოლექტივიზაციის შესახებ, შესაფერი მხატვრული მასალის შერჩევა, და სხვ. მათემატიკური ამოცანებისათვის შერჩეულ უნდა იქნას მასალა და ციფრები კოლექტივიზაციის დარგიდან, ამ მასალასა და ციფრებში უნდა ჩანდეს მსხვილი მეურნეობის, მანქანებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების უპირატესობა, ადგილობრივი კოლექტივების, კომუნებისა და საბჭოთა მეურნეობის მიღწევა. აგრეთვე მთელ საქართველოში უნდა მოეწყოს მოწაფეების ექსკურსიები კოლექტივების დასათვალიერებლად საკუთარ მაზრაში და მის გარეშე და სხვა. მოკლედ, რომ ვსთქვათ, სკოლის მთელი აღმზრდელობითი და სასწავლო მუშაობა გაჟღენთილი უნდა იყოს ერთი შინაარსით, მას უნდა ჰქონდეს გარკვეული მიზანი: აღზარდოს ახალი კოლექტივისტური სოფლის და მსხვილი მეურნეობის მომზადებული, შეგნებული, რწმენით გამსჭვალული მეომარი და მშენებელი.

სასწავლო მუშაობა უნდა შეიცვალოს აგრეთვე სოფლის პარტიულ-კომკავშირულ სკოლებში, დელეგატთა კრებების მეცადინეობაში, წერა-კითხვის უცოდინარობისა და სუსტი ცოდნის სალიკვიდაციო სკოლებში, ყოველგვარ სახალხო კურსებში, რომლებსაც აწყობენ მიწადმოქმედების კომისარიატი, კოოპერაცია და გლეხკომების ორგანოები. ამ ცვლილების შედეგად უნდა მოხდეს ის, რომ მეცადინეობის პროგრამაში შეტანილ იქნას საგიტაციო-საპროპაგანდო მომენტები კოლექტივიზაციის სასარგებლოდ, გამოყენებულ იქნას სასწავლო მასალა კოლექტივიზაციის იდეათა პოპულარიზაციისათვის, მაგალითად, ექსკურსიები კოლექტივების, კომუნების, საბჭოთა მეურნეობის დასათვალიერებლად, მათი გამოკვლევა, მოხსენებანი მათ შესახებ, პრაქტიკულ ღონისძიებათა განხილვა, კოლექტივიზაციის შესახებ მხატვრული ლიტერატურის კითხვა, მსმენელთა წერითი სამუშაოები და მოხსენებანი კოლექტივიზაციის შესახებ, მსმენელთა მოხსენებისა და საუბართა მოწყობა გლეხთა შორის, მათემატიკური ამოცანები კოლექტივიზაციის პრაქტიკიდან—ადგილობრივი და საქართველოს მასშტაბით. მოკლედ რომ ვსთქვათ, მოზრდილი გლეხს ერთი ან ორი წლის განმავლობაში—სკოლაში ყოფნის დროს—უნდა დავუმტკიცოთ და დავარწმუნოთ იგი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კოლექტივიზაციას სოფლის, სასოფლო მეურნეობის ბედისათვის, გლეხის და გლეხ-ქალის ყოფა-ცხოვრებისათვის, მისი კულტურულ-მატერიალური დონის ამაღლებისათვის, [illegible] ჯაფის შემსუბუქებისათვის და ყოველმხრივ განვითარებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

ჩვენს სოფლებში მრავლად არიან ბევრი ყოფილი ჯარისკაცი, ტყვედ ნამყოფი; ისინი მუშაობდნენ საზღვარგარეთულ მემამულეთა მსხვილ მეურნეობაში, სადაც მანქანებსა და სასოფლო-სამეურნეო იარაღებს ხმარობდნენ. სამკითხველოს ან სკოლის მიერ გამართულ კოლექტივიზაციის საღამოებზე მათ შეუძლიათ ბევრი საინტერესო რამე სთქვან იმის შესახებ, თუ რა უპირატესობა აქვს მსხვილ მეურნეობას წვრილ, დაქუცმაცებულ, დაბალ ტექნიკიან მეურნეობის წინაშე, რომელიც ვერ იყენებს აგრონომიულ მეცნიერების მიღწევებს, შეუძლიათ ილაპარაკონ ორივე სახის მეურნეობის მოსავლიანობის შესახებ (რასაკვირველია, საჭიროა, რომ მათ აღნიშნონ აგრეთვე მემამულეთა მეურნეობის ექსპლოატატორული ხასიათი); გამოიწვიებიან აგრეთვე სხვა გამოცდილი გლეხებიც, რომლებიც იცნობენ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, მანქანებს; მათაც ბევრი რამის თქმა შეუძლიათ კოლექტივიზაციის საკითხებისათვის გამართულ საღამოებზე.

კოლექტივიზაციის იდეათა აგიტაცია და პროპაგანდა უნდა მოეწყოს არა მარტო სოფლის ფარგლებში, არამედ ქალაქსაც იმ ორგანიზაციებშიც, სადაც გლეხები ერთდებიან (გლეხთა სახლები, წითელი არმია, ზოგიერთი სკოლები), და ისინი პროლეტარული ქალაქის გავლენას განიცდიან. წითელ არმიაში,—სადაც ათასობით ეკრიბებიან ახალგაზრდა გლეხები, რომლებიც სოფლად დაბრუნების შემდეგ ხდებიან საზოგადო მუშაკებად მოწინავე პირებად,—განსაკუთრებით საჭიროა კარგად მოეწყოს საგიტაციო-აღმზრდელობითი მუშაობა კოლექტივიზაციის შესახებ: კინო-სეანსები, მოხსენებანი, საუბრები, მხატვრული წარმოდგენები, მასალის კითხვა, კედლის გაზეთები, სასწავლო მუშაობა და წითელ არმიელთა აღმზრდელობითი ზედმოქმედების სხვა ფორმები, რასაც უხვად აქვს ადგილი წითელი არმიის პრაქტიკაში; აქვე უნდა აღვნიშნოთ წითელ არმიელების მიერ სისტემატიურად გზავნა წერილებისა სოფლად მშობლებთან, ნაცნობებთან იმ მიზნით, რომ აგიტაცია გასწიონ კოლექტივების, ამხანაგობების და სხვათა შესაქმნელად. სათანადო სამხედრო-პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა უნდა დაამუშაონ ეს საკითხი თანახმად დიდი გამოცდილებისა, რომელსაც იძლევა მუშაობა წითელ არმიელთა შორის და წითელ არმიელებისა მოსახლეობის შორის.

გლეხთა სახლებში კოლექტივიზაციის აგიტაცია შესაფერად უნდა მოეწყოს. ქალაქად ადგილას საამისოდ არსებობს ბევრი საშუალება: კინო, რადიო, ლიტერატურა, მომზადებული მომხსენებლები, მხატვრული მუშაობის ფორმები. სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის სათანადო საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა უნდა განვითარდეს იმ სკოლებში, სადაც სწავლობენ გლეხთა შვილები (მაგალითად, აგრონომიული სკოლები და ტექნიკუმები), აგრეთვე იმ სასწავლებლებში და იმ დარგებში, რომლებიც მუშაკებს ამზადებენ სოფლისათვის (პედაგოგიური ტექნიკუმები, ცხრაწლედები, უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი), რათა ეს მუშაკები გავიდნენ სოფლად, როგორც კოლექტივიზაციის ნამდვილი მომხრეები, აგიტატორები; საჭიროა ისინი სათანადოთ აღიჭურვონ, ჩაუნერგოთ საჭირო შეგნება. ეს შეეხება, როგორც თვით სკოლებს, ხელმძღვანელებს, ლექტორებს მოსწავლეთა ორგანიზაციის, ისე ქალაქთა პარტიულ-კომკავშირულ ორგანიზაციების ამოცანას, მეტადრე სათანადო სასწავლებლებში. სახალხო განათლების სისტემის ყველა ნაწილში კოლექტივიზაციის სასარგებლოდ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ჩასატარებლად საჭიროა, რომ განათლების კომისარიატმა კომკავშირთან და განათლების მუშაკთა კავშირთან ერთად გულდასმით დაამუშაოს ეს საკითხი, რათა მომავალი სასწავლო წლიდან დაწყებულ იქნას ფართო მუშაობა.

„სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის“ საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა არსებითად მნიშვნელოვანია და მას ისეთი ხანგრძლივი ხასიათი აქვს, რომ ყველა პარტიული ორგანიზაციისაგან საგანგებო ყურადღებას და მთელი პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის ერთგვარ გადახალისებას მოითხოვს. ეს ამოცანა დაუსვა მე-15 ყრილობამ [illegible] და იგი აუცილებლად უნდა შევასრულოთ.

ვ. იმედაძე.

ქრონიკა

აღმოსავლეთის ქვეყნების სანიტარული კონფერენცია

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში მიღებული ცნობებით, სექტემბრისათვის მოსკოვში მოწვეულია აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელზედაც გარჩეული იქნება უმთავრესად სანიტარული ხასიათის საკითხები.

კონფერენციაზე დასასწრებლად მოწვეული არიან: სპარსეთის, ავღანისტანის, ხივის, მონღოლეთის, ჩინეთის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. კონფერენციას დაესწრებიან აგრეთვე ამ.-კ. რესპუბლიკების წარმომადგენლებიც.

პენსიების დანიშვნის შესახებ

სოციალურ დაზღვევის მთავარმა კომიტეტმა შეიმუშავა საფეიქრო მრეწველობაში მომუშავეთათვის პენსიების დანიშვნის ახალი წესი. ამ წესის მიხედვით, საფეიქრო მრეწველობაში მომუშავეთ შეუძლიათ შრომის უნარიანობის მიუხედავათ პენსია მიიღონ: ქალებმა—55 წლის შესრულების შემდეგ და მამაკაცებმა—60 წლიდან. პენსიების მისაღებათ, გარდა ამისა, საჭიროა 25 წლის შრომის სტაჟი.

ქიმიური თავდაცვის ინსტრუქტორები

თავდაცვა-ავიაქიმის საზ-ბა 5 აპრილს თბილისში ხსნის ქიმიური - თავდაცვის საქმის ინსტრუქტორთა მოსამზადებელ კურსებს.

რკ. გზის სკოლების გადაცემა განათლების კომისარიატებისათვის

უმაღლეს ორგანოებში გადაწყვეტილია ტრანსპორტზე არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებების გადაცემა რესპუბლიკების განათლების კომისარიატებისათვის.

გზათა კომისარიატის დადგენილებით ამ დაწესებულებების გადაცემა უნდა მოხდეს ისე, რომ არ დაირღვეს ამ სასწავლებლების მატერიალური და სამოსწავლო-პედაგოგიური დონე და პირიქით უზრუნველყოფილ იქნეს მათი შემდგომი განვითარება.

სატრანსპორტო პროფტექნიკური განათლების დაწესებულებათა გადაცემა განათლების კომისარიატებისათვის ჯერ ნაადრევად არის ცნობილი.

ტრანსპორტზე არსებულ კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ფინანსების მიწოდება, მათი განათლების კომისარიატებისათვის გადაცემის შემდეგ, სწარმოებს ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, მაგრამ პირველი ორი წლის განმავლობაში გზათა კომისარიატი მაინც უწევს მათ მატერიალურ დახმარებას.

სატრანსპორტო სოციალური აღზრდის და პოლიტგანათლების სკოლების გადაცემა განათლების კომისარიატებისათვის მოხდება 1928-29 წლის დასაწყისში.

მიწისძვრა

გუშინ, ნაშუადღევს 3 საათზე, გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფებმა აღნიშნეს საკმაოდ ძლიერი მიწისძვრა, რომლის კერა თბილისიდან დაშორებულია 200 კილომეტრით.

მიწისძვრას არ ჰქონია კატასტროფიული ხასიათი.

თბილისის აღმასკომში

◆ ლენინის მუშათა რაიონში აბანოს ასაგებათ აღმასკომმა გადასდო 143.000 მანეთი.

◆ წყალსადენი. აღმასკომმა სოფ. შინდისში გაიყვანა წყალსადენი.

◆ ახალი ქარხანა. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება შეუდგა ერწოში კარაქის დამამზადებელ ქარხნის აგებას.

◆ უმუშევართა სასადილოს დახმარების სახით აღმასკომი ყოველთვიურათ აძლევს 1500 მანეთს.

◆ ტრაქტორები. საადგილ-მამულო განყოფილების ცნობით ამჟამად თბ. მაზრაში მუშაობს 40 ტრაქტორი.

◆ სასოფლო ამბულატორიების მოსაწყობათ თბ. მაზრაში, თბ. აღმასკომმა გადასდო 19.700 მანეთი.

◆ წალკის გზის შეკეთებაზე თბ. აღმასკომმა დახარჯა 13.083 მანეთი.

სახ. უნივერსიტეტში

◆ პროფესორთა და დოცენტთა კრება. სახ. უნივერსიტეტის გამგეობა შაბათს, 31 მარტს, დღის 1 საათზე უნ-ტის მთავარ შენობაში იწვევს პროფესორთა და დოცენტთა საერთო კრებას.

◆ თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა პარასკევს, 30 მარტს, დღის 1 ს. იწვევს უმცროს მასწავლებელთა საერთო კრებას.

სხვადასხვა

◆ სოციალურ მეცნიერების აუდიტორიაში დღეს, საღამოს 8 ს., შესდგება თბ. ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზ-ბის მორიგი კრება, რომელზედაც მოხსენებებს წაიკითხავენ: ს. ნიკურაძე—„ქვედა კიდურების გაგანიერებული ვენების კონსერვატიული მკურნალობის შესახებ (ავადმყოფების დემონსტრაციით), ე. შალამბერიძე „პათოლოგო-ანატომიური ცვლილებანი სიმპატიურსა და პარასიმპატიურ ნერვიულ კვანძებში, კასტრაციის შემდეგ", ნ. ტურიაშვილი—„მომყოლის მთლიანობის თანამედროვე წესები", დასასრულ შესდგება სრ. საქ. ექიმთა მეხუთე სამეცნიერო კონგრესის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა.

◆ ქართული ენის კაბინეტში. დღეს, საღამოს 7 ს., გრამატიკის სემინარში ვ. თოფურია წაიკითხავს მოხსენებას: „ქართული ზმნები". დღესვე საღამოს 6 ს. შესდგება ქართული ენის სემინარის მუშაობა არაქართულ სკოლებისათვის.

განაჩენი კაპაიანიდის მკვლელების საქმეზე

ბათუმი, 28 მარტი. ლაფუშისა და ხტოდიარიძეს ქალს დაუმტკიცდათ კაპაიანიდის მოკვლა წინასწარი განზრახვით და მიესაჯათ თვითეულს თავისუფლების აღკვეთა ათ-ათი წლით. მსჯავრ-დადებულთ შეეფარდათ ამნისტია და საჯაროდ გაუნახევრდათ (ადს).

ხელოვნების ქრონიკა

◆ ზარხუცის საკონტროლოთ დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ტრავიატა".

◆ „ჰამლეტი". რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „ჰამლეტი". მთავარ როლში—უ. ჩხეიძე.

შირაქის ნავთი

მარტის პირველ რიცხვებში სტილია-ბულგაის საკონცესიო საზოგადოებამ განაახლა მუშაობა შირაქის სანავთო რაიონებში ზაფხულის მიმართებად. მაგრამ დიდი თოვლის გამო ერთი კვირის მუშაობის შემდეგ საზოგადოება იძულებული შეიქნა შეეჩერებინა მუშაობა. რამდენიმე დღით სრულიად შეწყდა სამშენებლო მასალისა და სურსათის მიწოდება იქ მომუშავე მუშებისათვის. მუშაობის განახლება განზრახულია გაზაფხულისათვის-ვე.

შირაქის ნავთის საკონცესიო სამუშაოებზე ამ ჟამად ასეთი მდგომარეობაა: უკანასკნელ დრომდე გათხრილია ნიადაგი 340 მეტრის სიღრმეზე. დაახლოებით 335 მეტრის სიღრმეზე, მუშები წააწყდნენ ფენებს ნავთის გაზების დიდი რაოდენობით. ყოველი მეტრის ამოღებაზე გაზების სიმძლავრე თანდათან მატულობს.

გეოლოგიური გამოკვლევა

ს.ს.ტ.ს. სამთო განყოფილება შეუდგა საზაფხულო გეოლოგიურ სამუშაოთა დასაწყებათ. სწარმოებს სპეციალისტ-გამომკვლევების შეკრება, ინსტრუმენტების და ტექნიკური იარაღების მომარაგება და სამუშაოთა პროგრამის დამუშავება.

პირველ რიგში განზრახულია გაიგზავნონ სპეციალისტები შავი ზღვის სანაპიროებზე რკინა-ქვიშის მადნეულისა და ბიტუმის ბუდობების საკვლევ სამუშაოთა დასამთავრებლად ნატანების რაიონში. რკინა-ქვიშის და ბიტუმის მადნის გამოკვლევების ხელმძღვანელად იგზავნება გეოლოგი—ლ. კონიუშევსკი.

გადაწყვეტილია აგრეთვე სასწრაფოდ დამთავრდეს შრომის ცეცხლგამძლე თიხის ბუდობების საბოლოო გამოკვლევა. შრომაში სამუშაოთა ხელმძღვანელობა მინდობა გეოლოგ კ. გაბუნიას.

საზაფხულო გეოლოგიურ გამოკვლევათა სეზონი დაიწყება აპრილის ბოლო რიცხვებიდან.

წყალდიდობის მოლოდინში

ამხ. ხმალაძის ბრძანება

მოსალოდნელ წყალდიდობასთან დაკავშირებით, გუშინ აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსმა ამხ. ხმალაძემ ყველა სამილიციო რაიონების უფროსებს საყურადღებოთ გამოსცა ბრძანება.

ბრძანების მიხედვით, ქალაქის მორიგეს და სამილიციო რაიონების უფროსებს ევალებათ მდინარის ადიდების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებს.

ბრძანებაში აგრეთვე აღნიშნულია ის ღონისძიებანი, რომელიც სამილიციო რაიონის უფროსმა და ქალაქის მორიგემ უნდა მიიღოს მოსალოდნელი წყალდიდობის დროს.

თოვლი სწრაფად დნება

გეო-ფიზიკური ობსერვატორია აქვეყნებს შემდეგ ცნობებს 27 მარტის განმავლობაში თოვლის დნობის შესახებ: დასავლეთ საქართველოში თოვლის დნობა ყველგან სწრაფად სწარმოებს. სურამის უღელტეხილთან, სოფ. წიფის რაიონში თოვლის სისქემ ერთი დღის განმავლობაში დაიკლო 10 სანტიმეტრით. თოვლი სავსებით გადნა აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგურის სააღმშენებლო სამუშაოების რაიონშიაც.

აღმოსავლეთ საქართველოში თოვლის დნობა უფრო ნელი ტემპით სწარმოებს მდ. მტკვრის სათავეებში. სწრაფად ქრება თოვლი საქ. სამხედრო გზატკეცილის რაიონებში. ფასანაურში თოვლის სისქე აღწევს 44 სანტიმეტრს. თიანეთის რაიონში თოვლის სისქე უდრის 50 სანტიმეტრს.

თოვლი სწრაფად დნება ალაზნის ველზედაც, რაც იწვევს მდინარის ადიდებას.

ცხენისწყალის ადიდება

დასავლეთ საქართველოში წყალდიდობასთან საბრძოლველ სამუშაოთა ინსპექტორი ინჟ. ა. ჯაფარიძე ატყობინებს წყალთა მეურნეობის სამმართველოს, რომ მდ. ცხენისწყალის ადიდების გამო ძალიან გაძნელდა ტივებით ხე-ტყის მასალის გადაზიდვა. ტივების მოძრაობა ხელს უშლის მუშაობას მდინარის ნაპირების გასამაგრებლათ.

ამის გამო საჭიროთაა ცნობილი დროებით აიკრძალოს ცხენისწყალით ხე-ტყის გადაზიდვა.

სასამართლო

ფულის მაგიერ, „საბუთები"

გიორგი ოვანესოვი, დავით ყანჩელი, მიშა ჯინორიძე, გიორგი სარჯველაძე და ალექსანდრე ლანდია—ეს კრებულია, რომელსაც სამი თუ ოთხი ამსონი აკლია.

საღამოს 9 საათია. სასადილო „გურია"-ში შევიდნენ ეს „ძმა-ბიჭები": ქეიფის მადაზე ყველანი იყვნენ, მაგრამ ნახარჯის გასწორებაზე არც ერთი არ დაფიქრებულა.

ყანჩელი და სარჯველაძე ქეიფის ბოლომდე მიყვანას მოითხოვენ. ჯიბე კი ორივეს ცარიელი აქვს.

კომპანიის ნაწილმა მიატოვა სუფრა. ვინ იცის რა მოსაზრებით? დანარჩენები მოითხოვენ, რაც კი მოესურვებათ.

როცა მოქეიფეების როგები „შეთხელდა", რესტორანის პატრონმა მოითხოვა ანგარიში.

— ჩვენ, მართალია, ფული არ გვაქვს, მაგრამ სამაგიეროდ დაგიტოვებთ საბუთებს, რომელთაც ჩვენ არასოდეს ფულში არ გავცვლით...

— საბუთები ჩვენ ფულად არ გამოგვადგება... თუ ფული არ გქონდათ, გეთქვათ და სამელს გაქმევდით... ისე ფართოდ, რომ გაჰყვებით დროს ტარებას, ჯერ ჯიბეები გაგესინჯათ!

— ერთი სიტყვით, ჩვენ ფული არ გვაქვს, მაგრამ ჩვენს საბუთებს ფულზე მეტი ფასი აქვს...

— თუ შეიძლება დანახარჯი გაასწორეთ, თქვენი საბუთები არაფერში გამოგვადგება.

მუშტრები მოვიდნენ „მტვრიეის" გუნებაზე. ერთმა ბოთლი მოიქნია, მეორემ სუფრა გადააყირავა, მესამემ შეაგინა და მეოთხემ ყველას გადააჭარბა უზრდელობაში, მეხუთემ „მკლავეძეობა" დაიჩემა და სხვ.

მილიციელებიც არაფრად მიიჩნიეს უფულო „მუშტრებმა". მაგრამ მუშტებით შეხვდნენ მათ.

სამორიგეო კამერამ გუშინ გაარჩია მათი საქმე. მიესაჯა ყანჩელს—6 თვე, სარჯველაძეს—6 თვე, ლანდიას—6 თვე და თბილისიდან გადასახლება 3 წლის ვადით, (როგორც გაუსწორებელ ხულიგანს) ოვანესოვს—6 თვე და თბილისიდან გადასახლება 3 წლით; ჯინორიძეს—ერთი თვით თავისუფლების აღკვეთა.

„ოქროს კუთხე"-ში

„ოქროს კუთხე" ჰქვია სასადილოს, სადაც შევიდნენ საქეიფოდ ახალგაზრდები: ვლადიმერ ცქიტიშვილი, ვახტანგ ბოჭორიძე, არჩილ აბაშიძე და ვლადიმერ ერხანი.

— 30 მანეთის მეტი არ გვაქვს, „ხაზეინჯან", ამ „ფარგლებში" მოგვაწოდე, რაც კი მოვითხოვოთ, ზედმეტის ნებას ნუ მოგვცემთ, რომ უსიამოვნება არ მოხდეს,—ეუბნებიან მუშტრები.

— თქვენ გენაცვალოთ ჩემი თავი,—უპასუხებს რესტორანის პატრონი.

იწყება ქეიფი. ნახარჯი გადასცილდა 30 მანეთს. აბაშიძემ მოიმიზეზა სამსახური და დასტოვა მოქეიფე ხალხი. ბოჭორიძე და ერხანი გამოვიდნენ „ჰაერზე".

ცქიტიშვილი, რომელიც მარტო დარჩა სუფრაზე, ნერვიულობს: ცქიტიშვილს ნახარჯის გასწორების საშინელი აწუხებს. მდგომარეობას უშველის სკანდალი—დაიჭრობს ის.

ცქიტიშვილმა მოიქნია ჯერ ბოთლი, მერე ჭიქები... ამ დროს შემობრუნდნენ ბოჭორიძე და ერხანი.

— „ალი", „ალი"... დაიძახეს მათ და გადააყირავეს მაგიდა. მაგიდის გადაყირავებას მოჰყვა სკამის და ფანჯრების მინების დამტვრევა. მუშტრებმა დალეწეს სასმელები და ჭურჭლები. 30 მანეთი „ნისიათ" დახარჯეს და 400 მანეთის ზარალი მიაყენეს სასადილოს.

სასამართლომ გუშინ გაარჩია საქმე.

აბაშიძე, რომელიც დაპატიმრებული ყოფილა სხვების მიერ და რომელსაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღია დებოშში, განთავისუფლებული იქნა.

დანარჩენებს მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა თვითეულს ექვს-ექვსი თვით.

გორ.

ბიბლიოგრაფია

ა. ხარაბაძე „მათემატიკური ამოცანები", სახელგამი, ფასი 1 მან.

სარეცენზიო წიგნი წარმოადგენს „მათემატიკური ამოცანები" მე-5 ჯგ. სავალდებულო სახელმძღვანელოს მეორე შევსებულ და შემოწმებულ გამოცემას. ზემო დასახელებულ წიგნში უმთავრესი ადგილი დათმობილი აქვს მეტრულ სისტემას, რაც შესაძლებლობას აძლევს მოწაფეებს მეტრულ სისტემის შესასწავლად. მეთოდიური მიდგომითაც წიგნი დამაკმაყოფილებელია. მეტრულ სისტემასთან დაკავშირებით უპირველესად განხილულია ათწილადი ნაწილები და მას პარალელურად მისდევს უბრალო ნაწილები. აგრეთვე კრებულში საკმაო ადგილი დათმობილი აქვს ალგებრის ელემენტებს, რომ ამით მოწაფემ შესძლოს გაიგოს ისა, რომ ალგებრა არ არის რაღაც განყენებული, არამედ არითმეტიკის ორგანიული გაგრძელება-განვითარებაა.

ავტორი ამბობს, რომ არითმეტიკა არ არის მარტო ცნებების ცარიელ [illegible], არამედ ის დაკავშირებული უნდა იყოს ცოცხალ მასალასთანო, მაგრამ ავტორის ამ გამოთქმას არ ამართლებს წიგნის შინაარსი. წიგნში მოცემულია არა სწორი სტატისტიკური ცნობები.

მაგალ. ავიღოთ შემდეგი ამოცანები: 90 გვ. ამოცანა № 374-ის მიხედვით დასავლეთ საქართველოში საშუალოდ მოსულა 38.290.000 ვედრო ღვინო. ღვინის ასეთი მოსავალი არ ახსოვს არა თუ დასავლეთ, არამედ მთელ საქართველოს, დასავლეთ საქართველოში 1917 წელს აჭარის და აფხაზეთის მონაცემებით მოვიდა 3.155.577 სათილი, (იხ. გერტმანი „საქ. ეკონომიური გეოგრაფია"), ამნაირად ზემოთმოყვანილი რიცხვი 5-6 ჯერ თითქმის აღემატება სინამდვილეს. ამავე გვერდზე ამოც. № 373 მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოში მოსულა 34.429.934 ლიტ. ასეთი ცნობა კი სიმართლეს არ შეიცავს. აღმოსავლეთ საქართველოში 1908 წელს, ისიც თითქმის საუკეთესო წელს ღვინო მოვიდა 5.574.430 სათილი (იხ. საქ. ეკ. გეოგ. გერტმანისა), თუ ზემოდასახელებულ რიცხვს ლიტრებათ გადავაქცევთ მივიღებთ 4.515.288 ლიტრას. აქაც არასწორი ცნობაა აღებული.

შემდეგ 125 გვ. ამოც. № 535-ის მიხედვით 1924 წელში თბილისში ცხოვრობდა 232.000 სული, სადაც 46 პროც. ქართ., 36 პროც. სომეხი და 25 პროც. რუსები, დანარჩენი კი სხვა ერებია. ჯერ ერთი ეს სამი პროცენტები ჯამში უკვე 107 პრ. უდრის. ესეც გადამეტებულია, დანარჩენ ერებს რა პროც. უნდა დარჩენოდა. 1922 წელს ქალაქ თბილისში ცხოვრობდა 233.958 სული (იხილეთ იგივე წიგნი გ. ი. გერტმანი გვ. 60), აგრეთვე ჟურნალ თბილისის საბჭოს მოამბეს ცნობით 1923 წელს თბილისის მოსახლეობა გადიოდა 20,278 სულით (იხილეთ თბ. საბჭოს მოამბე № 2, გვერდი 3), მაშასადამე ზემო-მოყვანილ ამოცანაში არც პროც.-ლი შეფარდებაა სწორი და არც მცხოვრებთა რიცხვით.

გვ. 27 ამოც. № 86-ს მიხედვით 1916 წელს საქართ. შავი-ქვა გაიტანიათ ბელგიაში, ინგლისში და გერმანიაში 30,1 მილიონი ფუთი. ჯერ ერთი, რომ ომის გამო და დარდანელის სრუტის დაკეტვის გამო 1916 წელში ამ სახელმწიფოებში საქართველოდან შავი-ქვის გატანა სრულებით შეწყვეტილი იყო; და 1916 წელში არა ევროპის სახელმწიფოებში, არამედ რუსეთში გაიტანეს არა 30,1 მილიონი ფუთი, არამედ 10,811 მილ. ფუთი.

გვ. 72, ამოც. № 279-ს მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოში ვენახებს ეჭირა 1917 წელში 17.08 ათასი ჰექტარი. საქ. ეკონ. გეოგრაფიის ცნობით კი (გვ. 89, გერტმანი) აღმოსავ. საქართველოში 1917 წელს ვენახებს ეჭირა 17.087 დესეტინა ე. ი. ჰექტარით თუ გადავაქცევთ მივიღებთ დაახლ. 18.624,8

ასეთი არა სწორი და შეუსაბამო ცნობებს დიდი ადგილი უჭირავს კრებულში. მოწაფის მიერ გეოგრაფიიდან მიღებულ სწორ ცნობებს ეწინააღმდეგება „მათემატიკურ ამოცანებიდან" მიღებული ცნობები, ყოველივე ეს გაუგებარ მდგომარეობაში აყენებს, როგორც მოწაფეს, ისე მასწავლებელს. საჭიროა ამ წიგნში მოთავსებული შეცდომები გასწორდეს.

სიმ. დოლიძე.

ჩაის მეურნეობა

ჩაის კოლექტიური მეურნეობანი

საზოგადოება „საქართველოს ჩაი"-ს ცნობებით, ამჟამად გურიაში და სამეგრელოში არსებობს 114 გლეხური კოლექტიური მეურნეობა, რომლებსაც უჭირავთ 276,5 ჰექტარი მიწა. „საქართველოს ჩაიმ" შუამდგომლობა აღძრა კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრის წინაშე, რათა ყურადღება მიაქციოს ჩაის რაიონების ტრაქტორებით მომარაგების საქმეს. საზოგადოების შუამდგომლობის თანახმად, კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრი ამუშავებს ღონისძიებებს ჩაის კოლექტიური მეურნეობებისათვის შეღავათების მისანიჭებლად. საზოგადოებამ მიმართა საქართველოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს თხოვნით, რათა მიღებული იქნეს ზომები, რომ მიწადმოწყობა პირველ რიგში ჩატარებული იქნეს კოლექტიურ მეურნეობებში. საზოგადოების გამგეობამ ჩაის რაიონებში გაგზავნა თავისი აგრონომი, რომელმაც უნდა შეისწავლოს და გამოიკვლიოს კოლექტიური მეურნეობანი.

ინდოეთის ჩაის თესლი

საზოგადოება „საქართველოს ჩაიმ" ინდოეთიდან მიიღო 911 ფუთი პირველხარისხოვანი ჩაის თესლი, რომელიც დათესილი იქნება ჩაის ახლად გაშენებულ პლანტაციებზე. თესლი განაწილებულია საბჭოთა მეურნეობებსა და გლეხებს შორის.

შემთხვევები

ბნელით მოცული მკვლელობა

გუშინ, მეშვიდე უბნის სახალხო გამომძიებელმა კ. ხოჯაშვილმა დაკითხა მთელი რიგი მოწმეები ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახლოს მომხდარი მკვლელობის გარშემო. მოკლულის ვინაობა ჯერჯერობით გამოურკვეველია. როგორც ირკვევა, მკვლელობა ჩადენილია ძარცვის მიზნით.

გუშინ ექიმ - ექსპერტებმა მოახდინეს გვამის გაკვეთა. ექსპერტების დასკვნით, მოკლულს აქვს რამდენიმე ჭრილობა ხანჯლით—თავზე, სახეზე და მუცელში. მიღებულია ზომები ბოროტმოქმედთა დასაპატიმრებლად.

მგლები მცხეთაში

თბილისში მიღებული ცნობებით, გუშინწინ ნაშუადღევს 4 ნახ. საათზე, მცხეთიდან ნახევარი ვერსის დაშორებით გამოჩნდა მგლების ხროვა. მგლების ხროვა შეამჩნია თბილისში მიმავალმა მილიციელმა, რომელმაც მგლები თოფის სროლით მიაგერია.

მგლების ხროვა თავს დაესხა აგრეთვე გლეხს ზარდიაშვილს, მაგრამ მან თავი გადაირჩინა ხეზე ასვლით.

გვამის პოვნა

გუშინ, დილით, სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა მტკვრის პირას (მილიციის სკოლის მახლობლად) იპოვნეს დამხრჩვალი მამაკაცის გვამი. ვინაობის გამოსარკვევათ გვამი გადაეგზავნა რესპუბლიკის სასამართლო-სამედიცინო პროზექტურაში.

განსვენებული ცნობილია ლადო ივანესძე ქურციკიძე, მცხ. სოფ. დიღომში.

ავტომობილის ტრამვაის ვაგონზე შეჯახების გარშემო

გუშინ დაკითხულ იქნა მთელი რიგი მოწმეები პუშკინის ქუჩაზე მომხდარ კატასტროფის გარშემო.

დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზების ავტომობილი (№ 612), რომელსაც მართავდა შოფერი ადამ ბილანიშვილი დატვირთული იყო შაქრით. ავტომობილი გამოვიდა მუხრანის ქუჩიდან და გადაუხვია პუშკინის ქუჩაზე. შოფერმა სასტუმრო „პალას"-ის მახლობლად დააპირა ავტომობილის გადაყვანა ტრამვაის პირველი ხაზიდან მეორე ხაზზე. ამ მიზნით შოფერმა ავტომობილი შემოაბრუნა მარცხნივ. როცა ჯერ კიდევ მანქანის უკანა ბორბლები პირველ ხაზზე იყო, შოფერმა შენიშნა ტრამვაის ვაგონი და მიიღო ზომები პირველი ხაზის განთავისუფლებლად. მაგრამ ამ დროს მოუსწრო ვაგონმა რომელსაც დაეჯახა ავტომობილი.

გუშინ დაკითხულ იქნა აგრეთვე შოფერი ბილანაშვილი და ვატმანი ლაგრელაშვილი.

როგორც ირკვევა, ავტომობილის და ვაგონის ტექნიკური მდგომარეობასა და გზის პირობებს არ შეეძლო გამოეწვია კატასტროფა.

დასტურდება, რომ კატასტროფა გამოიწვია ვატმანის და შოფერის დაუდევრობამ.

ბილანაშვილი და ლაგრელაშვილი პასუხისგებაში არიან მიცემული.

ორი ქალის დაკარგვა

20 მარტს უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ ელენე ალექსანდრე კანტაკუზოვი, 53 წლისა (მცხ. გოგოლის ქ., 12), და ლიუბა მიხეილის ასული გაბაევა, 25 წლისა (მცხოვ. ბელინსკის ქ., № 43).

რკინისგზაზე

ამხ. პოზდეევი ჩაქვის კატასტროფის შესახებ

25 თებერვალს, სადგ. ჩაქვში მომხდარ კატასტროფის გამო, რომელსაც შედეგად მოჰყვა 21.000 მანეთის ზარალი და შვიდი კაცის დაშავება (მათგან ერთი რამოდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა), ა.-კ. რკინის გზების გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ვ. პოზდეევის ხელისმოწერით გამოცემულია ბრძანება:

ამხ. პოზდეევი აფრთხილებს რკ. გზის სადგურებზე მომუშავეთ, რომ თუ მომავალში კიდევ განმეორდა მორიგეობის ცხრილის ისეთი დარღვევა და სამორიგეო დავთარში ყალბი ცნობების ჩაწერა, როგორც ამას ჰქონდა ადგილი სადგ. ჩაქვში, დამნაშავეები დაისჯებიან სასამართლოს წესით.

ამასთან ერთად ყველა სადგურის უფროსებს, მოძრაობის რევიზორებს და განყოფილებათა უფროსებს მიცემული აქვთ წინადადება სასტიკად ადევნონ თვალყური მორიგეობის ცხრილის სისწორით დაცვას.

ფიზკულტურა

შეჯიბრების და გამოსვლების კალენდარული გეგმა

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან არსებულ ფიზკულტურის ბიურომ შეიმუშავა შეჯიბრების და გამოსვლების კალენდარული გეგმა, რომლის განხორციელებაც ეკისრებათ ფიზკულტურის ყველა ინსტრუქტორებს.

გეგმის თანახმად, 3 აპრილს დღის 3 საათზე ფიზკულტურის ცენტრ. ბიუროში შესდგება ფიზკულტურის ხელმძღვანელთა (მწვრთნელთა) საერთო კრება. 8 აპრილს, დღის 12 საათზე პროფკავშირთა საბჭოს ახალ დარბაზში შესდგება ფიზკულტურის წრეების ბიუროების [illegible] საერთო კრება. საღამოს 5 საათზე კი მეტეხის დარბაზში შესდგება სასოფლო წრეების ბიუროების საერთო კრება. ცხრა აპრილს, საღამოს 6 საათზე საქართველოს პროფსაბჭოს ახალ დარბაზში შესდგება ფეხბურთის, კალათბურთის და ფრენბურთის გუნდების მეთაურთა საერთო კრება. 3 აპრილიდან 10 აპრილამდე ყველა ფიზკულტურის წრეებში შემოღებულ უნდა იქნეს დღიურები ჩატარებული მუშაობის აღსარიცხად.

14 აპრილს, საღამოს 5 საათზე არსენალის საპორტო დარბაზში დაიწყება შეჯიბრება ფრანგულ ჭიდაობაში. კავშირების ყველა [illegible] წრეებს ევალებათ მიიღონ მონაწილეობა შეჯიბრში.

15 აპრილს, დანიშნულია ფიზკულტურის წრეების მასიური ექსკურსია [illegible]. სტადიონზე შესდგება კონკურსი [illegible] სიარულში და ველოსიპედის [illegible] სეზონის პირველი [illegible].

22 აპრილს მოხდება საზაფხულო სეზონის გახსნა [illegible].

29 აპრილს შესდგება ფიზკულტურის ყველა წრეების საერთო კრება, რომელსაც უნდა დაესწრონ ტრენერები, მსაჯები, [illegible], სასროლო წრეების და ყველა [illegible] გუნდები. დღის წესრიგში: პირველი მაისისათვის მზადების შედეგები და დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღების გეგმა.

მეცნიერება და ტექნიკა

„მფრინავი ფანჯარა"

ინგლისის საავიაციო ფირმა „დი ხაველენდი"-მ გამოუშვა მოდელი ახალი ერთ-ადგილიანი აეროპლანის, რომელსაც მისი პატარა ზომისა და განსაკუთრებული ფორმის გამო უწოდიან „მფრინავ ფანჯარას". ახალ აეროპლანს შესანიშნავი საფრენი თვისებები აქვს. მფრინავმა ბროუდმა ამ აეროპლანით უკვე დაამყარა რამდენიმე ახალი რეკორდი (დამახასიათებელი ასეთი ტიპის აეროპლანებისათვის). სისწრაფის რეკორდი, დამყარებული ამ აეროპლანით—300 კილომეტრი საათში—რაღაც განსაკუთრებული რამ არის, თუ მხედველობაში მივიღებთ აეროპლანის მოტორის სუსტ სიმძლავრეს—110 ცხ. ძალა, ბროუდის მიერ მიღწეული სიმაღლე 6200 მეტრს უდრის. ასეთი ტიპის აეროპლანი ინგლისის არმიაში შემოღებულია მზვერებისათვის.

[illegible] მავთულის გამყვანი მანქანა

ერთმა გერმანელმა ქიმიკოსმა გამოიგონა ახალი ასაფეთქებელი ნივთიერება, რომლის ძალა აღემატება დინამიტის მოქმედებას, მაგრამ მისი შენახვა და ხმარება ნაკლებ საშიშია. ახალი ასაფეთქებელი ნივთიერება წარმოადგენს წვრილად დაფქვილ ნახშირს, რომელიც შერეულია გათხევადებულ ჰაერში. შემთხვევითი აფეთქების თავიდან ასაცილებლად ამ ნარევს უმატებენ ალუმინის შაბს და ზოგიერთ სხვა ქიმიურ ნივთიერებებს, რომელთა შემადგენლობას საიდუმლოთ ინახავენ. თხელი ჰაერი და ნახშირის ფხვნილი ცალ-ცალკე სრულიად უვნებელ ნივთიერებებს წარმოადგენენ. მაგრამ შერევის შემდეგ იძენენ საშინელ ასაფეთქებელ ძალას. ურევენ ხდება მხოლოდ ასაფეთქებელი ნივთიერების ხმარების წინ. ამიტომ ამ ნივთიერების გადატანა და შენახვა არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს. თუ რაიმე მიზეზის გამო აფეთქება არ მოხდა, ნახევარ საათში თხელი ჰაერი ქრება და ნარევი კარგავს თავის ასაფეთქებელ თვისებებს, თხელი ჰაერის ახალი რაოდენობის მიმატების შემდეგ ნახშირის ფხვნილი კვლავ იძენს ასაფეთქებელ ძალას.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 29 მარტი

დღეს, 29 მარტს, რადიო-მუშაკთა დასასვენებელი დღეა, რადიო-გადაცემა არ იქნება.

პარასკევი, 30 მარტი

30 მარტს თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

უახლოესი ამოცანები საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების დარგში ქართულ ენაზე.

ჯანსახკომის მოხსენება: ბავშვობის დაცვის საკითხები—ქართულ ენაზე.

მეცნიერების და ტექნიკის მიღწევები—რუსულ ენაზე.

სოფლის ბიბლიოგრაფია—რუსულ ენაზე.

რა ზიანი მოაქვს რელიგიურ ცრუმორწმუნეობას ჯანმრთელობისათვის — თურქულ ენაზე.

ტექნიკური კონსულტაცია.

[illegible] გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი"—ქართულ ენაზე.

თეატრის ტრანსლაცია.

ობსერვატორიის ცნობები.

ამ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება № 13-132

ა. კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

1927 წლის დეკემბრის 27

პორტლანდის ცემენტზე საბითუმო საგასაყიდო ფასების დაკლების შესახებ

თანახმად ა. კ. ვაჭრობის სახკომის 1927 წ. დეკემბრის 23-ს და შესაცვლელად ა. კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს 1927 წ. 11 ივნისის დადგენილების, № 23—99 მუხ. მე-2-სა, ა. კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

§ 1. დაწესებულ იქნეს ბითუმად გაცემისას შემდეგი ზღვრული საგასაცემო ფასები პორტლანდის ცემენტზე ფრანკო-რკინიგზა ბათუმში 7 მ. 05 კაპ., „სევკავცემენტი"-სათვის და 7 მან. 10 კაპ. ყველა, დანარჩენი სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის—165.8 კილოზე ბრუტტო—როგორც ნეტტო.

§ 2. ა. კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინა ვაჭრობის კომისიას ევალებათ ფხიზლად ადევნონ თვალყური ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

§ 3. ამ დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

§ 4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა და ვრცელდება მის გამოქვეყნებამდე დადებულ ყველა ხელშეკრულებათა იმ ნაწილზე, რომელიც ჩაბარებულნი არ ყოფილა ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე.

ა. კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის მოადგილე საქართველოში კაკაბაძე.

ვ) მომწესრიგ. განყოფილ. უფროსი ბერმლაშვილი.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 29 მარტს, თბილისის შრომის ბირჟაში გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები: კვალიფიციურ მუშაკთა პირველი სექციიდან: ამეანაკ ტერჩიანცი; ლიდა ფედოსიევა; იოსებ ლაცაბიძე; პავლე მირზაშვილი; ალექსანდრე მრევლიშვილი; სტეფანე ტოლსტაკოვ; გიორგი მინდიაშვილი; იოსებ ძნელაძე, დიმიტრი სულაძე და მიხეილ ხოდოროვი; ამას გარდა, პირველ სექციას ესაჭიროება ერთი მოტორისტი; გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ელია მიულმან; მარია კორძაია; ანა კარაკოზოვა; რახილ ზილბერმან; მარია გაბრილოვა; გიორგი კანდელაკი. საგარანტიო სექციიდან: ჯანშიევი; ვასილ კაზლოვი და ლევან ანანოვი, მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: ალექსანდრე თომასოვი.

სამუშაოზე გაიგზავნა: კვალიფიციურ მუშათა პირველი სექციიდან: ელისაბედ პაუკერი, ვარია სარიკოვა; საიტურჯიანი; ქეთო დოლიძე; ეკატერინე ხარიძე; [illegible] ანა ბასმანოვა; [illegible].

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: თამარა ავეტისოვა; სიმონ ხალვაშიშვილი; [illegible] მახაბელი; ჯემალ ყაველიშვილი; [illegible] შვილი; ვალერიან ხოლციანი; ანტონინა სავლუჩინსკაია და ივანე ისახანოვი.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: სერგო გობეჯიშვილი; მიხეილ ფოგია; ვლადიმერ ყულუმბეგაშვილი; სერგო არუთინიანი; იოსებ ბატიაშვილი; ვართანუშ გრიქუროვი; ანნა ჩირიკოვა; ბარბარე სანაკაშვილი; გაიოზ ციკორიშვილი; სარქის სარქისიანცი; მიხეილ ლაზარაშვილი; ლევან ხაჩატუროვი; ვასილ თევდორაშვილი; არშაკ არუთინოვი; ოგანეზ აკოპოვი; ერვანდ პეტროსიანი, გიორგი ბაციკაძე; იოსებ თითბერიძე; ვლადიმერ ბალდუევი; გრიგოლ თვალჭრელიძე; ვასილ ლომჯარიაშვილი; ბზიკ რამან ბაგდოევი და მოსე სახუნაშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში დღეს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია თათბირი კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხებზე.

თათბირს აუცილებლად უნდა დაესწრონ პროფკავშირების კულტგანყოფილებათა, კოოპერატიულ და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პოლიტგანათლების მთავარმმართველობის, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების, ახ. ლ. კ. კ. ცეკას, ჯანსახკომისა და სხვათა წარმომადგენლები.

დღეს, 29 მარტს, საღამოს 6 საათზე ამხ. სუხიშვილის კაბინეტში შესდგება თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო თათბირი.

საორგანიზაციო თათბირის წევრებისა და საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენელთა დასწრება აუცილებელია.

სახ. უნივ. აგრონომიული ფაკულტეტის ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 29 მარტს, საღამოს 6 საათზე, მოწვეულია ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა. დასწრება სავალდებულოა.

სახ. უნივერსიტეტთან არსებულ ახ. ლ. კ. კ. უჯრედთა ბიურო-კოლექტივი იტყობინება, რომ დღეს, 29 მარტს, საღამოს 7 საათზე შესდგება კომკავშირის უჯრედთა გაერთიანებული დახურული კრება.

ყველა უჯრედების წევრ-კანდიდატთა დასწრება აუცილებელია.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 29 მარტს, საღამოს 7 საათზე 1 აუდიტორიაში შესდგება ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა საერთო კრება, რომელზედაც ამხ. დოცენტი მენაბდე გააკეთებს რეფერატს: „კლასობრივი ბრძოლა ფინანსიურ კაპიტალის ეპოქაში და პროლეტარული რევოლუცია".

ამხანაგების დასწრება სავალდებულოა,

დღეს, 29 მარტს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის შენობაში ხელმეორედ მოწვეულია ქალაქისა და სოფლის კავშირის რაიონულ საბჭოს გაფართოებული პლენუმი, რაიონულ საბჭოს წევრების, უჯრედების ბიუროების და შეფაქტივის მონაწილეობით. დასწრება აუცილებელია.

ვარო, ლიუსია და ელენე ჯაფარიძეები აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს პირველის ძვირფასი დედის და უკანასკნელთა დიდედის

ანა ჯაფარიძის

გარდაცვალებას სოფ. არგვეთში, 25 მარტს, დაკრძალვა იქვე.

ნ. 843

ღრმად დამწუხრებულნი ალექსანდრე (თალალი) და ნინა ჯაფარიძეები ვალიკო და ჟურიკა მაჭავარიანები ვანტო და შალიკო შენგელიები ბიძინა მაჩია ერისთავები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათთვის ძვირფას და საყვარელ დიდედის

ანნა ჯაფარიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სოფელ არგვეთში ა-წ.—31 მარტს 1—1)ვ)

დამწუხრებული ამხანაგები ბუცა გეჯელია და ოლია (ჰუტუ) ჩაჩვა აუწყებენ ამხანაგებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 23 მარტს—ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის მარადის დაუვიწყარი ძვირფასი ამხანაგი

ნადია მაქსიმეს ასული ხორავა

დაკრძალვა მოხდება 29 მარტს ქ. ფოთში. ნ. 848

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლობილი ლადო ტარიელის ძე ამაშუკელი, ცოლი მისი ანა შვილებითურთ, მაზლები: ტარიელი და ზაზა ცოლშვილით, ქვრივი რძალი მათი (მაშო) ცქიტიშვილის ასული, მულები: ოლიმპია და ქრისტინე ამაშუკელები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ კვირას 2 ნახ. საათ. ქ. თბილისში გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი პირველის დედა, ხოლო დანარჩენის რძალი

ოლღა ამაშუკელისა

გამოსვენება მოხდება 29 მარტს ხუთშაბათს საღამოს 4 საათზე ბინიდან, რუსთაველის პრ. № 19. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე.

ფოთის საბაჟოს თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ ა. წ. 26 მარტს დილის 12 საათზე ქ. ფოთში მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი საბაჟოს ბუხჰალტერი

ამხ. ვარლამ ანტონის-ძე ჭითანავა

ნ. 847

ღრმად დამწუხრებულნი და დატანჯულნი: მამა ნიკოლოზ, ძმები: კირილე და გიორგი, რძალი ბარბარე, ბიძები: კონსტანტინე და პეტრე, ბიცოლები: ეფროსინე და სოფიო, ბიძაშვილები: მირიან მეუღლით თამარითი, ბარმენ, შალიკო, ელისაბედ, ქსენია, ნინა, ელენე და ნადია ურუშაძენი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ლანჩხუთში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

სამსონ ნიკოლოზის-ძე ურუშაძე

რომლის გამოსვენების დღეთ დანიშნულია შაბათი, 31 მარტი, დღის 3 საათზე, ქ. ლანჩხუთში.

ნ. 849

მიიღება ხელისმოწერა

ხელისმოწერის პირობები
გაზეთის ბინაზე მიტანით

	მუშა-მოსამსახურ. გლეხ ბიჩა, წითელ არმიელებისა, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის	დაწესებულ. ორგანიზაც. და კერძო პირთათვის
1 წლით	11 მან. 50 კაპ.	15 მან.
9 თვით	8 „ 60 „	11 „ 30 კ.
6 „	5 „ 75 „	7 „ 55 კ.
3 „	2 „ 90 „	3 „ 80 კ.
1 „	1 „ — „	1 „ 30 კ.

საზღვარგარეთ
1 თვით 1,5 დოლ.
1 წლით 16 „

კომუნისტი
დიდი პოლიტიკური გაზეთი
მიიღება ხელისმოწერა აპრილისათვის

ხელისმოწერა მიიღება თბილისში—მთავარ კანტორაში, რუსთაველის პრ. № 84
პროვინციაში

1) ქუთაისი—კონტრაგენტ მ. ტყაბლაძესთან
2) ჭიათურა—კონტრაგენტ გ. გოგელიასთან
3) სამტრედია—კონტრაგენტ ვლ. გოგელიასთან
4) ხაშური—კონტრაგენტ ლორთქიფანიძესთან
5) ფოთი—კონტრაგენტ მგალობლიშვილთან
6) ბათუმი—ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში
7) სენაკი—კონტრაგენტ ესებუასთან
8) აბაშა—კონტრაგენტ მიქაძესთან
9) ზესტაფონი, ჩხარი, ხერი, აჯამეთი კონტრ. ცხომელიძესთან.
10) ოზურგეთი—კონტრ. პლატ. ინწკირველთან
11) დიდი-ჯიხაიში—წიგნის მაღაზია გოთუა ძმობელიშვილთან.
12) თელავი—კონტრაგენტ რცვაძესთან
13) გორი—კონტრაგენტ მაისურაძესთან
14) სიღნაღი—კონტრაგენტ მდივანიშვილთან.
15) ხონი—კონტრაგენტ ფიფიასთან
16) ზუგდიდი—კონტრაგენტ კვიციანისთან
17) სოხუმი—ფოსტა-ტელეგრ. კანტორაში.
18) ზესტაფონ-ზაჰეს—კონტრ. მაქაცარიასთან
და რკინის-გზის ყველა კიოსკებში

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
ოდეონი
პროლეტარი (ავლაბარი)

სახკინმრეწვის თეატრები

მსოფლიო ფილმი
სიცოცხლე სიცოცხლისათვის
რეჟისორი ჯოემაი
მთავარ როლებში მარჩელა ალბანი, პაულ რიხტერი, პაულ ვეგენერი,
მხატვრული ფილმი ტყისნადირი
პირველად დიდ ლისში დრამა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან მეორე ცოლი
ჰარი პილ ტრიუკებიან ფილმში უთავო მხედარი 1 და 2 სერია ერთად
ანონსი. მალე რევოლუციონური ფილმი „ოქტომბერი" 0—24

ქ. ფოთსა და მის რაიონში
გაზ. „კომუნისტ"-ზე
ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ
კონტრაგენტ
მგალობლიშვილთან
4—1 „კომუნისტი" მთავარი კანტორა

კურორტი მოსავარ საქართველოს
ესაჭიროება ერთი ექიმი
ბორჯომის ჩარხის წყლის საექიმო პუნქტზე, ბორჯომის სანიტარული ექიმის მოვალეობის შეთავსებით საჭიროა კლინიკური ხაზის [illegible]. პირობები კურორტთა [illegible] სამმართველოში (ჭავჭავაძის ქ. 30). ნ. 842

მიხეილ გედევანიშვილის
სამედიცინო
სამკურნალო
სახელობით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ჭავჭავაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—9.

კინო ოდეონ
დღეს და ყოველდღე
პირველად თბილისში
მხატვრული ფილმი
აღმოსავლეთის ცხოვრებიდან
„მეორე ცოლი"
დადგმა დორონინის
მთავარ როლებში
ჩეჩელაშვილი,
გრინევი,
მესხერი
ნ. 845

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნეულოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ქუთაისში
ექ. დ. ჩეჩელაშვილი
გადავიდა ახალ ბინაზე ჭავჭავაძის ქ. № 4 ცეცხლის ქრობის რაზმის გვერდით, სადაც იღებს შინაგან ავადმყოფებს. სპეციალ. ექიმობა ფილტვებში. მიღება დილის 8—12 საათ. 13—

ოზურგეთის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი მ. მაქსიმენიშვილი
აცხადებს, რომ 6 აპრილს 1928 წ. დღის 12 საათზე ბახვის თემში ს. ოქრომჭედში გაიყიდება საჯარო ვაჭრობით ეკპრასია ლიონტის კუთვნილი ოთხ თვალი ოდა სახლი წაბლის ხის მასალიდან აგებული, დახურული კრამიტით დემნიდა თალაკვაძის, იპოლიტე სურგულაძის და მელიტონ შედიჭაძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ოზურგეთის უბნის სახალხო სასამართლოსაგან სხვადასხვა დროს გაცემული აღმასრულებელი ფურცლებისა. სახლი შეფასებულია 500 მ. რომლის თანხიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება უნდა წარმოადგინოს 10 პროცენტი თანახმად სამ. საპრ. კოდ. 312 მუხ. თუ რაიმე მიზეზის გამო აღნიშნულ რიცხვს ვაჭრობა არ შესდგა იმ შემთხვევაში მეორე საჯარო ვაჭრობა მოხდება 16 აპრილს 1928 წ. ნ. 846

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფიზიკო-თერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.
საბჭოთა ქ. № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) კორპუსის ქ. კუთხე. 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—11

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—7

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. 13 მარტის დადგენილებისა № 12, ადმინისტრატიულ განყოფილების მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. ვლადიმერ ილიას-ძე, მარია ნიკოლოზის ასული და ალექსანდრე ბექკერებმა შემოიტანა განცხადება მათი გვარის ახალ გვარ „გარდენინ"-ზე შეცვლის შესახებ.

საერთო და სადმ. ქ. განყ. უფროსი ჯავახიშვილი
მმაჩის ბიუროს გამგე შარაშენიძე
1934

ექიმი ს. ი. ანდრეევისა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ქობაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ტელეფონი 11—78 25—0

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიღება დილის 9 12 საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ.
25—1 ტელ. 12—76

ექიმი
ნ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებებით ყოველდღე, გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის) 25—1

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82 25—1

დაკარგულია

კონიაკის ხარისხის გადასახადის მოწმობები: №№ 23, 51, 76, 77, 12 დეკემბერს 1927 წ. დუბლიკატები გაიცემა მამულ დან თბილისში სახალხო მამულთა ტრესტის პირველ ქარხნის სახელზე, ჩ. გ. 1931

დაკარგა პირადობის მოწმობა 355 სიმონ გიორგის-ძე წიკლაურის სახელზე, ჩ. გ. 1929

დავკარგე: სამხედრო საარიცხვო ბარათი გიორგი ალექსანდრეს-ძე ჩხაიძის სახელზე, ჩ. გ. 1930

დავკარგე: ერთი ულელი ხარის მოწმობა, მიღებული ახალქალაქის აღმასკომიდან ნიკო სტეფანეს-ძე ადამიას სახელზე, ჩ. გ. 193

დავკარგე: აღმშენებელთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 8578 ლევანი ეგნატეს-ძე კაჭახავას სახელზე, ჩ. გ. 1933

დავკარგე მედსანშრომის პროფკავშირის წიგნაკი № 3238 ლევან სარიმელაძის სახელზე, ჩ. გ. 1927

დაკარგა: ხელოვნების კავშირის წიგნაკი № 79403 თამარა სიმონის ასული გაბაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1925

დაკარგა სამხედრო წიგნაკი მიღებული ოზურგეთის სამხედრო მაგიდის გაწვევის შალვა ივანეს-ძე გიორგაძის სახელზე ჩ. გ. ნ. 849

დავკარგე: საანგარიშო წიგნაკი № 151 არუთინ [illegible] ასულ ხოშტარიას სახელზე, ჩ. გ.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 64